„მოქალაქეებში„ საარჩევნო კვოტების დანაწილება დაპირისპირებას ამძაფრებს A2

სპეცსამსახურები A8

"ხალხის პირისპირ" - ანკეტა B3

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 31 იანვარი, 2003 წელი. №29 (241)

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### „თუ გამგებლები კრავები არიან, რომელი ცხოველია ვანო ზოდელავა?„ - კითხულობს საკრებულო

*საკრებულოს სხდომათა დარბაზში ვაკე-საბურთალოს გამგებლის მორიგი სტუმრობა შედგა. საკრებულო მოუწოდებს პრეზიდენტ შევარდნაძეს, გაათავისუფლოს ვაკე-საბურთალოს რაიონი კორუმპირებული გამგებლისგან. წინააღმდეგ შემთხვევაში, დედაქალაქის პარლამენტი დავით სულაძეს ბიუჯეტის განკარგვის უფლებას არ მისცემს.*

A3

## ეკონომიკა

### სიღარიბის დაძლევას, უპირველესად, კორუფცია აბრკოლებს

*ხელისშემშლელ ფაქტორს ქვეყანაში არსებული კორუფცია წარმოადგენს და ისიც, რომ პროგრამა უფრო მარტივად და ქმედითად უნდა იყოს შედგენილი, რათა არ გართულდეს ქაღალდიდან რეალურ ცხოვრებაში მისი გადმოტანა.*

A4

## უცხოეთი

### ჩაუშესკუს აჩრდილი რუმინეთს ევროკავშირის გზაზე ელობება

*კვირის სუსხიან დილას, ნიკოლაი ჩაუშესკუს დაბადების დღის აღსანიშნავად მის საფლავთან მრავალმა რუმინელმა კომუნისტმა მოიყარა თავი, რომლებიც ევროპის ერთ-ერთ ყველაზე სასტიკ დიქტატორს იესო ქრისტესაც კი ადარებდნენ.*

A5

## საზოგადოება

### „ბომბიოო?!„ - გასკდა ხალხი სიცილით

*ხუთჯვრიანი დროშის პროცესი გუშინ დანიშნულ დროს, 12 საათზე, დაიწყო და საათნახევარში სრულიად მოულოდნელი მიზეზით გადაიდო ანონიმური ზარის შემდეგ, - შენობაში ბომბიაო.*

A6

## სამართალი

### ზაკაევის ექსტრადირების საკითხს საერთაშორისო კონვენცია გადაწყვეტს

*დღეს ლონდონის სასამართლო იმსჯელებს ახმედ ზაკაევის რუსეთში ექსტრადირების თაობაზე.*

A7

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 13 |
| ქუთაისი | 16 |
| ბათუმი | 17 |
| სოხუმი | 14 |
| ფოთი | 16 |
| თელავი | 13 |
| ზუგდიდი | 16 |
| გორი | 10 |
| ახმეტა | 12 |
| ჭიათურა | 12 |
| ბაგრა | 13 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1860 |
| ევრო | 2.3401 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.5267 |
| რუბლი | 0.0687 |

# რელიგიური რადიკალიზმი - უდიდესი საფრთხე ეკლესიისთვის

B1



ბასილ მკალავიშვილის მომხრეები.

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

## ჩეჩენი პატიმრების პროცესს ხელი „სატელეფონო ტერორისტმა„ შეუშალა

სოფიკო ჩხაიძე

*გუშინ კიდევ ერთხელ გადაიდო აგვისტოში გირევის საგუშაგოსთან დაკავებული სამი ჩეჩენის სასამართლო პროცესი.*

მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლო გუშინ კიდევ ერთხელ დაუბრუნდა აგვისტოში რუსეთ-საქართველოს საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთისთვის დაკავებული სამი ჩეჩენი პატიმრის რუსეთში ექსტრადირების თაობაზე გენერალური პროკურატურის მიერ გამოტანილი დადგენილების სამართლიანობის განხილვას. ეს ის სამეულია, რომელსაც ექსტრადირება (ხუთი თანამოძმისგან განსხვავებით), მართალია, ასცდა, მაგრამ პირველი ინსტანციის სასამართლო თავდაპირველად პროკურატურას დაეთანხმა და მათი რუსეთის მხარისთვის გადაცემა შესაძლებლად მიიჩნია. თუმცა, უზენაესმა სასამართლომ ეს გადაწყვეტილება ჩათვალა პროცესუალური ნორმების დარღვევად და რუსლან გელოგაევის, რუსტამ ელიხაჯიევის და ხუსეინ ალხანოვის საქმე ხელახლა განსახილველად კვლავ მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს დაუბრუნა. გუშინ კი მათი პროცესი უკვე მეორედ გადაიდო. თუ პირველ ჯერზე, 20 იანვარს, მოსამართლე ვაჟა ფუხაშვილმა ჩეჩნების ადვოკატების მიერ წარდგენილი

გაგრძელება A7 გვერდზე

## რკინიგზა თვითნებობს, პარლამენტი აპროტესტებს, მგზავრობა კი ძვირდება

*გუშინ, პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის სხდომაზე, პარლამენტარები "საქართველოს რკინიგზის" მიერ სამგზავრო ბილეთების ფასის ზრდას აპროტესტებდნენ. პარლამენტართა კითხვებზე პასუხი შპს "საქართველოს რკინიგზის" გენერალურ დირექტორს აკაკი ჩხაიძეს უნდა გაეცა, მაგრამ მან ეს მისია თავის მოადგილეს რამინ მითაიშვილს "გადააბარა".*

მაია ურუშაძე

მიმდინარე წლის 1 იანვრიდან შპს "საქართველოს რკინიგზამ" საერთო სამგზავრო ვაგონით მგზავრობა 50 პროცენტით, ხოლო რბილი ვაგონით მგზავრობა - 100 პროცენტით გააძვირა. როგორც გაირკვა, ამ გადაწყვეტილების მიღების უფლება "რკინიგზამ" უშუალოდ ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრისაგან - მერაბ ადეიშვილისგან მიიღო. **"ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრომ სახელმწიფო პოლიტიკა უნდა გაატაროს. დაუშვებელია, მინისტრმა სარკინიგზო ტარიფის დაწესების უფლება რკინიგზას გადასცეს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავად რკინიგზასაც არ უნდა მიეღო ეს გადაწყვეტილება,"** – მიიჩნევს დეპუტატი ვახტანგ ხმალაძე.

გაგრძელება A4 გვერდზე

## ზურაბ აბაშიძე: „ჩვენთვის დღეს რუსეთი ნომერი პირველი პრობლემაა„

"24 საათის" შეკითხვებს პასუხობს საქართველოს სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი რუსეთის ფედერაციაში ზურაბ აბაშიძე



ზურაბ აბაშიძე

**- როგორ შეაფასებთ კიევში პრეზიდენტების არაფორმალურ შეხვედრას?**

- ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით რაღაცას უნდა ველოდეთ ახლო მომავალში. ეს უკვე იგრძნობა ყველა დონეზე. მოსკოვშიც და საქართველოშიც ყველას ესმის, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის პოზიციის შენარჩუნება შეუძლებელი იქნება, აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების გარეშე.

რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, ბოლო მოვლენებმა - აფხაზეთის პასპორტიზაციამ და ელექტრომატარებლის გაშვებამ - რაღაც ბიძგი მისცა ამ პროცესს, იმის მიუხედავად, რომ ბევრ ნეგატიურ მოვლენასაც აქვს ადგილი. ბიძგი მისცა იმ თვალსაზრისით, რომ თუკი ეს რკინიგზა მთელს პერიმეტრზე ამუშავდება, მაშინ რაღაც პროგრესს უნდა ველოდოთ პოლიტიკური თვალისაზრისითაც. მოსკოვში ანგარიშს უწევენ იმასაც, რომ სარკინიგზო მიმოსვლის უსაფრთხოებას კონფლიქტის გადაწყვეტის გარეშე ვერ მიაღწევენ; ყოველ ათ მეტრში ჯარისკაცს ხომ ვერ დააყენებენ? ამიტომ დარეგულირებით, ჩვენთან ერთად, პირველ რიგში თავად მოსკოვია დაინტერესებული. პრეზიდენტმა პუტინმაც კარგად გააცნობიერა ის მომენტი, რომ რკინიგზის ამუშავებამ ლტოლვილების დაბრუნებასა და პოლიტიკური პროგრესის მიღწევას უნდა შეუწყოს ხელი.

გაგრძელება A3 გვერდზე

## აფხაზეთის „ამორტიზებული„ საკითხი პოპულისტებსაც კი აღარ იზიდავს

*გუშინ საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სესიამ მუშაობა დაამთავრა. დასკვნით აკორდად იქცა აფხაზეთის საკითხზე მიმართვის მიღება, რომელსაც "გაერთიანებული დემოკრატებისა" და სხვა ოპოზიციური ფრაქციების მიერ შემუშავებული განცხადების პროექტი, აგრეთვე, პარლამენტის თავმჯდომარის გამოსვლის ტექსტის სტენოგრაფიული ჩანაწერი დაედო საფუძვლად. მიმართვაში აფხაზების პასპორტიზაცია და სოხუმი-ადლერის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა შეფასებულია, როგორც საქართველოს საშინაო საქმეებში რუსეთის უხეში ჩარევა და საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევა.*

გიორგი ასანიშვილი

საქართველოს პარლამენტი ოფიციალური მოსკოვისგან მოითხოვს, რომ მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები აფხაზეთში განხორციელებული არასამართლებრივი ქმედებების შესაჩერებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში, იტოვებს უფლებას, დასახმარებლად საერთაშორისო ორგანიზაციებს მიმართოს. იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილების იგნორირებას მოახდენს, ქართველი კანონმდებლები უფრო რადიკალური შეფასებების გაკეთებას აპირებენ. მაშინ, ჩრდილოელი მეზობლის ქმედებებს მიეცემა უკვე არა როგორც საქართველოს ტერიტორიის "ანექსიის მცდელობის", არამედ "პირდაპირი ანექსიის" კვალიფიკაცია.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ევროპელი ლიდერები აშშ-ს მხარს უჭერენ

რევაზ ბახტაძე

*ევროპის რვა სახელმწიფომ ვაშინგტონს ერაყთან მოსალოდნელ ომში მხარდაჭერა აღუთქვა. ამავდროულად, აშშ ჩრდილოეთ ერაყში ავიაბაზებს ამაგრებს.*

30 იანვარს ევროპის რვა სახელმწიფოს ლიდერმა საერთო განცხადება გააკეთა და მხარი დაუჭირა შეერთებული შტატების მცდელობას, რომელიც სადამ ჰუსეინის განიარაღებას ისახავს მიზნად.

საფრანგეთისა და გერმანიის პოზიციების დემონსტრაციული იგნორირებით ბრიტანეთის, ესპანეთის, იტალიის, პორტუგალიის, უნგრეთის, პოლონეთის, დანიისა და ჩეხეთის რესპუბლიკის მეთაურებმა განაცხადეს, რომ ერაყის პრეზიდენტს გაერო-ს რეზოლუციების დარღვევის საშუალება არ უნდა მიეცეს.

მიმომხილველების აზრით, ევროპული სახელმწიფოების განცხადება ბუშის ადმინისტრაციის მოსაზრებას ამყარებს, რომ აშშ გაერო-ს სპეციალური რეზოლუციის გარეშეც შეძლებს ერაყის წინააღმდეგ კოალიციის შექმნას და სადამ ჰუსეინის განიარაღებას.

პრეზიდენტი ბუში პარასკევს იტალიის პრემიერ-მინისტრს სილვიო ბერლუსკონის შეხვდება, ხოლო ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი მოლაპარაკებებს გამართავს ესპანეთის პრემიერ-მინისტრ ხოსე მარია აზნართან. ამის შემდეგ, ტონი ბლერი პრეზიდენტ ბუშთან გამართავს კონსულტაციებს კემპ დევიდში.

რვა ევროპული სახელმწიფოს მიერ გაკეთებული განცხადების თანახმად, სადამ ჰუსეინი "მსოფლიო უსაფრთხოებისათვის რეალურ საშიშროებას წარმოადგენს".

გაგრძელება A5 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 სპეცსამსახურები

B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

## არძინბა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარებას იურიდიულად უსაფუძვლოდ მიიჩნევს

გუშინ "ნეზავისიმაია გაზეტასთვის" მიცემულ ინტერვიუში ვლადისლავ არძინბამ განაცხადა, რომ რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარება თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ეროვნულ ინტერესებს წარმოადგენს. არძინბამ აღნიშნა, რომ სოხუმის ინიციატივა რუსეთთან ასოცირებული ურთიერთობების დამყარების შესახებ, პირველ რიგში, ითვალისწინებს რუსეთთან სავალუტო და საბაჟო კავშირში შესვლას, აფხაზეთის მიერ მოსკოვთან კოორდინირებული საგარეო, ასევე თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის გატარებას.

"ამ ასოცირებული ურთიერთობების მოდელი სოხუმში განიხილება როგორც აფხაზეთის უსაფრთხოების და ეკონომიკური აყვავების გარანტი," - აღნიშნა მან.

არძინბას განცხადებით, რუსეთის ოფიციალური პოზიცია აფხაზეთის პოლიტიკურ სტატუსთან დაკავშირებით არ შეცვლილა - მოსკოვი კვლავ აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ყოფილი საქართველოს სსრ-ს საზღვრებში.

მაგრამ, მისი თქმით, აფხაზეთში მიაჩნიათ, რომ რუსეთის, სხვა წამყვანი სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ასეთი მიდგომა მოკლებულია სამართლებრივ საფუძვლებს და იმედი აქვთ, რომ სოხუმის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი არგუმენტაცია ამ საკითხთან დაკავშირებით საერთაშორისო თანამეგობრობის, პირველ რიგში - რუსეთის ხელისუფლების მიერ ყურადღებით იქნება განხილული.

არძინბა ფიქრობს, რომ ბოლო დროს უეჭველად ჩანს დადებითი ტენდენციები რუსეთის ხელისუფლების დამოკიდებულებაში აფხაზი ხალხის მიმართ, რის შედეგადაც აფხაზეთის უბრალო მცხოვრებთა პირობები თანდათან უმჯობესდება და ეკონომიკური აქტიურობისათვის მათ ახალი შესაძლებლობები უჩნდებათ.

მან იმედი გამოთქვა, რომ ეს ტენდენციები არა მხოლოდ შენარჩუნდება, არამედ ყოველმხრივ განვითარებასაც ჰპოვებს.

ვლადისლავ არძინბას თქმით, აფხაზეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის არაღიარების პირობებშიც კი, არსებობს რუსეთის ფედერაციის სუბიექტებთან, სხვადასხვა კომერციულ სტრუქტურებთან აქტიური ურთიერთქმედებების პირობები.

"კერძოდ, აფხაზი და რუსი კომერსანტების შეთანხმების შედეგი იყო სოხუმი-სოჭის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა", - თქვა მან. **პრაიმ-ნიუსი**

## მოკლედ

**თბილისი..** საქართველოს მოქალაქეებისათვის უცხოეთში გასამგზავრებელი ვიზების მიღებასთან დაკავშირებულ პრობლემებს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში სპეციალური სხდომა მიეძღვნება. **კავკას-პრესი**

▪ ▪ ▪

**თბილისი.** 14-15 თებერვალს სახელმწიფო კანცელარიის საკონფერენციო დარბაზში მთავრობის გაფართოებული სხდომა გაიმართება, რომელზეც 2002 წლის შედეგებს შეაჯამებენ. **კავკას-პრესი**

▪ ▪ ▪

**თბილისი.** ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერის ირაკლი წერეთლის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლებამ ოფიციალურად უნდა დაადასტუროს, რომ მხარს უჭერს ერაყის წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენებას. **კავკას-პრესი**

▪ ▪ ▪

**თბილისი.** პანკისში მყოფმა 200-მდე ჩეჩენმა დევნილმა ახმეტაში გაერო-ს დევნილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლობის წინ საპროტესტო აქცია გამართა. **კავკას-პრესი**

▪ ▪ ▪

**თბილისი..** საქართველოს ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით უკრაინის თავდაცვის მინისტრი, არმიის გენერალი ვლადიმირ შკიდჩენკო ეწვია.

ვიზიტის დროს, შესაძლოა, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შესყიდვასთან დაკავშირებული საკითხებიც განიხილონ. ამ მიზნით პარლამენტმა თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით 13 მილიონი ლარი გამოუყო. **კავკას-პრესი**

▪ ▪ ▪

**კიევი.** დსთ-ს სახელმწიფოთა მეთაურების მორიგი სამიტი მიმდინარე წლის სექტემბერში იალტაში გაიმართება. **კავკას-პრესი**

▪ ▪ ▪

**ზუგდიდი..** გალის აფხაზური ადმინისტრაციის ხელმძღვანელი რუსლან ქიშმარია საქართველოს პრეზიდენტის მოქმედებით კმაყოფილია. როგორც გუშინ ქიშმარიამ განაცხადა, ედუარდ შევარდნაძე "გონივრულად" მოიქცა, როცა ხელი არ მოაწერა განკარგულებას კონფლიქტის ზონიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანის შესახებ. **კავკას-პრესი**

▪ ▪ ▪

**თბილისი.** გერმანიის ელჩი საქართველოში უვე შრამი აცხადებს, რომ მისი ქვეყანა მხარს უჭერს საქართველო-რუსეთის საზღვარზე ეუთო-ს დამკვირვებელთა მონიტორინგის გაფართოებას. **პრაიმ-ნიუსი**

▪ ▪ ▪

**თბილისი.** დღეს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი მალხაზ კაკაბაძე და გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი საქართველოში ჰეიდი ტალიავინი აფხაზეთში შექმნილ სიტუაციას და მოლაპარაკებათა პროცესის პერსპექტივებს განიხილავენ **პრაიმ-ნიუსი**




# „თუ გამგებლები კრავები არიან, რომელი ცხოველია ვანო ზოდელავა?" - კითხულობს საკრებულო

სოფო ბუკია

*საკრებულოს სხდომათა დარბაზში ვაკე-საბურთალოს გამგებლის მორიგი სტუმრობა შედგა. საკრებულო მოუწოდებს პრეზიდენტ შევარდნაძეს, გაათავისუფლოს ვაკე-საბურთალოს რაიონი კორუმპირებული გამგებლისგან. წინააღმდეგ შემთხვევაში, დედაქალაქის პარლამენტი დავით სულაძეს ბიუჯეტის განკარგვის უფლებას არ მისცემს.*



*სააკაშვილს "კრავთა" უმანკოებისა არ სჯერა*

**"გარწმუნებთ, თბილისის მერთან და პრემიერთან შედარებით ყველა გამგებელი კრავია..."**

**"ბატონო დავით, ეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ თქვენ ხართ კრავი?"**

**"თუ გამგებლები კრავები არიან, იქნებ დავაკონკრეტოთ, რომელი ცხოველია ვანო ზოდელავა?..."** – ასეთ ზოოლოგიურ ნოტაზე წყდებოდა გუშინ საკრებულოს სხდომათა დარბაზში ვაკე-საბურთალოს გამგებლის დავით სულაძის ბედი.

სულაძის "დებიუტი" საკრებულოში რამდენიმე დღის წინ უკვე შედგა, მაშინ ავტოპარკირების უკანონო ადგილებზე სირბილით დაღლილი გამგებელი საკრებულოს სხდომაზე დიდი ჟრიამულით "გაასამართლეს". გუშინ სულაძე კიდევ ერთხელ დაიბარეს, ამჯერად - სარევიზიო კომისიის დასკვნის მოსასმენად.

**"უცოდველი არავინაა, ყველას აქვს რაღაც-რაღაც ცოდვები... ვაკე-საბურთალო ყველაზე სუფთა რაიონია თბილისში,"** – ეს გახლდათ ერთადერთი თავის გასამართლებელი არგუმენტი, რაც ბატონ სულაძეს გუშინ მოუვიდა აზრად.

24 ათას 995 ლარად შეძენილი რვა წლის "მერსედეს-ბენცი", რომელიც ისეთი უვარგისი გამოდგა, რომ მის შესაკეთებლად 3 ათას 653 ლარი და 6 თეთრი დაიხარჯა; უკანონოდ გაქირავებული უზარმაზარი ფართი გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში; აღურიცხავი ავტოპარკირების ობიექტები, რითაც საკმაოდ სოლიდური თანხები აკლდება ბიუჯეტს; ადგილობრივ მოსაკრებლებში სრული ქაოსი; გროშებად გაყიდული მიწები ქალაქის ყველაზე პრესტიჟულ რაიონში (ანტიკორუფციული კომისიის დასკვნით, ვაკეში ერთი კვ.მ მიწის ფართობი 10 ლარად, ერთხელ კი - სამ ლარადაც გაიყიდა); ერთჯერადი სოცდახმარებების მრავალჯერადად გაცემა ერთი და იგივე პირებზე – ეს იმ "რაღაც-რაღაც ცოდვათა" მოკრძალებული ჩამონათვალია, რომელიც "ყველას აქვს" და რომელიც ოქრუაშვილის რევიზიამ "რატომღაც მარტო" სულაძის სტრუქტურას აღმოუჩინა.

ერთადერთი "დანაშაული", რომელსაც ვაკე-საბურთალოს გამგებელი პირნათლად აღიარებს, **"პრეზიდენტ შევარდნაძის ერთგულებაა".** სულაძე დარწმუნებულია, რომ დედაქალაქის პარლამენტი მას სწორედ ამ ერთგულების გამო მტრობს.

გუშინდელ სხდომაზე ერთხმად გადაწყდა, რომ სულაძეს სასწრაფოდ უნდა გამოეცხადოს უნდობლობა. კენჭისყრამდე ეს საკითხი, დარბაზში მყოფ დეპუტატთა სიმცირის გამო, ვერ მივიდა. ენდობა თუ არა საკრებულო "ყველაზე სუფთა რაიონის" გამგებელს, დღეს გადაწყდება, თუმცა საერთო სურათს თუ გავითვალისწინებთ, სულაძეს საკრებულოს იმედი არ უნდა ჰქონდეს.

მაგრამ, ეს ბევრს არ ნიშნავს. რვაწლიანი სტაჟის მქონე გამგებლის ბედი, ისევე როგორც მისი ყველა კოლეგისა, მხოლოდ პრეზიდენტის გუნება-განწყობაზეა დამოკიდებული. რას გადაწყვეტს პრეზიდენტი, სულაძემ არ იცის, თუმცა უსიტყვოდ დაემორჩილება მის სურვილს.

სულაძის პერსონას გუშინ ერთი სხდომა ვერ აკმარეს, აღნიშნული თემის გაშლა-განვითარებაზე თავად საკრებულოს თავმჯდომარემ იზრუნა და საგანგებო პრესკონფერენცია გამართა. სააკაშვილი აცხადებს, რომ "ნაციონალებს" მომზადებული აქვთ კანონპროექტი, რომელიც უკვე მივლენილია პარლამენტში და რომლის დღის წესრიგში ჩასმაზე უახლოეს ბიუროზე იმსჯელებენ. ზურაბ ადეიშვილის მიერ შემუშავებული კანონპროექტის თანახმად, თბილისის ხუთივე გამგებელი არჩეული უნდა იყოს. იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი შევარდნაძე საკრებულოს ნება-სურვილს წაუყრუებს და სულაძეს ისევ გამგებლად დატოვებს, საკრებულო ვაკე-საბურთალოს გამგებელს ბიუჯეტს არ გააკარებს. **"სულაძეს ბიუჯეტის განკარგვის შესაძლებლობას მოვუსპობთ. ბიუჯეტთან შეხება ექნებათ მხოლოდ იმ სამსახურებს, რომელთაც საკრებულო აკონტროლებს,"** – ამბობს საკრებულოს თავმჯდომარე. თუ სულაძე ამჯერად გადარჩა, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მას არავითარი შანსი არა აქვს. ამიტომ, სააკაშვილის ვარაუდით, ამ წელს ვაკე-საბურთალოს გამგებელი "უფრო დიდი აზარტით მოიპარავს". მისივე ინფორმაციით, კანცელარიას იმდენად უჭირს ერთგულ გამგებელთან დამშვიდობება, რომ ამ საკითხზე საგანგებო თათბირებიც კი ეწყობა პრეზიდენტის რეგიონული პოლიტიკისა და მართვის სამსახურის უფროსის ირაკლი ბოჭორიძის კაბინეტში.

ვაკე-საბურთალოს გამგებელმა მარტოსულად რომ არ იგრძნოს თავი, სააკაშვილი პირობას იძლევა, რომ ზაფხულამდე დედაქალაქის ყველა გამგეობას "ჩამოუვლის". დიდუბე-ჩუღურეთის გამგებელი ჩაჩანიძე უკვე გახლდათ საკრებულოში "დაკითხვაზე", თუმცა "გაერთიანებული დემოკრატების" კაცად მიჩნეულ ჩაჩანიძეს, მისი ვაკელი კოლეგისგან განსხვავებით, უფრო ნაკლები "მოხვდა".

**"სიძველის მიხედვით ვახარისხებთ, ყველაზე სტაჟიანი ვაკე-საბურთალოს გამგებელია, მერე - დიდუბე-ჩუღურეთის, და ა.შ."** – გამოითვალა სააკაშვილმა.

მშვიდად ძილის საშუალება არც ახლადდანიშნულ გამგებლებს უნდა ჰქონდეთ, სააკაშვილი პირობას დებს, რომ მალე მათთვისაც მოიცლის.

საკრებულოს გუშინდელ სხდომაზე სულაძე სინდისზე შეაგდეს და საკუთარი ინიციატივით გამგეობიდან წასვლა ურჩიეს. **"გიფიქრიათ, როგორ უნდა ითანამშრომლოს უნდობლობაგამოცხადებულმა გამგებელმა საკრებულოსთან?"** – ჰკითხეს გუშინ მას. თავისი ფეხით სულაძე არ მიდის, უნდობლობაგამოცხადებულებთან "თანამშრომლობა" კი საკრებულოს სხვისგან არ ესწავლება.

# ამერიკელმა გვარდიელებმა საქართველოში ქიმიური და რადიოაქტიური გამოკვლევები ჩაატარეს

კობა ლიკლიკაძე

რადიო „თავისუფლება", სპეციალურად „24 საათისთვის"

მეორე დღეა საქართველოში იმყოფებიან ამერიკის ჯორჯიის შტატის საგანგებო სიტუაციების სააგენტოსა და ეროვნული გვარდიის წარმომადგენლები, რომლებიც ქართველ კოლეგებს ბუნებრივი და ხელოვნურად გამოწვეული კატასტროფებისა და კრიზისების მართვის თანამედროვე გამოცდილებას უზიარებენ. უფრო ადრე კი, ეროვნული გვარდიისა და მომწამლავი ნივთიერებებით დაავადებულთა რეგისტრაციის სააგენტოს წევრებმა, საქართველოს სამხედრო ნაწილების ტერიტორიაზე, ქიმიური და რადიოაქტიური შემოწმება ჩაატარეს და რამდენიმე საშიში კერაც გააუვნებელყვეს.

საქართველოს შეიარაღებული ძალების მშენებლობის პირველ ეტაპზე, რუსი სამხედროების მიერ დაცარიელებულ ყაზარმებში ქართველი ჯარისკაცების შესახლება, სპონტანურად, ყოველგვარი წინასწარი სამუშაოების ჩატარების გარეშე ხდებოდა, რის გამოც ზოგიერთ სამხედრო ნაწილში რადიაციული კერის არსებობა მხოლოდ პირად შემადგენლობაზე მათი მავნე ზემოქმედების შემდეგ გამომჟღავნდა. საქართველოში დღემდე ახსოვთ თბილისთან ახლომდებარე, ლილოს სასაზღვრო ნაწილში მომხდარი ისტორია, როდესაც ტერიტორიაზე მიმოფანტული რადიოაქტიური ნივთიერება "ცეზიუმის" კაფსულით თერთმეტმა ჯარისკაცმა მიიღო დასხივება.

ერთი წლის წინ, სამხედრო ნაწილებში არსებული რადიაციული ფონის შესწავლა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის თხოვნით, ითავა ამერიკის ჯორჯიის შტატის ეროვნული გვარდიის დეპარტამენტმა, რომელთანაც ორმხრივი ურთიერთობები ჯერ კიდევ 1995 წელს ჩამოყალიბდა. ჯორჯიის შტატის ექსპერტებმა, შარშანდელი ივნისიდან-ოქტომბრამდე, შირაქისა და თელავის საავიაციო ბაზები დაათვალიერეს. ჯგუფის ხელმძღვანელის, მაიორ მაიკლ სქოულზის თქმით, ეს ობიექტები იმიტომ შეირჩა, რომ არსებობდა ზეპირი ინფორმაცია დამარხული ბირთვული ნარჩენების შესახებ. თანაც, ისინი უშუალოდ ესაზღვრებიან პანკისის ხეობას, სადაც რამდენიმე საერთაშორისო ტერორისტი აფარებდა თავს. თუმცა, სპეციალური ლაბორატორიული შემოწმებით შირაქის საავიაციო ბაზაზე რადიაციული ნივთიერებები არ აღმოჩნდა. გამონაკლისი იყო თელავის სამხედრო ნაწილი, სადაც რამდენიმე რადიაციული წყაროს არსებობა დაფიქსირდა.




*მაიკლ სქოულზი*

მაიკლ სქოულზი: **"ეს იყო ცეზიუმის მცირე ზომის რადიოაქტიური კაფსულები და ჩვენ გავაკეთეთ ყველაფერი, რათა ეს წყაროები გაგვეუვნებელყო. ჩვენ არ გვსურს, რომ მსგავსი ნივთიერებები მოხვდეს მოსახლეობის ან ტერორისტების ხელში."**

ჯორჯიის შტატის ეროვნული გვარდიის ქიმიური სამსახურის სპეციალისტებმა თელავის სამხედრო აეროდრომის ანგარებში, აგრეთვე, აღმოაჩინეს და გააუვნებელყვეს ტესტერი სტრონციუმ-90-ის წყაროთი, რადიუმისა და ტრიტის საზომები. აგვისტოს დასაწყისში მათ სპეციალური შემოწმება ფიჩხოვანის იმ წყალსაცავზეც ჩაატარეს, საიდანაც, პანკისის ოპერაციის მსვლელობის დროს, ქართული საჯარისო ნაწილები წყლით მარაგდებოდნენ.

ამერიკელი სამხედრო ექსპერტების პარალელურად, სამხედრო ნაწილებში რადიაციული ფონისა და რადიოაქტიური წყაროების მოძიებით აქტიურად არიან დაკავებულნი ქართველი სპეციალისტებიც, შესაბამისი სამინისტროებიდან. როგორც საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, გენერალმა თენგიზ შუბლაძემ აღნიშნა, სტრონციუმის სკანდალის შემდეგ, რომელსაც დასავლეთ საქართველოში ჰქონდა ადგილი, ერთობლივმა შემოწმებამ თითქმის მთელი საქართველო მოიცვა.

თენგიზ შუბლაძე: **"ახალციხეში სასაზღვრო ნაწილში აღმოჩნდა ასეთი წყარო. არ იყო იმდენად მნიშვნელოვანი, მაგრამ ის ამოღებულ იქნა. ასევე წყარო იყო, ალბათ გახსოვთ, წალენჯიხის რაიონში, ისიც ამოვიღეთ. და დღეს, ფაქტობრივად, საქართველოში ძირითადი ტერიტორია მაინც გადამოწმებულია."**

გენერალ შუბლაძის თქმით, ასევე არ შეეფერება სინამდვილეს ინფორმაცია საქართველოში ბირთვული ნარჩენების შესახებ. რაც შეეხება ქიმიური ნივთიერებებს, შუბლაძის განცხადებით, ამიაკისა და ქლორის მოცულობა, რომელსაც სხვადასხვა საწარმო იყენებს, არ არის იმ მასშტაბის, რომ მისმა გაჟონვამ სერიოზული საფრთხე მიაყენოს გარემოს. გამონაკლისს წარმოადგენს აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ეშერის ლაბორატორია, რომლის შესამოწმებლად ქართველ სპეციალისტებს ხელი არ მიუწვდებათ.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა ნიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# აფხაზეთის „ამორტიზებული" საკითხი პოპულისტებსაც კი აღარ იზიდავს

პირველი გვერდიდან

გარდა ამისა, პარლამენტის მიერ ერთხმად მხარდაჭერილ დოკუმენტში ჩადებულია ერთგვარი ულტიმატუმი იმავე რუსეთის მისამართით, რათა ამ უკანასკნელმა აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლება ე.წ "ბოდენის დოკუმენტის" მიღებაზე დაითანხმოს. თუ ეს მოთხოვნა არ შესრულდება, მაშინ ქართული მხარე აპირებს, მიმართოს გაერო-ს, რომ იგი, აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების მიზნით, თავისი წესდების მეექვსე მუხლიდან მეშვიდეზე გადავიდეს, რომელიც ძალის გამოყენებით მშვიდობის დამყარებას ითვალისწინებს.

მიმართვის ტექსტი გარკვეულ ვალდებულებებს საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებასაც აკისრებს: მთავრობამ ერთი კვირის ვადაში უნდა შეიმუშაოს ანტიკრიზისული გეგმა, რომელშიც აფხაზეთში შექმნილი რთული მდგომარეობის მოგვარების გზები და მიმართულებები იქნება წარმოდგენილი. ამასთან, თავად პარლამენტში შეიქმნება ინტერფრაქციული ჯგუფი, რომლის ძირითადი ფუნქციაც, აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე კოორდინირებული მუშაობა იქნება.

უკვე თავისთავად მოულოდნელობაა ის ფაქტი, რომ საქართველოს პარლამენტში აფხაზეთის საკითხის მიმართ ერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულება დაფიქსირდა და მიმართვა ერთხმად იქნა მიღებული (თუმცა, სხვა საკითხია, რამდენად ღირებულია ეს მიმართვა და რა ხარისხით მოახდენს იგი გავლენას რუსეთის ხელისუფლების "აფხაზურ პოლიტიკაზე"). მითუმეტეს, საკითხის განხილვის დაწყებიდან ლამის უკანასკნელ წუთამდე სახელისუფლებო ფრაქციებისა და ოპოზიციის მოსაზრებები და შეფასებები მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. მმართველი ძალის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ საკითხის დრამატიზება დაუშვებელია და მისი საჯაროდ განხილვა ოპოზიციას მხოლოდ ხელისუფლების დისკრედიტაციისთვის სჭირდება.

**"თუ რამეს მალავთ და მასზე ღიად მსჯელობა არ გინდათ, ე.ი ცუდ რაღაცას მალავთ"**, - "ტრადიციონალისტ "გუბაზ სანიკიძეს ასეთი ეჭვი მას შემდეგ გაუჩნდა, როდესაც სახელისუფლებო ფრაქციები დაჟინებით ითხოვდნენ სხდომის დახურულ რეჟიმში წარმართვას. საინტერესოა, რომ ე.წ "თემატურმა უმრავლესობამ" ამაზე წინა დღესვე იზრუნა - 29 იანვარს, ბიუჯეტის მიღებასთან ერთად, ისიც დააკანონა, რომ მეორე დღეს აფხაზეთის საკითხზე მსჯელობა დახურულ სხდომაზე გამართულიყო. თუმცა, ოპოზიციამ გუშინ ისარგებლა იმით, რომ ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ "უმრავლესობის უმრავლესობა" პარლამენტის შენობაში აღარ გამოჩენილა და პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება იოლად შეცვალა. შედეგად, გუშინდელი სხდომა ღიად ჩატარდა.

გუშინდელმა მრავალსაათიანმა განხილვამ, პრობლემის "სიმძიმესთან" ერთად, რასაც არც ერთი პოლიტიკური ძალა არ უარყოფს, ერთი სამწუხარო რეალობაც წარმოაჩინა: ბოლო ათწლეულის საქართველოს ყველაზე დიდი პრობლემა -აფხაზეთის დაბრუნება - როგორც ჩანს, ძალიან გაუფასურდა. ყოველ შემთხვევაში, პირველად ხდება, რომ საქართველოს პარლამენტში ამ საკითხზე მსჯელობა თითქმის ცარიელ დარბაზში მიმდინარეობს. ერთმნიშვნელოვნად ძნელი სათქმელია, თუ საიდან მომდინარეობს ასეთი ტენდენცია და რა არის მისი მიზეზი - აპათია, უიმედობა, ხელის ჩაქნევა, შეგუება, კაპიტულაცია... ან, იქნებ, ყველაფერი ერთად. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია - აფხაზეთის თემა იმდენად გაცვდა, რომ პოპულიზმისთვისაც კი აღარ გამოდგება და ქულების ჩაწერის მოყვარულ პოლიტიკოსებს პარლამენტის დარბაზში ვეღარ იზიდავს. ვინ იცის, შეიძლება, აფხაზეთის საკითხის ასეთი "ამორტიზაცია" უფრო საშიშია, ვიდრე იგივე სარკინიგზო მიმოსვლა და პასპორტიზაცია.



*ასე აინტერესებთ ხალხის რჩეულებს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.*

## კულუარები

# „მოქალაქეებში" საარჩევნო კვოტების დანაწილება დაპირისპირებას ამძაფრებს

თამარ ივანიძე

"მოქალაქეთა კავშირში" საარჩევნო სიებზე ერთი ამბავია ატეხილი.

მომავალ სახელისუფლებო სიაში (როგორც თავად მიაჩნიათ) მოხვედრის მსურველები დღეს რამდენიმე ჯგუფად არიან დაყოფილნი.

ერთ მხარეს დგას ლევან მამალაძე, რომელსაც ოცამდე კაცი სიაში ადრეც ჰყავდა და დღესაც არ სურს პოზიციების დათმობა; მით უმეტეს, რომ გარანტირებულ საარჩევნო ხმათა უმრავლესობა სწორედ მის რეგიონზე მოდის. ამიტომ მამალაძის კვოტის პოტენციურ წარმომადგენლებს ძალიან აღიზიანებთ ის ფაქტი, რომ პარტიის ამჟამინდელი ხელმძღვანელი ავთანდილ ჯორბენაძე ამ სიაში დიდი ოდენობით "ქალაქელების", მათ შორის - სამედიცინო სფეროს წარმომადგენლების ჩასმას ლობირებს.

ჯორბენაძის პატრონაჟის ქვეშ არიან ასევე კანცელარიისა და მთავრობის ის წარმომადგენლები, რომლებიც მან თავის დროზე, პარტიის თავმჯდომარედ დანიშვნის პერიოდში, "მოქალაქეთა კავშირის" რიგებში შეიყვანა. ეს ადამიანები, ცხადია, გარანტიებს ითხოვენ და დღევანდელ სიტუაციაში სახელისუფლებო პარტიის წინა რიგებში მოხვედრა მათთვის გაცილებით სერიოზული გარანტიაა, ვიდრე სახელმწიფო მინისტრის მოადგილეობა, ან, თუნდაც, თავიდან დასამტკიცებელი აღმასრულებელი ხელისუფლების სადავეებთან ყოფნა.

"ქალაქელების" სიაში შეყვანით სერიოზულად აქტიურობს სოციალისტი ვახტანგ რჩეულიშვილი, რომლის წინასაარჩევნო მადამაც, როგორც ამბობენ, "ძირძველი მოქალაქეები" შოკში ჩააგდო. ვახტანგ რჩეულიშვილი, რომელსაც ასლან აბაშიძემ "ერთი ფრაქცია ხალხი" შეუყვანა პარლამენტში, ახლა ხელისუფლებისგან ორჯერ გაზრდილ კვოტას ითხოვს საკუთარი პოლიტიკური აქტიურობის საფასურად. მას, ალბათ, იმის იმედი აქვს, რომ საბოლოოდ ისევ 10 დეპუტატს მაინც მიიღებს.

ამ აქტიურობის შედეგად მომავალ სიაში სულ უფრო ნაკლები "სივრცე" რჩებათ "თანადგომის" წევრ და სხვა "ძველ "მოქალაქეებს". ეს კი, როგორც უკვე ვთქვით, მათი აღშფოთების მიზეზი ხდება.

კულუარებში საუბრობენ იმაზეც, რომ სახელისუფლებო ძალების იმ წარმომადგენლებმა, რომლებსაც დღევანდელ სიტუაციაში მომავალ სახელისუფლებო სიაში მოხვედრის შანსები სერიოზულად შეუმცირდათ, საკუთარი პერსონების წამოსაწევად ახალი სახელისუფლებო ფრაქციის შექმნაც განიზრახეს, რათა ამ ფრაქციის შექმნითა და გაზრდილი პოლიტიკური აქტიურობით პრეზიდენტს "საკუთარი ფასი" აჩვენონ. ამბობენ იმასაც, რომ საამისოდ ათი დეპუტატიც გამოიძებნა; თუმცა, ამ ფრაქციის ხელმძღვანელის თანამდებობა ამ ძალებს შორის ახალი განხეთქილების საფუძველი გახდა; ამიტომ ეს საკითხი გაჭიანურდა, მაგრამ დღის წესრიგიდან არ მოხსნილა.

# მეხუთე იზოლატორში შესვლა დროებით იკრძალება

*იუსტიციის მინისტრის როლანდ გილიგაშვილის ბრძანებით, დღეიდან მეხუთე იზოლატორში გარეშე პირთა შესვლა დროებით იკრძალება. განსასჯელების ნახვის საშუალება მხოლოდ იმ ადამიანებს ექნებათ, რომლებსაც ამის უფლებას აძლევს "პატიმრობის შესახებ" კანონის 52-ე მუხლი და "პატიმრობის მოხდის შესახებ" დებულების მე-13 მუხლი.*

თამარ მჭედლიშვილი

ცხადია, რამდენიმე დღის წინ აღძრული სისხლის სამართლის საქმე ჯერ ვერ გასცემს პასუხს კითხვაზე, თუ როგორ მოხვდა მეხუთე იზოლატორში ცეცხლსასროლი იარაღის მთელი არსენალი და კანონით აკრძალული სხვა ნივთები, რომელიც საკნებიდან სპეცოპერაციის მონაწილეებმა ამოიღეს. შესაბამისად, ამაზე პასუხი ჯერ არც იუსტიციის სამინისტროს აქვს.

გამოძიების დასრულებამდე იუსტიციის სამინისტრო კატეგორიულ ზომებს მიმართავს და გარეშე პირებს განსასჯელთა მონახულებას კატეგორიულად უკრძალავს. საგულისხმოა ისიც, რომ ამის გაკეთებას სამინისტროს სთხოვს გენერალური პროკურატურაც.

საქმე ის გახლავთ, რომ ორი დღის წინ გენერალური პროკურატურის სასჯელაღსრულებით სისტემაში კანონების შესრულებაზე ზედამხედველობის სამმართველოს ხელმძღვანელობამ ოფიციალური წერილით მიმართა იუსტიციის მინისტრს. პროკურატურის მოთხოვნა ასე ჟღერს: გამოძიების დასრულებამდე აიკრძალოს არა მხოლოდ განსასჯელების, არამედ სპეცოპერაციის შედეგად დაშავებულთა მონახულება გარეშე პირების მიერ. ცხადია, ეს მოთხოვნა არ გავრცელდება მათზე, ვისაც იზოლატორში შესვლის უფლებას კანონი აძლევს.

პატიმრობის შესახებ კანონი მკაცრად განსაზღვრავს განსასჯელთა ნახვის უფლების მქონე პირთა ვინაობას. სპეციალური ნებართვის გარეშე იქ შესვლის უფლება ენიჭებათ: **საქართველოს პრეზიდენტს, მის მიერ უფლებამოსილ პირებს, პარლამენტის თავმჯდომარესა და პარლამენტის მიერ საამისოდ უფლებამოსილ პირებს, სახალხო დამცველს, ასევე პროკურატურის მიერ უფლებამოსილ პირებს.**

დანარჩენ შემთხვევაში განსასჯელთან შეხვედრის უფლებას მხოლოდ გამომძიებელი, პროკურორი და მოსამართლე იძლევა.

რამდენიმე ხნის წინ იუსტიციის სამინისტრომ მეხუთე იზოლატორში შესვლის ნება დართო პენიტენციალური სისტემის საზოგადოებრივი კონტროლის დამოუკიდებელი საბჭოს წევრებს. მათ განსასჯელების მონახულების უფლება ციხის ადმინისტრაციის თანდასწრებით ჰქონდათ.

ცხადია, მეხუთე იზოლატორში მყოფ მსჯავრდებულთა მონახულებაზე დაწესებული დროებითი აკრძალვა ამ საბჭოს წევრებსაც შეეხებათ, რამაც შესაძლოა, მათი პროტესტი გამოიწვიოს. თანაც, პატიმრობის შესახებ კანონის 93-ე მუხლის თანახმად, "**სასჯელაღსრულების დაწესებულებებზე საზოგადოებრივი კონტროლის უფლება მინიჭებული აქვს მუდმივმოქმედ კომისიას, რომელშიც შედიან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების წარმომადგენლები, საზოგადო მოღვაწენი, არასამთვრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.**

თუმცა, როგორც იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, ასეთი კომისია, წესით, არა სამინისტროსთან, არამედ თითოეულ ციხე-დაწესებულებასთან იქმნება. შესაბამისად, საკუთარი უფლებამოსილების განხორციელება თითოეულ კომისიას მხოლოდ კონკრეტული დაწესებულების ფარგლებში შეუძლია.

აქედან გამომდინარე, მინისტრის ბრძანება არ შეეხებათ სხვა დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელების მსურველებს. დროებითი შეზღუდვა მხოლოდ მეხუთე იზოლატორში შესვლის მსურველებზე ვრცელდება.

საგულისხმოა, რომ ამ გადაწყვეტილებას სავსებით დაეთანხმა პარლამენტის იურიდიული კომიტეტიც.

# ტატიანა გულია: ელექტრომატარებელი სოჭიდან სოხუმში, როგორც დადიოდა, ისე ივლის

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

ასე განუცხადა "24 საათს" მოსკოვში არძინბას წარმომადგენლის პრესმდივანმა ტატიანა გულიამ. მისი თქმით, აფხაზეთში კიევის არაფორმალურ სამიტს დიდი ყურადღებით ადევნებდნენ თვალს და პრეზიდენტ პუტინის კომენტარმა ისინი დააკმაყოფილა.

**"ვლადიმირ პუტინმა პირველმა გაფანტა ამ ფაქტის ირგვლივ ბურუსი და პროცესს თავისი სახელი დაარქვა. სინამდვილეშიც ასე ხდებოდა: რუსულ პასპორტებს სოხუმში არავინ არიგებდა. მოსკოვი მხოლოდ განიხილავდა რუსეთის მოქალაქეობის მიღებაზე აფხაზეთის მკვიდრთა განცხადებებს. ძნელია, არ დაეთანხმო რუსეთის პრეზიდენტს - თუ მილიონამდე ქართველს დღეს რუსეთის მოქალაქეობის მიღება შეუძლია, რა დააშავეს აფხაზებმა?"** - კითხულობს ტატიანა გულია.

"ცოტა არ იყოს, გაუგებარია საქართველოს ხელისუფლების განცხადება, აფხაზეთთან სარკინიგზო მიმოსვლის პარალელურად, კონფლიქტის ზონაში ლტოლვილთა დაბრუნების სინქრონიზებაზე. გალში დღემდე, ჩვენი მონაცემებით, 90 ათასამდე ლტოლვილია დაბრუნებული და ვისაც დარუნება სურს, არც მათთვის არსებობს პრობლემა, ასე რომ, ამ ფაქტში ახალი არაფერია. ხოლო ელექტრომატარებლის მოძრაობის შეწყვეტაზე რუსეთის პრეზიდენტს განცხადება არ გაუკეთებია. საინტერესოა, რის საფუძველზე დაასკვნა ზოგიერთმა ქართველმა ჟურნალისტმა, რომ მოსკოვი აფხაზეთში სარკინიგზო მიმოსვლის შეჩერებას აპირებს? მე მგონი, რუსეთის პრეზიდენტმა ამასაც კონკრეტული პასუხი გასცა," - აცხადებს ტატიანა გულია ჩვენი გაზეთისათვის მიცემულ ინტერვიუში.

მოსკოვში არძინბას წარმომადგენლის პრესმდივანი იქვე აკონკრეტებს, რომ **"გალის რაიონის ქართული მოსახლეობა დღეს ორ ადგილას იღებს ჰუმანიტარულ დახმარებას: ჯერ გალში, შემდეგ გადადიან ხიდზე და ზუგდიდშიც რიგში დგებიან. მიიღონ, არაფერი გვენანება, მაგრამ რატომ აკეთებენ თბილისში ისეთ განცხადებებს, თითქოს ჩვენ ამის წინააღმდეგნი ვართ?"** - კითხულობს გულია.

მოსკოვში აფხაზეთის წარმომადგენლობაში გვაცნობეს, რომ **"ადრე ხელმოწერილი დოკუმენტების თანახმად, ლტოლვილები გალის რაიონში დაუბრკოლებლად ბრუნდებიან და ამ პროცესს ხელს მომავალშიც არავინ შეუშლის".** რაც შეეხება გულრიფშის რაიონს, ტატიანა გულიას გადმოცემით, დღეს იქ ასეთი მდგომარეობაა: გულრიფშში დარჩენილი ნათესავების მოსანახულებლად, მსურველებმა სათანადო განცხადება უნდა დაწერონ. ამ განცხადებების განხილვისა და იმის შემოწმების შემდეგ, ილებდა თუ არა დაბრუნების მსურველი საომარ მოქმედებებში მონაწილეობას, ერთი ან ორი თვით მათ გულრიფშში ჩასვლის უფლება ეძლევათ, თუმცა ლტოლილთა უმრავლესობის სახლები იქ დანგრეულია".

რაც შეეხება კონფლიქტის ზონიდან რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტის გაყვანის პერსპექტივას, გულიას თქმით, **"რუსი მშვიდობისდამცველების აფხაზეთიდან გასვლა ომის განახლებას გამოიწვევს, რაც, პირველ რიგში, არ შედის მოსკოვის ინტერესებში".**

# ზურაბ აბაშიძე: „ჩვენთვის დღეს რუსეთი ნომერი პირველი პრობლემაა"

პირველი გვერდიდან

**- რა კომენტარს გაუკეთებდით მოსკოვში აფხაზეთის წარმომადგენლების მტკიცებას, რომ გალში ლტოლვილთა დაბრუნების პროცესი ახლაც წარმატებით მიმდინარეობს?**

- აფხაზეთი მარტო გალი ხომ არ არის? ლტოლვილები დანარჩენ რეგიონებშიც უნდა დაბრუნდნენ, რა დააშავა გაგრამ და სოხუმმა? ჩვენ ახლა იმაზე ვმუშაობთ, რომ ჩვენმა რუსმა კოლეგებმა სათანადო ზეგავლენა მოახდინონ აფხაზებზე, რათა მათ ხელი არ შეუშალონ ლტოლვილების დაბრუნების დაწყებულ პროცესს. ამ საკითხთანაა მიბმული მანდატის გაფართოების პრობლემაც, რაც გალის ჩრდილოეთით ყველას დაბრუნებას შეუწყობდა ხელს.

საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში ახლა სწორედ ყველა ამ წინადადების კრისტალიზება ხდება. მე ვფიქრობ, ეს რაღაც შედეგს გამოიღებს, იოლი არ იქნება, მაგრამ მაინც მგონია, რომ თებერვლის თვეში აფხაზეთის საკითხში რაღაც მოძრაობას ექნება ადგილი. ფაქტია, რომ რკინიგზის აღდგენაში რუსეთი და არა მარტო რუსეთია დაინტერესებული. რუსეთის ინტერესები მას მერე გაიზარდა, რაც მან სომხეთში დიდი ქონება მიიღო. ვალების გასტუმრების კონტექსტში სომხეთმა რუსეთს მსხვილი საწარმოები გადასცა, მათ აღდგენა-რეაბილიტაციას კი კომუნიკაციები სჭირდება, რასაც საჰაერო მიმოსვლით ვერ განახორციელებენ. რუსეთის სამხედრო ბაზების ინტერესების გარდა, გაჩნდა მესამე ფაქტორიც – სომხეთის საწარმოებსა და ქარხნებს მომსახურე პერსონალი სჭირდება. რკინიგზის აღდგენა რომ ყველასათვის სიკეთის მომტანია, ეს ჭეშმარიტებაა, ოღონდ ამის პარალელურად თანამდევი საკითხების პოლიტიკური მოგვარებაა უპირველესი. სხვანაირად აფხაზეთის დარეგულირებაში წინსვლა არ გვექნება. აი, ამის განმარტებას ვახდენთ დღეს ჩვენს რუს კოლეგებთან. ისინი გაგებით ეკიდებიან საქართველოს ინტერესების დაცვას და ვფიქრობ, მომავალში ამ კურსს არ გადაუხვევენ.

**- ბატონო ზურაბ, როგორ ფიქრობთ, პრეზიდენტ პუტინს მართლა არ ჰქონდა სათანადო ინფორმაცია აფხაზეთის მიმართულებით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენაზე?**

- რა ფორმით იყო ინფორმირებული რუსეთის პრეზიდენტი, ამის თქმა გამიჭირდება. როგორც თვითონ განაცხადა, მე ასე ინფორმირებული არ ვიყავიო. ე.ი. რაღაც ფორმით მას ინფორმაცია მაინც ჰქონდა. ჩემთვის საკმაოდ მაღალი ჩინის რუს მოხელეებს ნათქვამი აქვთ, რომ ამის თაობაზე რუსეთის ხელისუფლება საქმის კურსში არ იყო. ამაზე ჩვენ ვუპასუხეთ - ძალიან კარგი, თუ ასეა, მაგრამ ახლა ხომ ინფორმირებულია, ახლა მაინც შევაჩეროთ მიმოსვლა. ამის შემდეგ ფაქტს ჰუმანიტარული დატვირთვა მისცა რუსეთის მხარემ და ამ პროცესის შეჩერება მიზანშეუწონლად მიაჩნია. წარმოვიდგინოთ ახლა, მოსკოვის ცენტრში რომ გამოჩნდეს ჩინური მატარებელი, რომელიც ჰუმანიტარული თვალსაზრისითთ გამოაგზავნეს ჩინეთიდან. ხომ იკითხავს ვინმე, ვინ მისცათ ნებაო. პასუხი, რომ ეს კომერციული სტრუქტურების ნახელავია, სასაცილოა.

**პუტინმა კიევში თქვა, რომ "უაზრობაა ანკლავების შექმნა, რაღაც გეტო ან ეკონომიკურად ვინმეს მოხრჩობა. დღემდე ეს არავის გამოსდიოდა, ვფიქრობ, არ გამოვა არც აფხაზეთთან მიმართებაში". არ გექმნებათ შთაბეჭდილება, რომ რუსეთის ოფიციალური პოზიცია ამის შემდეგ ჩვენთვის ცხადი და გასაგები უნდა იყოს?**

- ალბათ, ამ თვალსაზრისითაც არაა ბოლომდე ინფორმირებული რუსეთის პრეზიდენტი. ან არავინ განუმარტა, რომ არავითარი ბლოკადა აფხაზეთის წინააღმდეგ არ არსებობს. დსთ-ს მეთაურთა სამიტის 1996 წლის დადგენილებაში საუბარია იმაზე, რომ სეპარატისტულ რეჟიმებთან საქართველოს ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად არ განხორციელებულიყო ეკონომიკური, ფინანსური და სხვა სახის კონტაქტები. საქართველოს ხელისუფლებას არავითარი ბლოკადა არ დაუწესებია. ისიც მშვენივრად ვიცით, როგორ სრულდებოდა მომდევნო წლებში რუსი კოლეგების მხრიდან ეს ხელშეკრულება.

**- დღეს მოსკოვში გაჩნდა ინფორმაცია, რომ აქ იმყოფებიან აფხაზეთის ხელისუფლების წარმომადგენლები და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში რუს კოლეგებს ხვდებიან. ქართულ წყაროებზე დაყრდნობით, საუბარი მიდის აფხაზეთში რუსეთის საზღვარგარეთული პასპორტების დარიგებაზე. თქვენ შეგიძლიათ ამ ინფორმაციის დადასტურება?**

- მოგახსენებთ იმ ოფიციალურ ინფორმაციას, რასაც ჩვენი რუსი კოლეგები გვიხმოვანებენ. რუსეთის მხარის ვერსია ასეთია: რუსეთის კანონმდებლობით, მათ უნდა მიიღონ ნებისმიერი პიროვნების განცხადება, რუსეთის მოქალაქეობის სურვილით. ამის საწინააღმდეგო სამართლებრივი ნორმა არ არსებობს. მაგრამ იმავე კანონში წერია, რომ ეს რუსეთმა საკუთარ ტერიტორიაზე უნდა გააკეთოს. იმ ქართული ეროვნების პიროვნებებმა, ვინც პრეზიდენტ პუტინს ჰყავდა მხედველობაში, მოქალაქეობა რუსეთის ტერიტორიაზე მოითხოვეს, აქ ცხოვრობდნენ. მათთვის თბილისში კი არ მიუკითხავთ, რუსეთის მოქალაქეობა ხომ არ გინდათო? აფხაზებს კი სოხუმში ჩააკითხეს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის თანამშრომლებმა. სხვაობა ძალზე დიდია. ასე შეიძლება საკონსულო დესანტი ბრაზილიაში, პარაგვაიშიც გაგზავნო და იკითხო, აქ ხომ არავის უნდა რუსეთის მოქალაქეობის მიღებაო. მსურველი შეიძლება სომალიშიც იპოვო, რადგანაც იქ დღეს მძიმე მდგომარეობაა და იქაც ყველა დიდი სიხარულით მიიღებს რუსეთის მოქალაქეობას.

აქ გულდასაწყვეტი ის არის, რომ საქმის კურსშიც კი არ ჩაგვაყენეს და ამის შესახებ ჩვენ პრესის საშუალებით შევიტყეთ. ტელევიზიით გავიგეთ ელექტრომატარებლის გაშვებაც. როცა ქვეყანა მედიატორის როლშია, მეტი პოლიტკორექტულობა მოეთხოვება.

**- იგივე ლოგიკით ხვალ შეიძლება კონფლიქტის ზონაში ჯარიც შეიყვანო საკუთარი მოქალაქეების დასაცავად?**

- სწორედ ეს იწვევს ჩვენს შეშფოთებას. თეორიულად ამის დაშვებაც შეიძლება. თუმცა, ეს არავის აწყობს და ორი ქვეყნის ურთიერთობების ამ გზით წარმართვა მიუღებელია. რაც შეეხება პასპორტებს, ჩვენი ინფორმაციით პასპორტები იქ არავის გაუცია. ძველ საბჭოთა პასპორტებში, რომელთაც ვადა 2003 წლის ბოლომდე აქვთ, მხოლოდ შტამპებია ჩარტყმული. მაგრამ ჩვენს რუს კოლეგებთან უკვე განვიხილავთ ამ საკითხს და მათ უარი არ უთქვამთ იმაზე, რომ იქნებ თხოვნით მივმართოთ გაერო-ს, გასცენ აფხაზეთის მოსახლეობაზე პირადობის დამადასტურებელი მოწმობები. რათა ის ხალხი, ვინც არ არის რუსეთის მოქალაქე და არც საქართველოს მოქალაქეობას ცნობს, იურიდიულ ვაკუუმში არ დარჩეს. ამის პრეცედენტები მსოფლიოში არსებობს. სხვათაშორის, ეს საკითხი ჩვენ ოთხიხუთი წლის წინათაც დავაყენეთ და მაშინ რუსეთმა მხარი არ დაგვიჭირა.

პრეზიდენტების შეხვედრის შემდეგ გაჩნდა იმის რეალური იმედი, რომ ორსამ კვირაში სამუშაო ჯგუფები ამ პრობლემატიკას სწორედ ასეთი რაკურსით განიხილავენ. ჩვენ კატეგორიული წინააღმდეგნი ვართ, მათ მიეცეთ რუსეთის პასპორტები. რუს კოლეგებს განვუმარტეთ, რომ კონფლიქტის დარეგულირებამდე ამის დაშვება არ შეიძლება. ამ პერიოდში კი მათ შეიძლება, რომ გაერო-ს პასპორტები ჰქონდეთ.

**- საქართველოს პრეზიდენტმა კიევში განაცხადა, რომ არ იცის როგორ მოიქცევა, თუკი სამშვიდობო კონტინგენტი დატოვებს კონფლიქტის ზონას...**

- მერედა, ვინ მალავს, რომ მათი გაყვანა პრობლემატური და სახიფათოა? ის, რომ რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტმა აფხაზეთში ამოწურა თავისი შესაძლებლობები და ამჟამად სამშვიდობო ოპერაციის დისკრედიტება ხდება, ამას პრეზიდენტები არ უარყოფენ. ისიც ფაქტია, რომ უნდა შეიცვალოს მანდატი, მაგრამ ამ ეტაპზე სამშვიდობოთა გაყვანა სახიფათოა, ამაში ჩვენ უნდა დავეთანხმოთ რუსეთის პრეზიდენტს.

ბუნებრივია, საქართველოს პრეზიდენტმა რაღაცა მართლა უნდა მოიგონოს ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად. ჩვენ კი უნდა ვაიძულოთ რუსი კოლეგები, რომ საპასუხო კომპრომისული ნაბიჯები გადმოდგან. მითუმეტეს, რომ ამის თაობაზე არის დსთ-ს ქვეყნების მეთაურთა გადაწყვეტილება. უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ პრეზიდენტი პუტინი უფრო მკაცრ მითითებებს გასცემს და დააჩქარებს ამ პროცესს.

**- რა ევალებათ ამ მხრივ, მაგალითად, მოსკოვში ქართველ დიპლომატებს?**

- ახლა დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს იმის რეალიზაცია, რაზედაც კიევში პრეზიდენტებმა მოილაპარაკეს. ეს იოლი არ არის და ამ პროცესში ახლა იურისტებიც უნდა ჩაერთონ. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, ბატონ ლოშჩინინის წარმომადგენელი ამ დღეებში თბილისში ჩავა. ხელი უნდა შევუწყოთ ჩარჩო ხელშეკრულების დასრულების პროცესს. ამაზე სიტყვიერი მზადყოფნა რუსეთის მხრიდან გვაქვს. უნდა გააქტიურდეს ეკონომიკური ბერკეტებიც, ერთობ წარმომადგენლობითი სამთავრობათაშორისი კომისიის მუშაობაც. ძნელია რუსეთთან ურთიერთობაში დღეს ველოსიპედის გამოგონება. ჩვენთვის დღეს რუსეთი ნომერი პირველი პრობლემაა, იგი კი ძირითადად ერაყზეა გადართული.

- ახლა მარგარეტ ტეთჩერის წიგნს ვკითხულობ, სადაც ერთი ასეთი ქვეთავია - "რუსეთის გამოცანა". ისეთი დონის პოლიტიკოსისათვისაც, როგორიც ტეთჩერია, ბოლომდე გამოუცნობი დარჩა რუსეთი. ამ შეკითხვას სვამდნენ მეჩვიდმეტე, მეთვრამეტე, მეცხრამეტე საუკუნეებშიც. ნინო ბურჯანაძის მოსკოვური შეხვედრებისას, რუსეთის ხელისუფლების ერთი მაღალი კაბინეტიდან მეორეში, მეორედან მეათეში მოგზაურობისას გამიჩნდა ასეთი შეკითხვა: როდემდე იქნება რუსეთი გამოცანა?

*ესაუბრა რუსუდან ნიკურაძე*
*საქ.კორ.მოსკოვში*

# სიღარიბის დაძლევას, უპირველესად, კორუფცია აბრკოლებს

ნინო ნარჩემაშვილი

საქართველოსათვის შემუშავებული "სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის პროგრამა", რომელიც ევროკავშირისა და გაერო-ს ფინანსური მონაწილეობითა და საქართველოს თანადაფინანსებით უნდა წარიმართოს, 15-წლიან პერიოდს მოიცავს.

ეკონომიკურ ექსპერტს ნიკო ორველაშვილს მიაჩნია, რომ **"პროგრამაზე მუშაობისას წელიწადნახევარი, ფაქტობრივად, ფუჭად დაიკარგა და დღეისათვის იგი მაინც არ არის სრულყოფილი. კერძოდ, ვერა და ვერ მოხერხდა პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა; იმის დადგენა, თუ საზოგადოებრივი ცხოვრების რომელი სფეროსაკენ მიიმართოს უფრო მეტი სახსრები. ამის მიზეზი კი სახელმწიფო მართვის არაეფექტური სისტემა გახლავთ, რაც ქვეყანაში ყველა დადებითი ინიციატივის ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს."**

საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და მოლდოვას წარმომადგენლები "სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის პროგრამას" სასტუმრო "თორში," ორდღიან სემინარზე განიხილავენ. ღონისძიება ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამის (Tacis) და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროკავშირთან ურთიერთობის დეპარტამენტის ინიციატივით მოეწყო. ევროკავშირი მონდომებულია, მაქსიმალურად ეფექტურად დაგეგმოს პრიორიტეტები, შიდა თუ გარე რესურსები, რომ პროგრამა თავის მიზანს პასუხობდეს.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის თამარ ბერუჩაშვილის განცხადებით, საქართველოში აღნიშნულ პროგრამაზე თეორიული მუშაობა თებერვლისათვის უნდა დასრულდეს და განისაზღვროს საბოლოო ვარიანტი. მონაწილე ქვეყნები კი ერთად იმ პრინციპით შეიკრიბნენ, რომ "სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის პროგრამა" სომხეთში, აზერბაიჯანში და მოლდოვაშიც ხორციელდება და პრობლემებიც თითქმის იდენტურია.

და მაინც, რა უშლის ხელს პროგრამის პრაქტიკული განხორციელების დაწყებას? თორბენ ჰოლცეს განცხადებით, ხელისშემშლელ ფაქტორს ქვეყანაში არსებული კორუფცია წარმოადგენს და ისიც, რომ პროგრამა უფრო მარტივად და ქმედითად უნდა იყოს შედგენილი, რათა არ გართულდეს ქაღალდიდან რეალურ ცხოვრებაში მისი გადმოტანა.

# რკინიგზა თვითნებობს, პარლამენტი აპროტესტებს, მგზავრობა კი ძვირდება

პირველი გვერდიდან

ტარიფების ზრდას შპს "რკინიგზის" გენერალური დირექტორის მოადგილე რამინ მითაიშვილი მგზავრებისათვის კომფორტის შესაქმნელად აუცილებელი ხარჯების სიდიდით ხსნის. მისი განმარტებით, რკინიგზას ძვირი უჯდება ახალი ვაგონებისა და სალიანდაგო მეურნეობის მოვლა. **"რკინიგზა - ეს არის შპს!"** – შეახსენა გუშინ მითაიშვილმა პარლამენტარებს; თუმცა, მას არც პარლამენტარები ჩამორჩნენ და იქვე განუმარტეს, რომ ეს "შპს" 100 პროცენტით სახელმწიფო საკუთრებაა და ამიტომ თვითნებობის უფლება არ გააჩნია. **"2002 წელი რკინიგზამ 20 მილიონი ლარის მოგებით დაასრულა. ვის რაში სჭირდება ეს, თუ სახელმწიფომ ხალხზე არ იზრუნა და უქონელთა ხარჯზე გაზარდა საკუთარი მოგება?"** – აღშფოთდა დეპუტატი ვახტანგ ხმალაძე.

საბოლოოდ, რკინიგზის მიერ სამგზავრო ტარიფების გაზრდა იმას დაბრალდა, რომ რკინიგზის მარეგულირებელი ორგანოს შექმნის საკითხი, ჯერჯერობით, გადაწყვეტილი არ არის. როგორც გაირკვა, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრომ დროულად არ შექმნა



"საქართველოს რკინიგზის" "კომფორტული" ვაგონი

საგანგებო მარეგულირებელი ორგანო, რომელსაც სარკინიგზო ტარიფების დადგენა უნდა დავალებოდა. **"როცა მარეგულირებლის შექმნის საკითხი დღის წესრიგში დადგა, რკინიგზის ხელმძღვანელობა ამის წინააღმდეგ გამოვიდა, ვინაიდან ეს ადმინისტრაციული ერთეული, წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით, თავად "რკინიგზას" უნდა დაეფინანსებინა,"** – იმართლა თავი ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის მოადგილემ მერაბ გაბუნიამ. **"სამინისტროს თავისი მოვალეობა უნდა შეესრულებინა და მიუხედავად იმისა, წინააღმდეგი იყო თუ არა რკინიგზა, მარეგულირებელი ორგანოს შექმნაზე ეზრუნა!"** – მოკლედ მოუჭრა გაბუნიას შპს "საქართველოს რკინიგზის" გენერალური დირექტორის მოადგილემ რამაზ გიორგაძემ.

რკინიგზის მიერ ტარიფების ზრდას უმართებულოდ მიიჩნევს ქონების მართვის მინისტრის მოადგილე ზურაბ გარაყანიძე. მისი აზრით, რადგან მარეგულირებელი ორგანო არ არსებობდა, რკინიგზას ტარიფის ზრდა ფასების სახელმწიფო ინსპექციასთან მაინც უნდა შეეთანხმებინა და გადაწყვეტილება თვითნებურად არ უნდა მიეღო.

# მსოფლიო ბანკს თანადაფინანსებას, გლეხებს კი დასაქმებას ჰპირდებიან

სოფიკო ოხანაშვილი

საქართველოში მსოფლიო ბანკის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტი სოფლის მეურნეობის განვითარებაა. ამიტომ ახალი რეგიონული დირექტორის დონა დოუსეთ-კორიოლოს თბილისში ვიზიტის დროს განსაკუთრებული ყურადღება სწორედ ამ სფეროზე გამახვილდა. საქართველოში მთავარი პრობლემა თანადაფინანსების შეფერხებას უკავშირდება. იგივე დადასტურდა სოფლის მეურნეობის მინისტრთან დავით კირვალიძესთან გუშინდელი შეხვედრის დროსაც. გუშინვე შემუშავდა ერთობლივი განაცხადის საბოლოო ვარიანტი.

**"ჩვენ არ გვინდოდა წინადადებების შეუჯერებლად წარდგენა. ჩვენი აზრები ერთმანეთს დაემთხვა, ამიტომ გადაწყვეტილების მიღება ადვილი იქნება"**, - ასე შეაფასა მსოფლიო ბანკის ჯგუფთან გუშინდელი შეხვედრა სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით კირვალიძემ. მისი თქმით, დონორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ იმ 91 მილიონიან გრანტში, რომელიც 2004-2006 წლებზეა გაწერილი, განსაკუთრებული მნიშვნელობა სოფლის მეურნეობის სექტორს მიენიჭება. გუშინდელ შეხვედრაზე საუბარი შეეხებოდა სამინისტროს მიერ წარდგენილ სამ პროექტს. პროექტების მთავარ მიზნად დავით კირვალიძემ დაასახელა: სოფლის ინფრასტრუქტურაში საფინანსო სამსახურების გააქტიურება, ფერმერებისთვის კრედიტის ხელმისაწვდომობა, ფერმერობითა და მიწათმოქმედებით დასაქმებული მოსახლეობის ნაწილის გამოთავისუფლება და სხვა სექტორში დასაქმება, ანუ სოფლად ალტერნატიული სამუშაო ადგილების შექმნა, სადრენაჟო თუ სარწყავი სისტემების აღდგენა და წყალმომხმარებელთა ასოციაციის ჩამოყალიბება. **"ფერმერობა და მიწათმოქმედება არ უნდა იყოს ერთადერთი გამოსავალი. ამ საქმიანობით მოსახლეობის 60 პროცენტია დაკავებული, რაც ძალიან ბევრია და ცუდია იმიტომ, რომ მათ ალტერნატივა არ გააჩნიათ. ჩვენ ვთავაზობთ ასეთ რამეს - სოფლებში ყველაზე კარგი იქნება გადამამუშავებელი მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისა და ხაზების დანერგვა, სადაც მოხდება წარმოებული პროდუქციის გადამუშავება, აგრეთვე, ველურად მზარდი პროდუქციის შეგროვება. შემოვა შემგროვებლობის მომენტი. ადამიანები დაკავდებიან პროდუქციის შეგროვებითა და მისი გადამუშავებით. ეს იქნება დამატებითი შემოსავლის წყარო,"** - განმარტა სოფლის მეურნეობის მინისტრმა.

მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებთან საუბრისას ძირითადი პრობლემა, რაც გამოიკვეთა, თანადაფინანსებაა. ამ შემთხვევაში მსოფლიო ბანკის საყვედური ფინანსთა სამინისტროს ეკუთვნის და არა მსოფლიო ბანკის პარტნიორ, ცალკეულ უწყებებს. კირვალიძის განცხადებით, ფინანსთა სამინისტრომ პირობა დადო, რომ მომავალი წლიდან თანადაფინანსებასთან დაკავშირებული პრობლემები სოფლის მეურნეობის სამინისტროს აღარ შეექმნება.


## ექსპლოატაციის ტექნიკოსი

კომპანია "ბი-პი ექსპლორეიშენ (კასპიან სი) ლიმიტედ" (საქართველო) BP Exploration (Caspian Sea) LTD. Georgia) აცხადებს კონკურსს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის ექსპლოატაციის ნაწილში ექსპლოატაციის ტექნიკოსის ვაკანსიის დასაკავებლად.

**მოვალეობები და პასუხისმგებლობები:**

შერჩეული კანდიდატები გაივლიან ოფიციალურ სწავლებას, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის სრულ ამოქმედებამდე, და ორიენტაციის პროგრამის გავლის შემდეგ ჩაირიცხებიან მილსადენის ექსპლოატაციის და ტექმომსახურების ჯგუფში, რომელიც უზრუნველყოფს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის და მისი ობიექტების გამართულ მუშაობას და მექანიკურ მთლიანობას.

**ზოგადი მოვალეობები და პასუხისმგებლობები მდგომარეობს შემდეგში (არ შემოიფარგლება რა ამით):**

- საექსპლოატაციო ტექმომსახურების პროცედურების ცოდნის დემონსტრირება;
- მილსადენის ტექმომსახურების ყველა საჭირო პროცესის, პროცედურის და ვალდებულების სათანადოდ შესრულება;
- კომპანიის პოლიტიკის წესების დაცვა, ვალდებულებების და მენეჯმენტის სისტემის მოთხოვნების შესრულება;
- "ადამიანთა ჯანმრთელობის, უსაფრთხოების ტექნიკის და გარემოს დაცვის" (HSE) პრინციპებისადმი ერთგულების დემონსტრირება:
  - უსაფრთხო და ეფექტური კონტროლის განხორციელება სამუშაო ობიექტზე;
  - "მუშაობის ნებართვის" სისტემის და ობიექტის უსაფრთხოების ჟურნალის შევსების ყველა წესის შესრულება;
  - HSE-ს და "წარმოების" სფეროებში პროცედურების დაცვის უზრუნველყოფა.
- პროფილაქტიკური მიდგომა პრობლემების მოგვარებისადმი და საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების მიღებისათვის მზადყოფნა;
- მზადყოფნა მოშორებული ადგილმდებარეობის მქონე ობიექტებზე მუშაობისათვის;
- აუცილებელია ადამიანებთან ურთიერთობის დადებითი უნარის გამოვლენა ობიექტზე მომუშავე პერსონალთან და მილსადენის საოპერაციო ჯგუფის წევრებთან ურთიერთობისას;
- აუცილებელია გუნდური მუშაობის კარგი უნარი;
- სხვადასხვა მოწყობილობის ტექნიკური მახასიათებლების ათვისების უნარის გამოვლენა;
- აქტიური მონაწილეობა მილსადენის / ობიექტების გამართული მუშაობის მართვის პროცესში;
- სამუშაოს დაგეგმვის და დროის განაწილების ჩამოყალიბებული უნარი.

**კონკრეტული მოვალეობები განისაზღვრება გამოსაცდელი პერიოდის გასვლის შემდეგ.**

**მუშაობის გამოცდილება და განათლება:**
**კანდიდატს უნდა გააჩნდეს:**

- შესაბამისი საუნივერსიტეტო განათლების დიპლომი ტექნიკური სპეციალობით (ინჟინერი);
- საწარმოო დაწესებულებებში, მაგ., ელექტრო, ხელსაწყოების, მექანიკურ საწარმოებში მუშაობის საკმარისი გამოცდილება;
- ინგლისურ ენაზე ზეპირი და წერითი მეტყველების უნარი და ენის უკეთ შესწავლის სურვილი;
- ავტომანქანის მართვის უფლება (მინიმუმ "B" კატეგორია);
- კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევები.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2003 წლის 14 თებერვალი, პარასკევი, 18 საათი.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

**კადრების განყოფილება**
**"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"**
**"ბი-პი საქართველო", საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38**


## მოკლედ

**თბილისი.** გუშინ ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროში გაიმართა შეხვედრა სამინისტროსა და მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებს შორის, რომელსაც ექსპერტებიც ესწრებოდნენ. შეხვედრაზე განიხილეს ეკონომიკის ინდიკატური გეგმა, შეაფასეს გასული წლის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები და იმსჯელეს ეკონომიკურ ტენდენციებზე. ისაუბრეს მიზნობრივი პროგრამების მომზადების, განხორციელებისა და მიმდინარეობის შედეგებზე. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ მარტის მეორე ნახევრიდან დაიწყება ინტენსიური ერთობლივი მუშაობა. მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობა მხოლოდ რეკომენდაციებით აღარ შემოიფარგლება და ბიუჯეტის ფორმირების პროცესშიც მიიღებს მონაწილეობას. ამავე დროს, იგი ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას გაუწევს პროგრამას. სამინისტრომ მსოფლიო ბანკს შესთავაზა ლიცენზიებისა და ნებართვების კანონში ცვლილებების შეტანა და კანონის გამარტივების მხრივ რეკომენდაციების გაწევა. *24 საათი*

■ ■ ■

**თბილისი..** გუშინ, დაახლოებით 14.30 საათზე ავარია მოხდა ელექტროგადამცემ ხაზ "კავკასიონზე", რომლითაც საქართველო რუსეთიდან ელექტროენერგიას იღებს. ავარია მოხდა სვანეთის მონაკვეთზე, სოფელ ტობართან, რის შედეგად საქართველოს ენერგომომარაგება 350 მეგავატით შეიზღუდა. ავარიის მიზეზები ჯერჯერობით უცნობია. შემთხვევის ადგილზე მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები. *კავკას-პრესი.*

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ ხელი მოაწერა განკარგულებას სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ, რომელმაც უნდა შეისწავლოს ცენტრალურ ბიუჯეტსა და აჭარის ბიუჯეტს შორის არსებული ფინანსური პრობლემები. კომისიას ჰყავს ორი თანათავმჯდომარე - საქართველოს ფინანსთა მინისტრი მირიან გოგიაშვილი და აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე როსტომ ბოლქვაძე. *კავკას-პრესი.*

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ ხელი მოაწერა განკარგულებას სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ, რომელმაც უნდა მოამზადოს შეთანხმების პროექტი სს "აზოტის" აქციათა 90 პროცენტის პრივატიზების შესახებ. კომისიამ, რომელსაც ხელმძღვანელობს ქონების მართვის მინისტრი სოლომონ პავლიაშვილი, ორი კვირის ვადაში უნდა დაასრულოს მუშაობა დოკუმენტის პროექტზე. *კავკას-პრესი.*

■ ■ ■

**ერევანი.** 5 თებერვალს სომხეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი გახდება. როგორც სომხეთის რესპუბლიკის ვაჭრობისა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროში განაცხადეს, ამის შესახებ ოფიციალური შეტყობინება მიიღეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის გენერალური დირექტორის, დოქტორ სუპაჩისაგან. *კავკას-პრესი.*

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2003 25 - 31 იანვრის მდგომარეობით



მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6089 | 0.6544 | 0.0051 |
| US$ | 1.6423 | | 1.0748 | 0.0084 |
| €uro | 1.5276 | 0.9304 | | 0.0078 |
| ¥en | 195.88 | 119.26 | 128.13 | |


## შესყიდვების სპეციალისტი

კომპანია "ბი-პი"-ს მილსადენის ექსპლოატაციის და მშენებლობის პროექტების მიზნებისათვის და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს შესყიდვების სპეციალისტის თანამდებობის დასაკავებლად. შესყიდვების სპეციალისტი წარმოადგენს საქართველოში "ბი-პი"-ს მილსადენების პროექტების კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც იმუშავებს "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.

**სამუშაოს აღწერა:**

შესყიდვების სპეციალისტის პასუხისმგებლობის სფეროში შედის საქონლისა და მასალების შესყიდვის კონტრაქტების გაფორმება, ხოლო ძირითად მოვალეობას შეადგენს შესყიდვების ზოგადი ადმინისტრირება. შესყიდვების სპეციალისტს მოეთხოვება უზრუნველყოს, რომ კომპანია "ბიტ-პი"-ს სახელით განხორციელებული შესყიდვები შესრულდეს ეთიკური ნორმების სრული დაცვით, ჯანსაღი ბიზნეს-პრაქტიკის გამოყენებით, ხარისხის, საერთო ღირებულების, მოწოდების პირობების, საიმედოობის, უსაფრთხოების ტექნიკისა და გარემოს დაცვის, აგრეთვე შესაბამისი წესებისა და ნორმების მოთხოვნების შესრულების პირობებში, რომელიც ჩამოყალიბებულია "ბი-პი"-ს ბროშურაში - "ჩვენი პრინციპები" ("What We Stand For").

**მოვალეობები და პასუხისმგებლობები:**

შესყიდვებთან დაკავშირებული კონკრეტული მოვალეობები მოიცავს შემდეგს:

მოთხოვნების დამუშავება მარაგების რეგულარული, არასასწრაფო შესყიდვის თაობაზე. კონკრეტულ ფუნქციებში შედის:

საერთაშორისო და ადგილობრივი მომწოდებლების მოძებნა, სატენდერო სიის შედგენა (საჭიროების შემთხვევაში) და ფასიანი წინადადებების მოთხოვნის გამოქვეყნება;

ფასიანი წინადადებების მიღება და შეფასება, კონტრაქტის გაფორმების რეკომენდაციის გაცემა;

ძირითადი "მიწოდების შეკვეთების" მომზადება;

შეკვეთის გაფორმების შემდგომი მენეჯმენტი, მათ შორის, ტექნიკური და კომერციული საკითხების გადაწყვეტის ოპერატიული კოორდინირება;

"მიწოდების შეკვეთების" და მასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების სათანადო აღრიცხვიანობის წარმოება.

კონტრაქტების გაფორმების ნაწილში კონკრეტული მოვალეობები მოიცავს შემდეგს:

"მომსახურების შეკვეთის" მომზადება რეგულარულ, არასასწრაფო მომსახურებაზე;

ჩარჩო-ხელშეკრულებების მომზადება;

სხვა ძირითადი კონტრაქტების მომზადება;

კონტრაქტის გაფორმების შემდგომი ადმინისტრირება;

კონტრაქტების და მასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების სათანადო აღრიცხვიანობის წარმოება.

პასუხისმგებლობათა სფეროში შედის ისეთი საკითხების უზრუნველყოფა, როგორიცაა:

დამკვეთის მოთხოვნების და გრაფიკების დაცვა;

პროფესიული და ეთიკური ბიზნეს-პრაქტიკის წესების მუდმივად დაცვა;

დამოწმების და შესაბამისი სახელმძღვანელოებით დაწესებული კონტროლის სხვა მექანიზმების შესრულება;

ხარისხის, საერთო ღირებულების, მოწოდების პირობების, საიმედოობის, უსაფრთხოების ტექნიკის და საქართველოს სხვა შესაბამისი კანონმდებლობის და ნორმატივების სათანადოდ დაცვა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში;

შემკვეთის ინიციატორის ინფორმირება შეკვეთასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ;

საჭიროების შემთხვევაში, უფრო გამოცდილი კოლეგებისაგან კონსულტაციის მიღება.

**გამოცდილება და განათლება:**

კანდიდატს უნდა გააჩნდეს უმაღლესი განათლების დიპლომი. აუცილებელია კონტრაქტების და შესყიდვების სპეციალობით მუშაობის მინიმუმ 2 წლის სტაჟი. უალრესად სასურველია ინგლისურად ზეპირმეტყველების და გამართული წერითი მეტყველების უნარი. სასურველია რუსული ენის თავისუფლად ფლობის უნარი. ადამიანებზე ზემოქმედების დადებითი უნარის ფლობა აუცილებელია. უპირატესობა ენიჭება დასავლურ ორგანიზაციაში მუშაობის გამოცდილებას. კანდიდატს მოეთხოვება დატვირთული სამუშაოსთვის თავის გართმევის უნარი - სამუშაოს ხარისხის, სიზუსტის და დროის ჩარჩოების დაცვის პირობებში.

აუცილებელია კომპიუტერული პროგრამების - Microsoft Word და Excel - სრულყოფილი ფლობა და კომპიუტერთან მუშაობის ჩირითადი უნარ-ჩვევები.

კანდიდატისთვის საჭირო ტექნიკური უნარ-ჩვევები, ზოგადად, მდგომარეობს შემდეგში:

შესყიდვების ძირითადი წესების გამართული ცოდნა სამუშაო დონეზე;

ამ ცოდნის გამოყენებით, რეგულარულ შეკვეთებთან დაკავშირებული შესყიდვების დოკუმენტების მომზადება და გამოცემა;

შეკვეთების დოკუმენტების ეფექტური განკარგვა და შეკვეთის შემდგომი ოპერაციების შესრულება, მინიმალური ზედამხედველობის პირობებში.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადა 2003 წლის 12 თებერვალი, ოთხშაბათი, 18 საათი.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

**კადრების განყოფილება**
**"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"**
**"ბი-პი საქართველო"**
**საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38**

# ცენტრალური აზია: დემოკრატია თუ სტაბილურობა

*11 სექტემბრის შემდეგ, ცენტრალური აზიის ქვეყნები ტერორიზმთან ბრძოლაში აშშ-ს მოკავშირეებად იქცნენ. მაშინვე გაჩნდა კითხვა, რას იზამს ამერიკა, დაუჭერს მხარს არსებულ დიქტატორულ რეჟიმებს თუ შეეცდება, ახალ მოკავშირე ქვეყნებს დემოკრატიული რეფორმებისაკენ უბიძგოს. ქვემოთ გთავაზობთ მცირე ფრაგმენტს აშშ-ს ეროვნული სტრატეგიული კვლევების უფროსი ექსპერტის, იუჯინ რამერის სტატიიდან "ფლეშმენის შურისძიება: ცენტრალური აზია 11 სექტემბრის შემდეგ", სადაც ავტორი სწორედ ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ცდილობს.*



*ცენტრალური აზიის პრეზიდენტების შეხვედრა ვლადიმირ პუტინთან.*

ცენტრალურ აზიაში არსებული სტატუს-ქვო უფრო მეტ პრობლემას ქმნის რეგიონის მომავალი განვითარებისათვის, ვიდრე შესაძლებლობას. მმართველ რეჟიმებს უკვე მყარად აქვთ გადგმული ფესვები. ოპოზიციური დაჯგუფებები დაუძლურებული და რეპრესირებულნი არიან, მიუხედავად დასავლეთის არაერთი მოწოდებისა ადამიანის ყველაზე ძირითადი უფლებების დაცვისაკენ. ხელისუფლების მემკვიდრეობითობა ცენტრალური აზიის ყველა რეჟიმის მთავარ პრობლემას წარმოადგენს. დემოკრატია "პერესტროიკისა" და "გლასნოსტის" ეპოქის შემდეგ მუდმივად უკან იხევს.

არ არსებობს ზღვარი ძალაუფლებასა და ფულს შორის. როგორც კორუფციასთან დაკავშირებული არაერთი სკანდალი თუ დამოუკიდებელი გამოძიება ადასტურებს, ძალაუფლება ფულის შოვნის ყველაზე რეალურ გზას წარმოადგენს. შედეგად, მცირერიცხოვანი ელიტის ხელში დიდი სიმდიდრე იყრის თავს, მოსახლეობის უმრავლესობა კი ღატაკდება. ამგვარად, ცენტრალური აზიის მოკლევადიანი სტაბილურობის ძირთადი ფაქტორი, ამავდროულად, ქვეყნის გრძელვადიანი სტაბილურობისა და ეკონომიკური ზრდის მთავარ მუხრუჭად გვევლინება.

ამგვარი ვითარება, რაც ცენტრალური აზიისათვის უნიკალური სულაც არ არის, ამერიკის ხელისუფლებისათვის სერიოზულ დილემას წარმოშობს, მოკლევადიანი სტაბილურობისა და გრძელვადიანი განვითარების მხარდაჭერას შორის. ეს საკითხი ვაშინგტონის წინაშე, უკვე ათი წელია, დგას, მაგრამ 11 სექტემბრის შემდეგ ფსონებმა განსაკუთრებით აიწია.

მაღალი ფსონებისა და პოლიტიკური და ეკონომიკური მოდერნიზაციისათვის მუდმივი წინააღმდეგობის გამო, ცენტრალურ აზიაში აშშ-ს ერთადერთი რეალური არჩევანი რჩება – ითანამშრომლოს არსებულ რეჟიმებთან და, ამავდროულად, ხელი შეუწყოს ეტაპობრივ ცვლილებებს ამ ქვეყნების პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებში.

ეკონომიკური დახმარების მხრივ, აქცენტი უნდა გაკეთდეს სიღარიბის დაძლევაზე და პოლიტიკური არასტაბილურობის მთავარი წინაპირობის – უმუშევრობის შემცირებაზე. ვინაიდან რეგიონს ესაჭიროება მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, რაც დიდი ოდენობით მუშახელს მოითხოვს, საერთაშორისო დახმარება სწორედ ამგვარი პროექტების რეალიზაციისაკენ უნდა იყოს მიმართული.

ამერიკისათვის გაცილებით უფრო რთულია ამ ქვეყნების საშინაო პოლიტიკის სფეროში პრიორიტეტების დასახვა.

90-იანი წლების გამოცდილება მოწმობს, რომ რეგიონის ქვეყნების მმართველი რეჟიმებისათვის დემოკრატია უცხო ხილად რჩება. უკეთეს შემთხვევაში, დემოკრატიას მხოლოდ ფორმალურად აღიარებენ დასავლეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისათვის თვალის ასახვევად. ამრიგად, ყველაზე მთავარი პრობლემა – გამომდინარე იქიდან, რომ ხელისუფლების მემკვიდრეობითობა ყველა ქვეყანაში გარდაუვალია – მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ ხელისუფლების ცვლის პროცესმა რეგიონის ქვეყნებში დესტაბილიზაცია არ გამოიწვიოს, როგორც ეს ტაჯიკეთში 90-იანი წლების დასაწყისში მოხდა. სტაბილური დემოკრატიული ინსტიტუტების ნაკლებობისა და ავტოკრატიული ხელისუფლების პირობებში, რომლის უმთავრესი მიზანიც ძალაუფლების შენარჩუნებაა, მთავრობის მემკვიდრეობითობა მართლაც ნომერ პირველ ამოცანად გამოიყურება.

თუმცა, ამ საკითხშიც აშშ-ს შესაძლებლობები საკმაოდ შეზღუდულია, და გულისხმობს არჩევანის გაკეთებას სტაბილურობასა და დემოკრატიულ პრინციპებს შორის. ზოგიერთ ქვეყანაში, სადაც დემოკრატიული ტრადიციები არცთუ ისე მყარია, მაგალითად, თურქეთში, პაკისტანსა და სამხრეთ კორეაში ხშირად სამხედროები ერევიან საშინაო პოლიტიკაში და გამოდიან სტაბილურობის უკანასკნელი საყრდენისა და ერის მხსნელის როლში. ცენტრალური აზიის სახელმწიფოებს ჯერ ესეც არ შეუძლიათ, რამდენადაც მათი შეიარაღებული ძალები სუსტია და არც საკუთარი ტრადიციები გააჩნია. ამის მიზეზი ამ ქვეყნების დამოუკიდებელი ცხოვრების მოკლე ისტორიასა და საბჭოთა არმიაში მუსულმანი ოფიცრების შეზღუდვის პოლიტიკაში უნდა ვეძიოთ. შეერთებული შტატების სამხედრო დახმარებამ ხელი უნდა შეუწყოს ცენტრალური აზიის ქვეყნებში პროფესიული სამხედრო ინსტიტუტების ჩამოყალიბებას. მართლაც, არ არის გამორიცხული, რომ რეგიონის ქვეყნებში პოლიტიკური კრიზისის გამწვავების შემთხვევაში, არმია სტაბილურობის ბოლო საყრდენად მოგვევლინოს.

# ჩაუშესკუს აჩრდილი რუმინეთს ევროკავშირის გზაზე ელობება

კვირის სუსხიან დილას, ნიკოლაი ჩაუშესკუს დაბადების დღის აღსანიშნავად მის საფლავთან მრავალმა რუმინელმა კომუნისტმა მოიყარა თავი, რომლებიც ევროპის ერთ-ერთ ყველაზე სასტიკ დიქტატორს იესო ქრისტესაც კი ადარებდნენ. საკვებ პროდუქტებზე დაუსრულებელი რიგების და საძულველი საიდუმლო პოლიციის, სეკურიტატეს პერიოდისადმი ნოსტალგია უპირისპირდება ფართო საზოგადოების სურვილს რუმინეთის ნატო-სა და ევროკავშირში შესვლის შესახებ. ბუქარესტის სასაფლაოზე შეკრებილი პენსიონერები პატივს მიაგებდნენ ჩაუშესკუს ხსოვნას, რომელსაც 26 იანვარს 85 წელი შეუსრულდებოდა, სიკვდილით რომ არ დაესაჯათ 13 წლის წინ. რეფორმები, რომლებიც ევროკავშირში შესასვლელად აუცილებლად უნდა ჩატარდეს, ამ პენსიონერთა ცხოვრებაზე საშინლად მოქმედებს.

**"ეს ბარბაროსობაა. მე 71 წლის ვარ, 47 წელი ვიმუშავე და ჩემი პენსია 2,450 000 ლეია (70 ამერიკული დოლარი),"** ამბობს ქარხნის ყოფილი მუშა ალექსანდრე ვინტილა.

ნახევარსუკუნოვანი კომუნისტური პერიოდის და წლების განმავლობაში უშედეგო რეფორმების შემდეგ, დასავლეთი საკმაოდ იმედგაცრუებულია რუმინეთით, თუმცა ევროკავშირის სამიტზე ეს ქვეყანა გაერთიანების რიგებში 2007 წლისათვის მიიწვიეს.

რუმინეთი და მისი მეზობელი ბულგარეთი ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოების მეორე ტალღაში მოხვდნენ, მაშინ, როდესაც აღმოსავლეთ ევროპის ათ ქვეყანას ევროკავშირში 2004 წლის მაისში მიიღებენ. იმისათვის, რომ ოთხი წლის შემდეგ ევროკავშირში გაწევრიანდნენ, რუმინეთმა და ბულგარეთმა უნდა განახორციელოს აუცილებელი რეფორმების მთელი წყება, სასამართლო რეფორმიდან ორმოებიანი გზების შეკეთებამდე და ბირთვული ნარჩენების მენეჯმენტიდან განათლების სისტემაში ხარვეზების აღმოფხვრამდე.

რუმინეთი, პოლონეთის შემდეგ, ევროკავშირის უდიდესი კანდიდატი ქვეყანა, თავისი 22-მილიონიანი მოსახლეობით, რეფორმებს ძნელად ახორციელებს. აქ საშუალო თვიური ხელფასი 100 ამერიკულ დოლარს შეადგენს და ფერმერები, რომლებიც მოსახლეობის 40 პროცენტს შეადგენენ, თავის რჩენას პატარა მიწის ნაკვეთების დამუშავებით ახერხებენ.

ევროკავშირის ოფიციალური პირების განცხადების თანახმად, რუმინელებმა რეფორმები უნდა დააჩქარონ და უკვე ამ წელსვე უდიდეს პროგრესს უნდა მიაღწიონ, თუკი მათ ევროკავშირში გაწევრიანება სურთ.

**"2007 წლისათვის ევროკავშირში შესვლა ნიშნავს იმას, რომ მათ მოლაპარაკებები 2005 წლისათვის უნდა დაასრულონ. მიზნის მიღწევა კი დამოკიდებულია იმაზე, თუ რის მიღწევას შეძლებს რუმინეთი 2003 წელს"**- განაცხადა ევროკავშირის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა, - **"ამ დროისათვის ისინი, ალბათ, ვერ განახორციელებენ სასამართლოს რეფორმირებას, მაგრამ დაგეგმვიდან აქტიურ ქმედებაზე მაინც უნდა გადავიდნენ."**

რეფორმების განხორციელებაში პროგრესს კი ზედმიწევნით აკვირდებიან: ევროკავშირი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი.

კერძოდ, ბრიუსელმა გარკვევით განაცხადა, რომ ადმინისტრაციასა და სასამართლო ხელისუფლებაში მკვეთრი სტრუქტურული რეფორმები კორუფციის აღმოფხვრისათვის უპირველეს ნაბიჯს წარმოადგენს, რაც რეალურ ეკონომიკურ ზრდას შეუწყობს ხელს.

**"კორუფცია სისტემაში არსებული ჩავარდნების შედეგია. სუსტ სასამართლოს და უნიათო ადმინისტრაციას ქვეყანა კორუფციამდე მიჰყავს,"**- აცხადებს ჯონათან შიილი, ევროკომისიის დელეგაციის ხელმძღვანელი რუმინეთში.

რუმინეთის ხელისუფლება კი ქვეყნის ეკონომიკის და რეფორმების ნელ ტემპს ქვეყნის სიდიდითა და ჩაუშესკუს მემკვიდრეობით ხსნის. ჩაუშესკუ თავისი მეგალომანიით აღმოსავლეთ ევროპის ლიდერებს შორისაც კი გამოირჩეოდა.

დიქტატორმა მილიონობით ადამიანი აშიმშილა, რათა შეესრულებინა საკუთარი გრანდიოზული გეგმა სახელმწიფო ავტარკიის (მდგომარეობა, როდესაც სახელმწიფო მისთვის აუცილებელ ყველა ძირითად პროდუქტს თავად ამზადებს) მისაღწევად, იგი ქვეყანაში წარმოებული სურსათის უდიდეს ნაწილს ექსპორტზე უშვებდა, რათა საგარეო ვალები დაეფარა.

დასავლელი დიპლომატების აზრით, 1989 წელს ქვეყანაში დატრიალებული სისხლიანი მოვლენების და მის შემდეგ განვითარებული კორუფციის შედეგად, რუმინეთმა სხვა პოსტ-საბჭოთა ქვეყნებთან შედარებით ნაკლებ წარმატებებს მიაღწია.

**"სუსტ მთავრობას ძლიერი კლანები და სინდიკატები აკონტროლებენ, ამიტომაც ხელისუფლება უძლურია, გაატაროს აუცილებელი რეფორმები,"**- აცხადებს ევროკავშირის ელჩი ბუქარესტში. **"რუმინეთს რეფორმები ადრე რომ დაეწყო, ახლა ის სულ სხვა მდგომარეობაში იქნებოდა,"** - დასძინა მან.

ყოფილ კომუნისტებს, რომლებიც რუმინეთის ხელისუფლებაში 2000 წელს მოვიდნენ, არ სურთ რთული და არაპოპულარული რეფორმების განხორციელება, როგორიც არის ათასობით სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებული სამუშაო ადგილის გაუქმება, ფართომასშტაბიანი პრივატიზაციის დაწყება და ა.შ.

ბუქარესტმა ევროკავშირის მოთხოვნებიდან მხოლოდ 16 სფეროში შეძლო წარმატების მიღწევა და გარკვეული გარდატეხის შეტანა, მაშინ როცა უფრო პატარა ბულგარეთმა ევროკავშირის 23 მოთხოვნა დააკმაყოფილა და რეფორმისტულად განწყობილი მთავრობა დასავლეთის ქებას იმსახურებს.

**"2007 წელი ევროკავშირში შესვლისათვის რეალური ვადა არ არის,"**- აცხადებს პოლიტიკური ექსპერტი სტელიან ტენასი, - **ეს ნიშნავს, რომ ქვეყანამ სტრუქტურული რეფორმები ძალიან მოკლე დროში უნდა განახორციელოს."**

ასეთი შეფასების მიუხედავად, მცირე პროგრესი მაინც შეინიშნება. გასულ წელს წლიურმა ინფლაციამ მხოლოდ 17,8 პროცენტი შეადგინა, მაშინ როცა 2001 წელს ეს ციფრი 30 პროცენტს აღწევდა. გარდა ამისა, შარშან ბიუჯეტის დეფიციტმა მთლიანი შიდა პროდუქტის 4,9 პროცენტი შეადგინა, მაშინ, როცა 2001 წელს ეს ციფრი 5,9 პროცენტით განისაზღვრებოდა. თუმცა, ყველა მონაცემი ასე კარგად არ გამოიყურება. 2001 წელს მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ერთ სულ მოსახლეზე 5 832 ამერიკული დოლარი იყო. მართალია, ევროკავშირს კანდიდატი ქვეყნებისათვის არ დაუწესებია ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს მინიმალური ზღვარი, მაგრამ ანალიტიკოსთა განმარტებით, თუ ეს მაჩვენებელი 7000 ამერიკულ დოლარზე დაბალია, ევროკავშირის მესვეურები ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას დაბალ შეფასებას აძლევენ. ანალიტიკოსები და დიპლომატები ეთანხმებიან იმ აზრს, რომ მთავრობას მასზე დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად საკმაოდ არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმა მოუწევს.

ჩაუშესკუს საფლავთან კი მისი მოხუცი ფანები ამ პერსპექტივას ძალზე უარყოფითად აღიქვამენ. **"ჩაუშესკუმ რომ დღევანდელი რუმინეთი ნახოს, საფლავში გადატრიალდება,"**- აცხადებს რუმინელი პენსიონერი იონ კიმპორუ.

*როიტერი*

# ევროპელი ლიდერები აშშ-ს მხარს უჭერენ

პირველი გვერდიდან

მათი განცხადებით, მსოფლიო თანამეგობრობა ერაყის რეჟიმის საბოლოოდ განიარაღებას უზრუნველყოფს.

"საერთაშორისო თანამეგობრობის სოლიდარობა, ერთიანობა და მიზანმიმართულობა ამ მიზნის მშვიდობიანი საშუალებებით მიღწევაში დაგვეხმარება. ძალა ერთობაშია", - ნათქვამია დეკლარაციაში.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, შეერთებული შტატებისა და დეკლარანტი სახელმწიფოების პოზიცია მკვეთრად ეწინააღმდეგება საფრანგეთ-გერმანიის შეხედულებებს.

ცოტა ხნის წინ შეერთებული შტატების თავდაცვის მდივანმა დონალდ რამსფელდმა საფრანგეთსა და გერმანიას "ბებერი ევროპა" უწოდა მას შემდეგ, რაც ამ სახელმწიფოების ლიდერებმა განაცხადეს, რომ ერთად იმოქმედებენ ერაყში ომის თავიდან ასაცილებლად.

საფრანგეთი, რომელიც გაერო-ს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრია, იმუქრება, რომ ვეტოს დაადებს ნებისმიერ რეზოლუციას, რომელიც ბაღდადის წინააღმდეგ სამხედრო აქციას მწვანე შუქს აუნთებს. პარიზის აზრით, საჭიროა მეტი დრო, რათა ერაყის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებების მართებულობა დამტკიცდეს.

უშიშროების საბჭოს კიდევ ერთმა წევრმა - რუსეთმა ამერიკისაგან "უეჭველი საბუთი" მოითხოვა, რომელიც დაამტკიცებს, რომ ერაყს მასობრივი განადგურების იარაღი აქვს.

ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს თავმჯდომარის მოჰამად ელბარადეის თქმით, ინსპექტირების დასრულებას რამდენიმე თვე დასჭირდება, თუ, რასაკვირველია, უშიშროების საბჭო მათ ამის საშუალებას მისცემს.

"მე მჯერა, რომ ოთხ-ხუთ თვეში ჩვენ საშუალება გვექნება, ერაყის თაობაზე საბოლოო დასკვნა გავაკეთოთ", - აღნიშნა მან.

თუმცა, იქვე დასძინა, რომ ერაყმა ინსპექტორებთან უფრო მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს.

უშიშროების საბჭო ამჟამად ელბარადეისა და მთავარი ინსპექტორის ჰანს ბლიქსის მიერ ერაყის ბირთვული პროგრამების თაობაზე გაკეთებულ მოხსენებას განიხილავს.

ახლა, საერთაშორისო თანამეგობრობა 5 თებერვალს ელოდება, როდესაც აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი უშიშროების საბჭოს ახალ საბუთს წარუდგენს, რომელიც, ბუშის თქმით, დაადასტურებს შეერთებული შტატების ბრალდებას, რომ ერაყს მასობრივი განადგურების იარაღი აქვს.

ექსპერტების აზრით, ომი, პრაქტიკულად, გარდაუვალია, რადგან ამერიკელები დიპლომატიური ძალისხმევის პარალელურად რეგიონში სამხედრო ძალების კონცენტრირებას აგრძელებენ.

"ასოშიეიტედ პრესის" ინფორმაციით, ამერიკელებმა ერაყის ჩრდილოეთით ქურთებით დასახლებულ ტერიტორიაზე არსებული ავიაბაზა დაიკავეს.

ჩრდილოეთ ერაყში არსებული ჰარირის აეროდრომი სადამ ჰუსეინის მთავრობამ 1983 წელს ააშენა და ირანის წინააღმდეგ საბრძოლო გაფრენების განსახორციელებლად იყენებდა. ბაღდადმა აღნიშნული აეროდრომი 1991 წელს დატოვა, რადგან აშშ-ბრიტანეთმა ქვეყნის ჩრდილოეთი და სამხრეთი ერაყის ავიაციისათვის დახურულ ზონად გამოაცხადეს.

პენტაგონში გამართულ პრეს-კონფერენციაზე აშშ-ს გენერალური შტაბების უფროსმა გენერალმა რიჩარდ მაიერსმა ამის თაობაზე დასმული კითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომ მას არ სურს აშშ-ს შეიარაღებული ძალების განლაგებაზე დეტალური საუბარი. თუმცა, შემდეგ დასძინა, რომ "ამჟამად, ჩრდილოეთ ერაყში მნიშვნელოვანი რაოდენობის შეიარაღებული ძალები არ იმყოფებიან".

ერაყის ჩრდილოეთში მცხოვრებთა თქმით, უკანასკნელი კვირეების განმავლობაში ღამ-ღამობით მძიმედ დატვირთული სატვირთო მანქანები ავიაბაზის მიმართულებით მიეშურებიან, ავტომობილები სავარაუდოდ, ამერიკელებს ეკუთვნის.

თურქი მაღალჩინოსნის მტკიცებით, უახლოეს დღეებში თურქეთის გავლით ჩრდილოეთ ერაყში დამატებით 2000 სამხედროსა და დაზვერვის სპეციალისტის შესვლაა დაგეგმილი.

**ევროპა მხარს უჭერს ამერიკას**

რვა ევროპული ქვეყნის მეთაურმა მსოფლიოს სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნისაკენ მოუწოდა. ამით მათ უმნიშვნელოვანესი დიპლომატიური მხარდაჭერა აღმოუჩინეს ამერიკის პრეზიდენტს.




1. **ესპანეთი:** ხოსე მარია აზნარი
2. **პორტუგალია:** ხოსე მანუელ დურაო ბაროზუ
3. **იტალია:** სილვიო ბერლუსკონი
4. **გაერთიანებული სამეფო:** ტონი ბლერი
5. **ჩეხეთი:** ვაცლავ ჰაველი
6. **უნგრეთი:** პიტერ მეჯიესი
7. **პოლონეთი:** ლეშეკ მილერი
8. **დანია:** ანდერს ფოგ რასმუსენი

წყარო: ტაიმსი © GRAPHIC NEWS

# ევროსაბჭო ჩეჩნეთში რეფერენდუმის გამართვას ნაადრევად მიიჩნევს

ოთხშაბათს სტრასბურგში ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ ჩეჩნეთში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით რეზოლუცია მიიღო, რომელიც რუსეთს ჩეჩნეთში რეფერენდუმის ჩატარების თარიღის გადადებას მოუწოდებს. **"ამგვარი რეფერენდუმის ჩასატარებლად აუცილებელი პირობები დათქმული დროისათვის, სავარაუდოდ, უზრუნველყოფილი ვერ იქნება,"** – ნათქვამია რეზოლუციაში.

მანამდე, კი რუსეთის დელეგაციის წევრმა სტრასბურგში დმიტრი როგოზინმა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის კომისიის ხელმძღვანელის ლორდ ჯადის გადაყენება მოითხოვა, იმ შემთხვევაში თუკი ლორდი ჯადი კვლავ დააყენებდა რეფერენდუმის გადატანის მოთხოვნას. უფრო ადრე ამ მოთხოვნის გამო ლორდი "არაეთიკურობაში" დაადანაშაულა პრეზიდენტ პუტინის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა კაზანცევმა. ლორდი ჯადი, რომელიც ჩეჩნეთიდან გასულ კვირას დაბრუნდა, თვლის, რომ ამბოხებულ რესპუბლიკაში რეფერენდუმის ჩატარება ამ ეტაპზე მიზანშეუწონელია. მისი აზრით, მთავარი პრობლემა არის ის, რომ რეფერენდუმზე წარდგენილი კონსტიტუციის პროექტი ფართო საზოგადოების მიერ არ განხილულა და ჩეჩნეთის მოსახლეობის უმრავლესობას თავად კონსტიტუციის პროექტი თვალითაც კი არ უნახავს.

თუმცა, რაკი საბოლოოდ მიღებული რეზოლუცია რუსეთის ფედერაციას რეფერენდუმის გადატანას არ ავალდებულებს, რუსეთის ხელისუფლება ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებულ დოკუმენტს კომპრომისულ ვარიანტს უწოდებს.

# კამბოჯაში ტაილანდის საელჩო დაანგრიეს

გუშინ კამბოჯელმა ნაციონალისტებმა გაანადგურეს საკუთარ დედაქალაქში მდებარე, მეზობელი ტაილანდის საელჩო და იმ კომპანიების ოფისები, რომლებიც ტაილანდელებს ეკუთვნოდათ. ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები უკიდურესად დაიძაბა. ჯერჯერობით, არავინ იცის, რამ გამოიწვია ეთნიკური ზიზღის ამგვარი ამოხეთქვა.

თავდაპირველი უკმაყოფილების საბაბად იქცა ტაილანდური ტელესერიალების ერთ-ერთი მსახიობის ნათქვამი იმის შესახებ, რომ კამბოჯის ეროვნული სიმბოლო, 800 წლის წინ აგებული ანგკორ ვატის ტაძარი, სინამდვილეში ტაილანდს ეკუთვნოდა.

ამ განცხადებამ და პნომ-პენში გავრცელებულმა ხმებმა ბანგკოკში მათი საელჩოს დარბევის შესახებ მოულოდნელად გამოიწვია აზიის ამ ორ ყველაზე ამაყ ერს - კამბოჯელებსა და ტაილანდელებს შორის საუკუნოვანი ეროვნული შუღლის გაღვივება. რაც კამბოჯის დედაქალაქში ტაილანდელებისათვის "ბართლომეს ღამის" მოწყობით დამთავრდა.

კამბოჯაში მყოფი უცხოელი დიპლომატები ამბობენ, რომ მათთვის სრულიად გაუგებარია, ვის რაში დასჭირდა ამის გაკეთება. ზოგიერთი ამ მოვლენებს ზაფხულში დაგეგმილ არჩევნებს უკავშირებს, მაგრამ საეჭვოა, რომელიმე პარტიას ამ სისხლისღვრით რაიმე სარგებელი მიეღო.

ბოლო წლებში კამბოჯაში მეორე მეზობლის – ვიეტნამის წინააღმდეგ რამდენჯერმე ჰქონდა ადგილი სისხლიან ანგარიშსწორებას. კამბოჯელების ნაწილი ფიქრობს, ვალდებულია, რომ დაიცვას თავისი სამშობლო და მისი კულტურა უცხოელებისაგან, რომლებიც მას "სისხლს სწოვენ". "სისხლისმსმელობა", ძირითადად, იმაში გამოიხატება, რომ კამბოჯას, სადაც სამოქალაქო ომებმა ეკონომიკა თითქმის მთლიანად დაანგრია, სამომხმარებლო საქონლის უდიდესი ნაწილი ამ ორი მეზობელი ქვეყნიდან შემოაქვს, რასაც ზოგიერთი კულტურულ აგრესიად აღიქვამს.

განრისხებული კამბოჯელები გუშინაც საკუთარი კულტურისა და თვითმყოფადობის დაცვის აუცილებლობას იშველიებდნენ ჩადენილი ძალადობის გასამართლებლად; თუმცა აღიარებდნენ, რომ ეს მათი ქვეყნის ეკონომიკას დიდ ზიანს მიაყენებს.

გუშინ, დილას, საპასუხო აქციები გაიმართა ტაილანდში, კამბოჯის საელჩოს წინ. პოლიციის ჩარევის შემდეგ შენობა განადგურებას გადაურჩა. ამჟამად კამბოჯიდან დარჩენილი ტაილანდელების ევაკუაცია მიმდინარეობს.



# „ბომბიოოო?!“ - გასკდა ხალხი სიცილით

*ხუთჯვრიანი დროშის პროცესი გუშინ დანიშნულ დროს, 12 საათზე, დაიწყო და საათნახევარში სრულიად მოულოდნელი მიზეზით გადაიდო ანონიმური ზარის შემდეგ, - შენობაში ბომბიაო.*

ზაზა ფაჩუაშვილი

თავიდან ყველაფერი ჩვეულებრივად მიმდინარეობდა. სასამართლო და მისი მიმდებარე ტერიტორია სავსე იყო "ნაციონალების" მხარდამჭერებითა და სადავო დროშებით. აქა-იქ გურამ შარაძის მომხრეებიც შეინიშნებოდნენ, რომლებსაც "ნაციონალები" ჯგუფ-ჯგუფად და დაულალავად ეკამათებოდნენ. სასამართლო, დაპირებისამებრ, ერთ პატარა ოთახში გაიმართა. დამსწრეთა მცირერიცხოვნობის მიუხედავად, მოსამართლემ მშვიდად მუშაობა მაინც ვერ შეძლო. მართალია, წინა პროცესზე ყაყანში შემჩნეული რამდენიმე მოქალაქე დარბაზში არ შეუშვიათ, მაგრამ "წინა ხაზზე" მოხვედრილი 3-4 თავშეუკავებელი ღირსეულად აგრძელებდა მათ საქმეს. ამრიგად, შარაძისა და მისი ადვოკატების არც ერთი ფრაზა კვლავინდებურად არ რჩებოდა უპასუხოდ. საქმე იქამდეც მივიდა, რომ სიმშვიდით განთქმულმა მოსამართლე ყაჭეიშვილმა ერთი ქალბატონი და ერთი ვაჟბატონი დარბაზიდან მიაბრძანა.

ამასობაში მოპასუხე მხარის - მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებმა დროშის მეცნიერული ექსპერტიზის ჩატარება მოითხოვეს, რასაც მოსარჩელე მხარის დაუყოვნებელი პროტესტი მოჰყვა. შარაძემ და მისმა ოთხმა ადვოკატმა მოპასუხეს დროის გაწელვაში დასდეს ბრალი. ისინი ცდილობენ, რაც შეიძლება დიდხანს აფრიალონ თბილისის თავზე კათოლიკური დროშაო, ამტკიცებდა მოსარჩელე მხარე.

მოსამართლემ ბრძანა, ვინაიდან დროშის წარმომავლობა სასამართლო დავის საგანს არ წარმოადგენს, ექსპერტიზა საჭირო არ არისო და მოპასუხის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. ამის მიუხედავად, დავა დროშის წარმომავლობის გარშემო მაინც გაგრძელდა, რასაც ფრიად არასასიამოვნო წუთები მოჰყვა. გურამ შარაძემ განაცხადა, რომ დროშის კათოლიკური წარმომავლობის დასამტკიცებლად ყველა საბუთს გამოიყენებდა და გამოიყენა კიდეც. მან ჯერ დიდი სიტყვიერი პატივისცემა გამოხატა თავისი კოლეგისა და პროფესიონალი იურისტის ზურაბ ადეიშვილის მისამართით, შემდეგ მისი ოჯახის წევრები კათოლიკური დროშის შეგნებულ დაცვაში დაადანაშაულა.

გურამ შარაძე: " მე ვიყავი ყვარელში, სადაც ერთ-ერთი სოფლის მაცხოვრებლებმა მითხრეს, რომ ზურაბ ადეიშვილის მამა თავად კათოლიკეა და მთელ მართლმადიდებელ სოფელს აიძულებს, მიიღოს კათოლიკობაო."

"გაგიჟდა" ადეიშვილი, წამოხტა და ბევრი იძახა, ეს პროვოკაციააო, ტყუილიაო, ჩემი მშობლები მართლმადიდებლები არიანო, ნათესავები კი ალავერდში მსახურობენო, მაგრამ შარაძისა და დარბაზში მდგომი აყვირებული "ნაციონალების" ხმა ვერ გადაფარა.

მოსამართლის მცდელობამ შედეგი რამდენიმე წუთში გამოიღო და პროცესი გაგრძელდა. შარაძემაც განაგრძო და სასამართლოს წარუდგინა გაზეთი და ვიდეომასალა, სადაც ნაჩვენებია, რომ ღაზას სექტორში ანგლიკანური ეკლესიის თავზე ხუთჯვრიანი დროშა ფრიალებს. არავინ იცის, როდემდე გაგრძელდებოდა სასამართლოსათვის ასე უნაყოფო კამათი, მოსამართლის თანაშემწე დარბაზიდან რომ არ გაეწვიათ. დაბრუნებულმა თანაშემწემ მოსამართლეს რაღაც უჩურჩულა. ყაჭეიშვილმა ისეთი სახე მიიღო, რომ შარაძემ რამდენჯერმე ჰკითხა, ოჯახში ხომ მშვიდობააო.

როგორც იტყვიან, ისეთი მშვიდობა ჩვენს მტერს. ანონიმური ზარი იტყობინებოდა, რომ სასამართლოს შენობაში ბომბი იდო. ეს განცხადება დარბაზში, დერეფანში და ქუჩაში მყოფ ხალხს სასაცილოდაც არ ეყო. არც დაშლას აპირებდა ვინმე, მაგრამ შენობა მაინც ყველას დაატოვებინეს.

მოსამართლის განცხადების მიუხედავად, ეს ჩეჩნების ექსტრადიციის პროცესთან არის დაკავშირებულიო, შარაძემ ყველაფერი სააკაშვილს დააბრალა. როცა მიხვდა, რომ სასამართლოს მოგების შანსი აღარ ჰქონდა, ვიღაცას დაარეკინა და პროცესი ჩაშალაო.

მალე სასამართლოში ანტიტერორისტული სამსახურის ოთხფეხა მუშაკები მოარბენინეს, მაგრამ რა უნდა ეპოვათ საწყლებს, რაც არაფერი იყო.

პროცესი ერთი კვირითგადაიდო.





აქტივისტები

# კანონი თუ მოითმენს, მოიგებსო

გუშინ, საქართველოს პარლამენტის სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში სახელმწიფო ენის კანონპროექტის 2003 წლის პირველი განხილვა მოეწყო. სხდომა ორი რამით გამოირჩეოდა ამავე საკითხზე ჩატარებული წინა სხდომებისგან – ის პირველი რესპუბლიკის დარბაზში გაიმართა და მშვიდად ჩატარდა.

სიმშვიდის დასადგურებამდე, სხდომა გურამ შარაძემ დატოვა: "რაღას მეძახდით, ყველაფერი თუ იგივეა?! შენ კი პრეზიდენტის მომხსენებლად აქ არ უნდა მოსულიყავი", - მიაძახა მან გასვლისას ენის პალატის თავმჯდომარეს, ლევან ღვინჯილიას, რომელიც, იობის სადარი მოთმინებით, უკვე მერამდენედ განმარტავდა კანონპროექტის მეათე და მეთორმეტე მუხლების წარმოშობის ისტორიას. ღვინჯილიამვე შესთავაზა ოპონენტებს განსახილველად ახალი ფორმულირება, რომელიც უფრო შემრიგებლური შინაარსის იყო. კერძოდ, "საქართველოს მოქალაქემ უნდა იცოდეს სახელმწიფო ენა, რამდენადაც ის ვალდებულია სახელმწიფო სტრუქტურებთან მხოლოდ ამ ენაზე ურთიერთობდეს".

სახელმწიფო ენის სავალდებულო ცოდნა, თუ სახელმწიფო ენაზე სახელმწიფო სტრუქტურებთან ურთიერთობის ვალდებულება - უკვე მერამდენე სხდომის გადაუჭრელი პრობლემაა და - ერთი და იმავე ოპონენტების "მარადიული" საკამათო თემა. პარლამენტარმა რეზო მიშველაძემ გაიხსენა "ვეფხისტყაოსნიდან" ასმათ- ავთანდილის დიალოგი, როცა ასმათი ეუბნება, რომ ასჯერაც რომ მკითხო, მაინც ასჯერ უარს გეტყვიო.

ჯაველიძეს პოზიცია არ დაუთმია, მაგრამ დაღლილმა გაუთავებელი კამათით, განაცხადა, რომ "თუ საკამათო პუნქტებზე ვერ შევთანხმდებით და არც ერთი მხარე არ დავთმობთ, იქნებ დავტოვოთ მხოლოდ კონსტიტუცია, არ გვინდა კანონი და ისე ვასწავლოთ საქართველოს მოქალაქეებს სახელმწიფო ენა".

პარლამენტარმა მანანა გიგინეიშვილმა პრეზიდენტის პოზიცია დააფიქსირა, იგი ამ საკითხების ენის სახელმწიფო კომისიაზე განხილვის მომხრეა, რომელიც წელიწადში ორჯერ ტარდება და გაზაფხულამდე არ შედგებაო. აქვე გიგინეიშვილმა საკუთარი პოზიციაც გაამხილა, რომ არჩევნებამდე ენის კანონის პარლამენტში განხილვა არ ღირს.

სხდომა ბესო ლაგვილავამ შეაჯამა. მან მადლობა გადაუხადა ლევან ღვინჯილიას გაწეული შრომისთვის, აღნიშნა, რომ საერთოდ, ენა ფაქიზი საკითხი და კონფლიქტების საუკეთესო ინსპირატორია. მან დამსწრეთ საზოგადოებასთან მრავალჯერადი შეხვედრებისა და საკითხის მრავალმხრივი განხილვისაკენ მოუწოდა.

*"24 საათი"*

# მალე 1 280 000 ლარის ათვისებაც დაიწყება

*მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო ფონდში მნიშვნელოვანი სიახლეებია. ორი კვირის წინათ მისი ხელმძღვანელი შეიცვალა, ზურაბ გუდავაძის ადგილას დავით ქოქოსაძე დაინიშნა, და ყველაზე მთავარი - ახალი ხელმძღვანელის ცნობით, მერიამ და პრეზიდენტის ფონდმა, როგორც იქნა, პირობა შეასრულეს და მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო ფონდს 1 280 ათასი ლარი გადაურიცხეს.*

ნანა ქადაგიშვილი

პირველ ეტაპზე შესული 1 900 ათასი ლარის ამოწურვის შემდეგ (ამ თანხით ფონდმა დაზარალებულთათვის 256 ბინის შეიძინა), მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო ფონდი თითქმის ნახევარი წელი უმოქმედოდ იყო და მერიისა და პრეზიდენტის ფონდიდან შეპირებულ თანხას ელოდა. მას ფული ჯერ კიდევ შარშან სექტემბერში უნდა მიეღო, მერიის ფინანსური სამმართველო ყოველი თვის ბოლოს ჰპირდებოდა, რომ ფონდში თანხას დღე-დღეზე გადარიცხავდა. შეპირებულ თანხას როდისმე თუ აღირსებდნენ, აღარავის ეგონა. ქალაქის ხელმძღვანელობამ პირობა საბოლოოდ ძველსაახალწლოდ შეასრულა. საახალწლოდ სიურპრიზს გვიმზადებდნენ და ფულის მოცემა ამიტომაც დააგვიანესო, ხუმრობდნენ ფონდში.

ფონდის ხელმძღვანელობას მეორე ეტაპზე დაზარალებულთათვის ბინების შესყიდვის გარდა, განსაკუთრებით ავარიული სახლების აღდგენაც აქვს დაგეგმილი. თუმცა, ამ 1 280 ლარით ბევრს ვერაფერს მოახერხებს. უსახლკაროდ 520 მოქალაქეა დარჩენილი და დროებითი საცხოვრებლით ნახევარსაც ვერ დააკმაყოფილებენ. ფონდში არსებული თანხის ნახევარი დანგრეული სახლების აღდგენას მოხმარდება. "ერთ ავარიულ სახლზე 1000 ლარია გათვალისწინებული. ამ თანხით მხოლოდ სახლის გადახურვა და კედლების გამაგრება მოხერხდება. ეს თანხა ძალიან ცოტაა, მაგრამ იმდენს მაინც გავაკეთებთ, რომ დაზარალებულებს საკუთარ სახლში ცხოვრების არ ეშინოდეთ", - აცხადებს ფონდის ახალი ხელმძღვანელი.

1 280 ათასის ნახევარი თანხით კი, ფონდმა რაც არ უნდა მოინდომოს, 100 ბინაზე მეტს ვერ იყიდის. ერთი ბინის ღირებულების ზედა ზღვარი 10 000 ლარია. ფონდი ამაზე ძვირად ბინას ვერ იყიდის. თუმცა, იაფფასიანი ბინის ყიდვასაც ერიდება, გასული წლის გამოცდილებით იცის, რომ პრობლემები შეექმნება. დაზარალებულთა უმრავლესობა ბინებს საკუთარ თუ არა, ახლო რაიონში მაინც ითხოვს. ამიტომ ფონდი ბინებს ლილოს დასახლებასა და ფონიჭალაში აღარ ეძებს და შესყიდვას ვარკეთილში, ვაზისუბანში, გლდანსა და მუხიანში აპირებს. "ბინებს 10 000 ლარის ფარგლებში თვითონ დაზარალებულებს შევარჩევინებთ, რომ შემდეგ პრეტენზიები აღარ იყოს", - კატეგორიულია დავით ქოქოსაძე.

ეს ყველაფერი კი მხოლოდ ფონდის რეორგანიზაციის შემდეგ, დაახლოებით, ორ კვირაში დაიწყება. დანარჩენ დაზარალებულებს კი, ვინც დახმარებას ამჯერადაც ვერ მიიღებს, ალბათ, საკუთარ თავზე ზრუნმა თვითონვე მოუწევთ, ყოველ შემთხვევაში წელს, ჯერჯერობით, ამ 1 280 ლარის გარდა სხვა პერსპექტივა არ ჩანს.

## ინფორმაცია

### საკრებულო სახურავების და ლიფტების პრობლემების მოგვარებას ითხოვს

დედაქალაქის საკრებულო მიმდინარე წლის ბიუჯეტში საცხოვრებელი სახლების სახურავების შეკეთებას და მაღლივ კორპუსებში ლიფტების სარემონტოდ თანხების გათვალისწინებას ითხოვს.

საკრებულოს მიერ დღეს მიღებული გადაწყვეტილებით, თბილისის მთავრობას დაევალა უმოკლეს ვადაში დაამუშაოს და საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგინოს ამ სამუშაოების 2003 წლის პროგრამა.

საკრებულომ დედაქალაქის მთავრობას ასევე დაავალა უმოკლეს ვადაში შეიმუშაოს გზების კეთილმოწყობის მიმდინარე წლის პროგრამა და შესაბამისი დაფინანსება გაითვალისწინოს დედაქალაქის ბიუჯეტში. აღნიშნული ინიციატივით საკრებულოში ფრაქცია „გაერთიანებული დემოკრატები“ გამოვიდნენ. **მედია-ნიუსი**

### ჯარში გაწვევის 200-ლარიანი გადასახადი არ გაიზრდება

საქართველოს მთავარი სამხედრო კომისრის გელა უღრელიძის ინფორმაციით, საშემოდგომო გაწვევის ფარგლებში, ექვსი ათასი წვევამდელიდან ქვეყნის მასშტაბით სამხედრო სამსახურში 1.316 კაცია გაწვეული. გასაწვევთა საერთო რაოდენობის 31 პროცენტმა კანონით გათვალისწინებული 200- ლარიანი გადასახადი გადაიხადა და სამხედრო სავალდებულო სამსახურისგან ერთი გაწვევით გათავისუფლდა.

რაც შეეხება დედაქალაქს; თბილისის მერიის სამხედრო-სამობილიზაციო სამსახურის უფროსის ზაზა წვერავას განცხადებით, გაწვევის გეგმა, ჯერჯერობით, 70 პროცენტით არის შესრულებული, აქედან 31 პროცენტმა 200-ლარიანი გადასახადი გადაიხადა. ამ ეტაპზე დედაქალაქში 931 წვევამდელია. წვერავას იმედი აქვს, რომ დედაქალაქში საშემოდგომო გაწვევა ამჯერად შესრულდება.

წვერავამ არ დაადასტურა ინფორმაცია 200-ლარიანი გადასახადის 400 ლარამდე შესაძლო გაზრდის შესახებ. "საუბარი ამ საკითხზე მიმდინარეობს, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის", - აცხადებს იგი. **მედია-ნიუსი**

### სკოლების მუნიციპალიზაციას მოწინააღმდეგე გამოუჩნდა

არასამთავრობო ორგანიზაცია „განათლების ეროვნული კავშირი“ დედაქალაქის სკოლების მუნიციპალიზაციის წინააღმდეგია.

როგორც ამ კავშირის თავმჯდომარემ გიორგი ამაშუკელმა განაცხადა, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე მიუღებელია განათლების სისტემაში ამ ეტაპზე იმ დეცენტრალიზაციის პროცესის დაწყება, რასაც თბილისის საკრებულო საზოგადოებას სკოლებში რეორგანიზაციის საფუძველზე სთავაზობს.

მისი თქმით, მშობელთა მიერ დირექტორის არჩევა კორუფციას არ გამორიცხავს; „განათლების ეროვნული კავშირი“ დირექტორის არა არჩევის, არამედ შერჩევის მომხრეა. ამასთან, სკოლებში დირექციის პასუხისმგებლობის შემცირებამ და სამეურნეო საბჭოსთვის „მართვის სადავეების“ გადაცემამ, რასაც საკრებულოს პროექტი ითვალისწინებს, შესაძლოა, საბოლოოდ კონკრეტული პასუხისმგებელი პირის არარსებობა გამოიწვიოს. **მედია-ნიუსი**

### ბათუმში ზღვის დაბინძურების ფაქტი დაფიქსირდა

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ბათუმში შავი ზღვის დაბინძურების ფაქტი დაფიქსირდა. დაბინძურება კომპანია „პატრისია შიპპინგ იდს“-ის კუთვნილი ტანკერ „პატრისიას“ ტექნიკურმა გაუმართაობამ გამოიწვია. სამინისტროს ინფორმაციით, ფაქტი 26 იანვარს მოხდა. ტანკერი ლიბერიის დროშით ასრულებდა რეისს. ტანკერის სამანქანო განყოფილების გამოსაბოლქვი მილიდან გამოვიდა მუქი ფერის კვამლი, რის შედეგადაც დიდი რაოდენობის ჭვარტლი ბელტების სახით მიმოიბნა ზღვის ზედაპირზე. გარდა ამისა, გემბანზე დადებული პოლიეთილენის პარკიდან ზღვაში ჩაიღვარა ნავთობპროდუქტი. ამ ფაქტთან დაკავშირებით ტანკერის მესაკუთრეს 65 ათასი ლარის ჯარიმა დაეკისრა და ამ ფაქტზე შემდგარი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი რეაგირებისთვის გადაეცა ბათუმის საქალაქო სასამართლოს. **მედია-ნიუსი**

# გამარჯვებული დაზარალებულები

### "ჯეოსელი" მიწისძვრით დაზარალებულ ოჯახებს ასაჩუქრებს

*დღეიდან ზაქაშვილების ოჯახს მერიაში ყოველდღე სირბილი და ქალაქის ხელმძღვანელობისთვის იმის შეხსენება, რომ 25 აპრილის მიწისძვრის შემდეგ ისინი, ფაქტობრივად ქუჩაში დარჩნენ, აღარ მოუწევთ. უახლოეს ერთ კვირაში ზაქაშვილები, მუხიანის მესამე მიკრორაიონში მდებარე ოროთახიან ბინაში გადავლენ საცხოვრებლად. 4600 ამერიკულ დოლარად ღირებული საჩუქარი, რომელიც კომპანია "ჯეოსელმა" გუშინ "24 საათის" საკონფერენციო დარბაზში გაათამაშა, ზაქაშვილების გარდა, მიწისძვრით დაზარალებულმა კიდევ სამმა ოჯახმა მიიღო.*

ეთერ მამულაშვილი

მიწისძვრით დაზარალებულთა ოჯახების დასახმარებლად, "ჯეოსელის" საქველმოქმედო აქციამ, სტარტი გასული წლის ივნისში აიღო. მასში მონაწილეობის მიღება, კომპანიის ყველა აბონენტს შეეძლო. აბონენტების გარდა, ამ საქველმოქმედო აქციაში არცთუ უმნიშვნელო წილი შეიტანეს თავად "ჯეოსელის" თანამშრომლებმა, დილერებმა და კომპანიის პარტნიორებმა.

წლის ბოლოს, როცა აქცია დასრულდა, მიწისძვრით დაზარალებულთა "ჯეოსელის" სპეციალურ ფონდში სოლიდურმა თანხამ მოიყარა თავი. ამას დაემატა თავად კომპანიის მიერ ჩარიცხული რამდენიმე ათასი ლარი, რამაც, საბოლოო ჯამში, ოციათასამდე ამერიკული დოლარი შეადგინა. ამ თანხით "ჯეოსელმა" გლდანი-ნაძალადევის რაიონში ოთხი ოროთახიანი საცხოვრებელი სახლი შეიძინა.

კომპანიამ თავიდანვე აქცენტი მიწისძვრით დაზარალებულთა მესამე კატეგორიაზე გააკეთა. ამ კატეგორიის დაზუსტებული სია "ჯეოსელს" მიწისძვრით დაზარალებულთა სახელმწიფო ფონდმა და არასამთავრობო ორგანიზაცია "მიწისძვრით დაზარალებულთა კავშირმა" მიაწოდა.

გუშინ "ჯეოსელმა" მასმედიის და სპეციალური კომისიის თანდასწრებით, გლდანში მდებარე სამი და მუხიანში მდებარე ერთი საცხოვრებელი ბინა გაათამაშა. სპეციალურ მინის სათავსში მოთავსებული ბარათების საშუალებით, ოთხი დაზარალებულის ვინაობა, გათამაშებაზე დამსწრე ჟურნალისტებმა თავად გამოავლინეთ. კასრელიშვილი ნინო, აბრამიძე ანდრო, გრიგორიანი მამიკონი, ზაქაშვილი ზვიადი - ეს ადამიანები დაზარალებულთა იმ კატეგორიას განეკუთვნებიან, რომლებიც თბილისში მომხდარი ბოლო მიწისძვრის შემდეგ ნათესავ-ახლობლებთან, ან სულაც ქუჩაში ცხოვრობდნენ.

25 აპრილის მიწისძვრამ მათი სახლები საცხოვრებლად საშიში გახადა. "ოთხივე ოჯახის თითოეულ წევრს ძალიან ახლოს ვიცნობ. აგეტირებათ ისეთ პირობებში ცხოვრობენ ისინი, რომ იტყვიან - სამართალმა პური ჭამა. მადლი და ღვთის განგება იყო, რომ სწორედ ამ ხალხმა მიიღო "ჯეოსელის" ეს საჩუქარი, რისთვისაც დიდი მადლობა კომპანიას", - გვითხრა მიწისძვრით დაზარალებულთა ფონდის წარმომადგენელმა ზურაბ აბზიანიძემ.

ზაქაშვილების ოჯახის გასაჭირზე "24 საათი" ჯერ კიდევ სექტემბერში წერდა. 30 წლის ზვიად ზაქაშვილი უკვე მეთოთხმეტე წელია, ქვემო კიდურების დამბლის გამო ინვალიდის ეტლში ზის. ზვიადი მკლავჭიდში სამგზის ჩემპიონი ყოფილა.

ზვიადს, მშობლების გარდა, ორი და ჰყავს.

ბინების მიწისძვრით დაზარალებულებზე გადაფორმების ხარჯებს, კომპანია "ჯეოსელი" საკუთარ თავზე იღებს. უფრო მეტიც, "ჩვენ ამ სახლებს დაზარალებულებს ვჩუქნით, თუ სურვილი აქვთ, უნდა გაყიდონ, უნდათ იცხოვრონ ან სულაც ვინმეს აჩუქონ",- აცხადებს კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელი, მანანა დულარიძე.

"ჯეოსელმა" არც ის აბონენტები გაუშვა ხელცარიელი, რომლებმაც საქველმოქმედო აქციაში განსაკუთებული წვლილი შეიტანა. შოთა არველაძის ხელმოწერილი ფეხბურთის ბურთი, ნიკოლოზ დერიუგინის ავტოგრაფით დამშვენებული კალათბურთის ბურთი და საქართველოს რაგბის ლეგიონერთა გვარებით აჭრელებული რაგბის ბურთი, ერთმა თბილისელმა და ორმა ბათუმელმა ახალგაზრდამ გაინაწილა.







გათამაშების დროს

# ჩეჩენი პატიმრების პროცესს ხელი „სატელეფონო ტერორისტმა" შეუშალა

პირველი გვერდიდან

დოკუმენტების გასაცნობად 10 - დღიანი ვადა დათქვა და პროცესი ამ მიზეზით გადადო, გუშინ კიდევ ერთხელ გადავადება სრულიად გაუთვალისწინებელმა მოვლენამ გამოიწვია. კერძოდ, ანონიმი აბონენტის მიერ ტელეფონით მიწოდებულმა ინფორმაციამ იმის თაობაზე, რომ მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს შენობაში დიდი რაოდენობით ასაფეთქებელი ნივთიერებაა ჩადებული- სასწრაფოდ დაცლილი შენობიდან გამოყვანილი პატიმრები გაძლიერებული დაცვის თანხლებით გაამგზავრეს საპყრობილეში. მოგვიანებით კი, როცა უშიშროების სამინისტროს შესაბამისმა სამსახურებმა კინოლოგთა დახმარებით შეამოწმეს მთელი შენობა და საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინეს, პატიმართა დაბრუნება სხდომათა დარბაზში სხვადასხვა ტექნიკური მიზეზების გამო ველარ მოხერხდა. ჩეჩენი პატიმრების გულშემატკივრები მიიჩნევენ, რომ ასაფეთქებელი ნივთიერების შესახებ ინფორმაცია განგებ გავრცელდა, რათა ხელისუფლებას პატიმრების სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანა თავიდან აეცილებინა. სასამართლოს თავმჯდომარე მამუკა სონღულაშვილი კი ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ აცხადებს, რომ მას უფლება არ ჰქონდა, შენობის დაცლა არ მოეთხოვა, რადგან ინფორმაცია შენობის დანაღმვის შესახებ ოფიციალურად იყო დაფიქსირებული.

ჩეჩნების ექსტრადირების საკითხის განხილვას მთაწმინდა-კრწანისის სასამართლო 7 თებერვალს გააგრძელებს.

რაც შეეხება შენობის დაცლამდე პროცესის მსვლელობას, მოსამართლე ვაჟა ფუხაშვილმა ნაწილობრივ დააკმაყოფილა ადვოკატთა შუამდგომლობა და დაცვის მხარეს უფლება მისცა წარმოედგინა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ინფორმაციები. ეს გახლდათ ინტერნეტის ქსელით მოპოვებული მონაცემები, რომელიც ადასტურებს, რომ რუსეთის სამართალდამცველი ორგანოები ჩეჩენი ეროვნების პატიმრებს აწამებენ. მოსამართლის გადაწყვეტილებით, ამ ინფორმაციის ნაწილს სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანისას მხედველობაში მიიღებს.



ჩეჩენი პატიმრები სასამართლო პროცესზე

ბესო გულაშვილის ფოტო

ბრალდების მხარემ საპასუხოდ, საგარეო საქმეთა სამინისტროს დახმარებით მოძიებული, გაერო-ს 17 და 20 იანვრის რეზოლუციები წარმოადგინა. ეს რეზოლუციები გაერო-ს წევრ ქვეყნებს მოუწოდებს, ხელი არ დააფარონ ტერორიზმთან კავშირის მქონე პირებს. გენერალური პროკურატურის უცხოეთთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსის პაატა მსხილიძის თქმით, ეს რეზოლუცია უშუალოდ ეხმიანება ჩეჩენი პატიმრების ექსტრადირების საკითხს, რადგან რუსეთის მხარე მათ ადანაშაულებს სწორედ სამხედრო მოსამსახურეთა და სამართალდამცველთა სიცოცხლის ხელყოფაში, ცეცხლსასროლი იარაღის შენახვა-ტარება-გადაზიდვაში, ტერორისტული აქტებისა და ბანდიტური თავდასხმების ჩადენაში.

# მკვლელობა ქუთაისში

ბექა სისაური

ქუთაისიდან

ქუთაისში, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩაზე, დაახლოებით ღამის თორმეტ საათზე ჩაცხრილეს ძმები - ნიკოლოზ და გიორგი მაისურაძეები. ისინი მეზობელ კორპუსში მეგობართან იყვნენ გადასულნი, უკან დაბრუნებისას კი სადარბაზოს შესასვლელში უცნობმა პირმა ავტომატური იარაღიდან მათ ცეცხლი გაუხსნა. ორივე ძმა ადგილზევე გარდაიცვალა. სავარაუდოდ, მკვლელი მაისურაძეებს კორპუსის სადარბაზოსთან ელოდებოდა, თუმცა ძიება ჯერ ვერ აკონკრეტებს, დანაშაული მარტომ ჩაიდინა თუ თანამზრახველებთან ერთად. ფაქტი ერთია, რომ მკვლელი ისე მიიმალა, არავის არაფერი დაუნახავს. ნიკოლოზ მაისურაძე 34 წლის იყო, გიორგი კი 30-ის. ოჯახის წევრების განცხადებით, სროლის ხმა მათაც გაიგონეს, თუმცა მკვლელი არც მათ დაუნახავთ. გამოძიება ვერსიებზე ჯერ არ საუბრობს, ვერც იმას ასახელებს, მკვლელობა შეკვეთილი იყო თუ არა. მართალია, ერთ –ერთ ძმას ნარკოტიკების შენახვისთვის პირობითი სასჯელი ჰქონდა მისჯილი, მაგრამ სხვა დანაშაულებებში ისინი მხილებულნი არ იყვნენ. საქმეზე ძიებას ქუთაისის პროკურატურა აწარმოებს.

# რუსეთიდან ამერიკის მოქალაქე გააძევეს

რუსეთის ხელისუფლებამ ქვეყნიდან გააძევა ამერიკის მოქალაქე მეგან მაქკრი. იგი ეჭვმიტანილი გახლდათ ისლამისტურ ორგანიზაციებთან კავშირში. მაქკრი გუშინ "აეროფლოტის" რეისით მოსკოვიდან ლოს-ანჯელესში გაამგზავრეს.

რუსეთის სპეცსამსახურების ცნობით, "ამერიკის მოქალაქე ქალბატონი ინტერნეტის ქსელის საშუალებით ცდილობდა დაკავშირებოდა რამდენიმე ცნობილ ექსტრემისტულ ორგანიზაციას, სთავაზობდა ამერიკაში ტერორისტული აქტების განხორციელების სცენარს და დახმარებას მათ მოწყობაში".

საინფორმაციო სააგენტო "როიტერი" რუსეთის უშიშროების ფედერალურ სამსახურზე დაყრდნობით იუწყება, რომ მაქკრი "ალ ქაიდასა" და "ისლამური საძმოს" წარმომადგენლებთან კავშირის დამყარებას ცდილობდა მოსკოვში არსებული საკუთარი ბინიდან. იგი ისლამისტებს ურჩევდა, რომ სამიზნედ არ შეერჩიათ მსხვილი ობიექტები, რადგან ასეთ შემთხვევაში ტერაქტის მომზადებას დიდი ძალისხმევა და თანხები დასჭირდებოდა. სანაცვლოდ, ქალი პოტენციურ სამიზნედ ჰოლივუდის კინოსტუდიებს სთავაზობდა.

რუსეთიდან დეპორტირებული ამერიკის მოქალაქე აცხადებს, რამდენიმე წლის წინ შეერთებული შტატები იმის გამო დატოვა, რომ ცენტრალური სადაზვერვო ბიუროსგან განიცდიდა დევნას. ორი წლის წინ, მოსკოვში ჩასვლამდე, იგი რუმინეთში ცხოვრობდა.

მიუხედავად ზემოთ ნახსენები ეჭვებისა, ამერიკის მოქალაქის მიმართ სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა და მეგან მაქკრის დეპორტაციის ოფიციალური მიზეზი სავიზო რეჟიმის დარღვევა გახდა. როგორც აღმოჩნდა, მას მოსკოვში ცხოვრების ორი წლის მანძილზე შესაბამის ორგანოებში რეგისტრაცია არ გაუვლია. საინფორმაციო სააგენტო "ასოშეიტედ პრესის" ცნობით, "აეროფლოტი" ადასტურებს, რომ მგზავრი, გვარად მაქკრი, ნამდვილად იმყოფებოდა თვითმფრინავში, რომელიც ლოს-ანჯელესში გაფრინდა. სააგენტოსვე ინფორმაციით, მოსკოვში ამერიკის საელჩო მომხდარის თაობაზე კომენტარს არ აკეთებს.

# გიორგი სანაიას მკვლელობის საქმის სასამართლო პროცესი დაწყებისთანავე გადაიდო

*გუშინ, მკვლელობიდან წელიწადნახევრის შემდეგ, გლდანი-ნაძალადევის სასამართლოში გიორგი სანაიას საქმის განხილვა დაიწყო და გუშინვე გადაიდო. სასამართლო სხდომის გადადების მიზეზი პროცესზე დაზარალებულთა გამოუცხადებლობა გახდა.*
*საქმე ისაა, რომ გიორგი სანაიას ოჯახი გენერალურ პროკურატურას, რომელმაც საქმე გამოიძია, უნდობლობას უცხადებს და ამიტომაც დაზარალებული მხარე სასამართლო პროცესს პროტესტის ნიშნად არ დაესწრო.*

ინგა ალავიძე

გიორგი სანაიას მეუღლის ხათუნა ჩხაიძის განცხადებით, პროცესი მხოლოდ მას შემდეგ უნდა დაიწყოს, რაც მასსა და პროკურატურას შორის არსებული სამოქალაქო დავა დასრულდება. როგორც ცნობილია, ხათუნა ჩხაიძის მიერ გენერალური პროკურატურის წინააღმდეგ სასამართლოში შეტანილ სარჩელს მთაწმინდა-კრწანისის სასამართლო განიხილავს. მომჩივანი პროკურატურას გამოძიების არაობიექტურად ჩატარებაში ადანაშაულებს. როგორც ხათუნა ჩხაიძე ამტკიცებს, მისი მეუღლის მკვლელობასთან დაკავშირებით გამოძიება თავიდანვე ტენდენციურად წარიმართა, არ არიან დაკითხული ის მოწმეები, რომელთა ჩვენებებიც სიმართლის დადგენაში დიდად წაადგებოდა გამოძიებას. პროკურატურამ ისინი არ დაკითხა, რადგანაც მათთვის არასასურველი ჩვენების მიღება გამოძიების ინტერესებში არ შედიოდა. მისი თქმით, რადგან მკვლელობის საქმე არასრულყოფილადაა გამოძიებული, სასამართლო პროცესის ჩატარებას აზრი არ აქვს. **"ამიტომაც სანაიას ოჯახი პროტესტს უცხადებს აღნიშნულ სასამართლო პროცესს და მასში მონაწილეობას არ მიიღებს",** – აცხადებს ხათუნა ჩხაიძე.

დაზარალებულთა პროტესტის მიუხედავად, გაძლიერებულმა ბადრაგმა გლდანი-ნაძალადევის სასამართლოში გიორგი სანაიას მკვლელობაში ბრალდებული გრიგოლ ხურცილავა მიიყვანა.

პროცესის გახსნისთანავე გრიგოლ ხურცილავას ადვოკატმა დავით დადიანმა სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა. პროცესი არ უნდა ჩატარდეს მანამ, სანამ სასამართლო არ განიხილავს გიორგი სანაიას მეუღლის ხათუნა ჩხაიძის სარჩელს – ასეთია ადვოკატის მოთხოვნა. **"საქმე იმაშია, რომ ის, რასაც ხათუნა ჩხაიძე ითხოვს, წინასწარი გამოძიების საქმეა, ამიტომაც, სანამ არ გაირკვევა დაზარალებულსა და პროკურატურას შორის სიტუაცია, მანამდე პროცესის დაწყება გამართლებულად არ მიმაჩნია,"** – ამბობს დავით დადიანი. გრიგოლ ხურცილავას ადვოკატი გენერალური პროკურატურის მიერ გამოძიებულ საქმეს შეფასებას ჯერ არ აძლევს, **"ჯერჯერობით, არაფრის თქმა არ შემიძლია. როცა დაიწყება სასამართლო პროცესი, ყველაფერს მაშინ შევაფასებ. პროცესზე კი ჩემი პოზიცია აუცილებლად გამოიკვეთება,"** – განაცხადა დავით დადიანმა.

სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა პროკურორმაც. სახელმწიფო ბრალმდებელმა მოითხოვა, სასამართლო პროცესს დაესწროს გიორგი სანაიას მეუღლე და გამოძიების მიმართ არსებული ყველა პრეტენზია სასამართლოს მოახსენოს.

გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ჯგუფი აცხადებს, რომ მათ საქმე ობიექტურად გამოიძიეს. **"საოლქო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება ჩვენ კვლავ საოლქო სასამართლოში გავასაჩივრეთ ხათუნა ჩხაიძის სარჩელის პასუხად. მიუხედავად ჩემი პირადი სიმპათიისა გიორგი სანაიასა და ხათუნა ჩხაიძისადმი, წარმოუდგენელი რამ მოხდება, თუ სასამართლო დააკმაყოფილებს დაზარალებულის სარჩელს,"** – ამბობს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო სამსახურის უფროსი აკაკი ბუდაღაშვილი.

მოსამართლის გადაწყვეტილებით, გიორგი სანაიას მკვლელობაში ბრალდებულ გრიგოლ ხურცილავას სასამართლო პროცესი 4 თებერვლამდე გადაიდო. სასამართლო პროცესის 4 თებერვალს ჩატარების თაობაზე შეტყობინება გაეგზავნება დაზარალებულ მხარესაც. საერთოდ კი, დაზარალებულთა პროტესტის გაგრძელების შემთხვევაში, სასამართლო კოლეგია გადაწყვეტს, სასამართლო პროცესი დაზარალებულთა გარეშე ჩატარდეს თუ არა.

# ზაქაევის ექსტრადირების საკითხს საერთაშორისო კონვენცია გადაწყვეტს

დღეს ლონდონის სასამართლო იმსჯელებს ახმედ ზაკაევის რუსეთში ექსტრადირების თაობაზე. როგორც ცნობილია, თავის დროზე დანიამ მის გადაცემაზე უარი განაცხადა; თუმცა, ასევე არ დააკმაყოფილა იჩქერიის რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლის თხოვნა თავშესაფრის მინიჭების თაობაზე. ახლა უკვე რუსეთის ოფიციალური წრეები მიიჩნევენ, რომ ახმედ ზაკაევს დიდი ბრიტანეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალმა დადგენილებამ რუსეთში ექსტრადიციის თავიდან აცილების ყოველგვარი შანსი დაუკარგა. საქმე ის გახლავთ, რომ 2003 წლის 10 იანვარს გაერთიანებულ სამეფოში ძალაში შევიდა დადგენილება, რომლის თანახმადაც, რუსეთი აღიარებულია 1977 წლის 27 იანვარს ტერორიზმის აღმოფხვრის შესახებ მიღებული ევროპული კონვენციის მონაწილედ.

ეს კი, რუსეთის ხელისუფლების აზრით, ნიშნავს, რომ ამიერიდან რუსეთსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის ის საკითხები, რომელიც კონვენციით რეგულირდება, სწორედ ამ საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტის შესაბამისად უნდა გადაწყდეს.

სხვათა შორის, რუსეთის ხელისუფლების აზრს ეთანხმებიან ბრიტანელი ექსპერტებიც: რუსეთის ცნობა აღნიშნული კონვენციის მონაწილედ ნებისმიერ ტერორიზმში ეჭვმიტანილს (მათ შორის – ზაკაევსაც) უკარგავს შესაძლებლობას, რომ თავიდან აიცილოს ექსტრადირების საშიშროება. კონვენციის თანახმად, არავითარი მოტივაცია არ გამოდგება მძიმე დანაშაულების გასამართლებლად (ისეთის, როგორიცაა მკვლელობა, მძევლების აყვანა, ადამიანების გატაცება და სხვა). სხვა საქმეა, რამდენად საფუძვლიანად მიიჩნევს ლონდონის სასამართლო რუსეთის მხარის მიერ ზაკაევის ბრალეულობის დასადასტურებლად წარდგენილ მტკიცებულებებს. სასამართლოს მხრიდან შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაშიც კი, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ზაკაევის გადაცემის პროცედურა, სავარაუდოდ, წელიწადზე მეტ ხანს გასტანს. ასეთი პროგნოზის გაკეთების საბაბს იძლევა აქამდე არსებული პრაქტიკა. კერძოდ, ის შემთხვევები, როცა ხდებოდა ამერიკის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების მხრიდან ტერორიზმში ბრალდებული პირების ექსტრადირების საკითხების განხილვა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთთან ერთად კონვენციის მონაწილედ აღიარებულია კიდევ 14 ქვეყანა, მათ შორის - უკრაინა და მოლდოვა.

# ექსპერტიზამ დაკავებულს წამების ნიშნები აღმოუჩინა

რამდენიმე დღის წინ პოლიციის მთავარი სამმართველოს მიერ გახსნილად გამოცხადებული საქმე შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს. საუბარია მანქანის გამტაცებელთა ჯგუფის წევრების დაკავების შესახებ. თბილისის შერიფის მოადგილის დავით კეკუას განცხადებით, დაკავებულები უცხოური მარკის, პრესტიჟულ მანქანათა გატაცებაზე მუშაობდნენ და გატაცებული მანქანები გასაყიდად ცხინვალში გადაჰყავდათ. ამ ჯგუფის წევრებს ბრალდებათ ფეხბურთელ რევაზ ძოძუაშვილის და ბიზნესმენ ზაალ იაკობიძის "ჯიპის" მარკის მანქანების გატაცება. არსებული ინფორმაციით, მანქანის გამტაცებლები ბოლო პერიოდში დამკვიდრებული მეთოდით მუშაობდნენ - ამ ჯგუფებს "ავტორიტეტული" კრიმინალები აკონტროლებდნენ.

ავტომანქანის გატაცების ბრალდებით დაკავებული 5-კაციანი ჯგუფის ერთ-ერთი წევრის, ზურაბ სადალაშვილის ადვოკატის ეკა ბესელიას განცხადებით, დაკავებული წინასწარი დაკავების საკანში აწამეს, გამოყენებული იყო ელექტროშოკიც. ადვოკატის განცხადებით, პოლიციამ ამ ხერხით აღიარებითი ჩვენება გამოსძალა მისი დაცვის ქვეშ მყოფს.

იმავეს ირწმუნება ზურაბ სადალაშვილიც. იგი აცხადებს, რომ მას თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს წინასწარი დაკავების საკანში დენს უერთებდნენ სხეულის სხვადასხვა ნაწილებში, მათ შორის - გულის არეშიც.

გუშინ იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და განსაკუთრებულ გამოკვლევათა ცენტრის ხელმძღვანელმა მაია ნიკოლეიშვილმა ბრალდებულს ექსპერტიზა ჩაუტარა ადვოკატის მოთხოვნის საფუძველზე.

"სადალაშვილს სხეულზე აღენიშნება დაზიანებები, რომელიც ბლაგვი საგნით აქვს მიყენებული; რაც შეეხება პატიმრის ყურებზე აღმოჩენილ დაზიანებებს, შესაძლოა, იგი დენის ზემოქმედების შედეგი იყოს,"- ასეთია ექსპერტიზის წინასწარი მონაცემები. საბოლოო დასკვნა ერთ კვირაში იქნება მზად.

# მომვლელთა გულგრილობის გამო, ახალშობილი გარდაიცვალა

ბექა სისაური

ქუთაისიდან

თერჯოლის პროკურატურა ძევრის ბავშვთა სახლით დაინტერესდა. საქმე ისაა, რომ რამდენიმე დღის წინ, ზესტაფონში, წმინდა ბარბარეს სახელობის ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლში მიიყვანეს ორი გაყინული ახალშობილი. მათგან ერთი - ოთხი დღის გოგონა - იმ დღესვე გარდაიცვალა, ხოლო ექვსი დღის ბიჭი ამჟამად ქუთაისის ბავშვთა საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში იმყოფება. ახალშობილები ბავშვთა სახლში მიიყვანეს სოფელ ძევრის ინვალიდთა სახლიდან. ბავშვები ამავე დაწესებულებაში ინვალიდ ქალებს შეეძინათ. 10 დღის განმავლობაში უსმელ-უჭმელი ბავშვები ცივ შენობაში ჰყავდათ. მოგვიანებით ერთ-ერთმა ინვალიდმა ქალბატონმა ისინი ზესტაფონის ბავშვთა სახლში გადაიყვანა. ზესტაფონის საავადმყოფოს მედპერსონალის განმარტებით, ახლშობილს საკვები პირველად საავადმყოფოში მისცეს. მოწმეთა განცხადებით, ძევრის ინვალიდთა სახლში ასეთი შემთხვევა პირველი არ არის. რამდენიმე თვის წინ თერჯოლიდან ზესტაფონის ბავშვთა სახლში კიდევ ერთი გაყინული ახალშობილი მიიყვანეს, რომლის გადარჩენაც ექიმებმა ძლივს შესძლეს.

რამდენიმე დღის წინ მომხდარი შემთხვევის შემდეგ ძევრის ინვალიდთა სახლის დირექტორმა განცხადება დაწერა და სამსახურიდან წავიდა. იგი აცხადებს, რომ ბავშვების დაბადების შესახებ არაფერი იცოდა.

ახალშობილის სიკვდილის ფაქტზე თერჯოლის პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, თუმცა ძიებას კონკრეტული დამნაშავეები ჯერ არ დაუდგენია.

## მოკლედ

**თბილისი.** სამცხე-ჯავახეთის ეკოლოგიური პოლიციის სამხარეო სამსახურის თანამშრომლებმა ადიგენის რაიონის სოფელ არალში ამხილეს პირთა ჯგუფი, რომელმაც უკანონოდ მოჭრა სხვადასხვა ჯიშის ხეები. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** შიდა ქართლის ეკოლოგიური პოლიციის სამხარეო სამსახურის თანამშრომლებმა ამხილეს ხაშურის რაიონის სოფელ ქვლევში მცხოვრები გივი ნოზაძე და სოფელ ვაყაში მცხოვრები ჯემალ მეხრიშვილი, რომლებმაც სატყეო მეურნეობის ტერიტორიაზე უკანონოდ მოჭრეს ხეები. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში, გორგასლის ქუჩაზე, მიკროავტობუსი „ფორდ ტრანზიტი" დაეჯახა „პაზის" ტიპის ავტობუსს. ავარიის შედეგად მიკროავტობუსის მძღოლი, 63 წლის ივანე ფეიქრიშვილი საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა, ხოლო მისმა ორმა მგზავრმა სხეულის დაზიანებები მიიღო. "პაზის" ავტობუსს 50 წლის ოთარ უსუსოვი მართავდა. ავარიის გამომწვევი მიზეზები, ჯერჯერობით, დადგენილი არ არის. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ, გვიან საღამოს, უცნობმა პირებმა გორის ენერგოკომპანიის ხელმძღვანელის ტარიელ მაზმიშვილის სახლში ყუმბარა შეაგდეს.

გორის პოლიციის ინფორმაციით, აფეთქების დროს ოჯახის წევრთაგან არავინ დაშავებულა. პოლიციას, ჯერჯერობით, მომხდართან დაკავშირებით რაიმე ვერსია არ გააჩნია; აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, მიმდინარეობს გამოძიება. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს იუსტიციის საბჭოსა და მსოფლიო ბანკის მისიის წარმომადგენლებმა ერთობლივი სამუშაო შეხვედრებისას განიხილეს სასამართლო რეფორმის პროექტის მიმდინარეობისა და შესრულების საკითხები. მუშაობისას ყურადღება გამახვილდა პროექტის ცალკეული კომპონენტების განხორციელებისას წარმოქმნილ სირთულეებზე. გარდა ამისა, იმსჯელეს პრიორიტეტული პროგრამების შემუშავებაზე. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ხიზრი ალდამოვის განცხადებით, სააგენტო "ფრანს-პრესის" მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომ ხიზრი ალდამოვმა საფრანგეთს პოლიტიკური თავშესაფარის მოთხოვნით მიმართა და ამისთვის იგი 17 იანვარს იორდანიიდან პარიზში ჩაფრინდა, სიმართლეს არ შეესაბამება. "მე საქართველოს შვილი ვარ და არსად წასვლას არ ვაპირებ, ვისაც დანაშაული მიუძღვის, ის წავიდეს," - განაცხადა ალდამოვმა. **კავკას-პრესი.**

## საგარეო დაზვერვის სამსახური
## СЛУЖБА ВНЕШНЕЙ РАЗВЕДКИ (СВР)



*სდს-ს ცენტრალური შესასვლელი*

**დირექტორი** - *გენერალ-ლეიტენანტი სერგეი ნიკოლოზის ძე ლებედევი*
**პირველი მოადგილე** - *ვლადიმერ ზავერშინსკი*
**მოადგილეები** - *ალექსეი შერბაკოვი, ივან გორელოვსკი, ვიქტორ ერინი*
**შტაბ-ბინა** - *მოსკოვი, იასენევო*
**პრეს-მდივანი** - *ტატიანა სამოლისი*
**დირექტორის კონსულტანტთა ჯგუფის ხელმძღვანელი** - *ვადიმ კირპიჩენკო*
**დირექტორის მთავარი კონსულტანტი** - *ალექსანდრ გოლუბევი*

***დეპარტამენტები:***
ანალიზის და ინფორმაციის
საგარეო კონტრდაზვერვის
ოპერატიული ტექნიკის
ეკონომიკური დაზვერვის
კომპიუტერული და ინფორმაციის

**რუსეთის საგარეო დაზვერვის ხელმძღვანელები საბჭოთა პერიოდიდან:**
1920-1921 - იაკობ დავიდოვი
- რუბენ კატანიანი
- იაკობ დავიდოვი
- სოლომონ მოგილევსკი
- მიხაილ ტრილესერი
- სტანისლავ მესინგი
- არტურ არტუზოვი
- აბრამ სლუცკი
- სერგეი შპიგელგლასი
- ზელმან პასოვი
- პაველ სუდოპლატოვი
- ვლადიმერ დეკანოზოვი
- პაველ ფიტინი
- პეტრ კუბატკინი
- პეტრ ფედოტოვი
- სერგეი სავჩენკო
- ევგენი პიტოვრანოვი
- ვასილი რიასნოი
- ალექსანდრ კოროტკოვი
- ალექსანდრ პონიუშკინი
- ალექსანდრ სახაროვსკი
- თეოდორ მორტინი
- ვლადიმერ კრუჩკოვი
- ლეონიდ შებარშინი
- ევგენი პრიმაკოვი
- ვიაჩესლავ ტრუბნიკოვი
2000- სერგეი ლებედევი

### საგარეო დაზვერვის რეზიდენტები

***ამერიკის შეერთებულ შტატებში:***
არალეგალური ბ. ბაზაროვი 1935-38
არალეგალური ე. მიცკევიჩი 1934-38
არალეგალური ი. ახმეროვი 1938-39, 1942-45
ლეგალური პ. გუდცაიტი 1933-38
ლეგალური გ. ოვაკიმიანი 1939-41
მთავარი რეზიდენტი ვ. ზარუბინი 1941-44 ვაშინგტონი, ნიუ-იორკი
ლეგალური გ. ჰეიფეცი 1941-44 სან-ფრანცისკო
ლეგალური ლ. კვასნიკოვი 1943-45
ლეგალური ა. გორსკი "ვადიმი" 1944-47
ლეგალური ს. აპრესიანი 1944-45
მთავარი რეზიდენტი ა. პანიუშკინი 1947-52 ვაშინგტონი
ლეგალური ნ. ლისენკოვი 1952-55
არალეგალური ვ. ფიშერი "მარკი" 1948-57
ლეგალური ა. ფეკლისოვი 1960-64
ლეგალური მ. პოლონიკი 19..-197.
ლეგალური ბ. სოლომატინი 1971-75
ლეგალური ი. დროზდოვი 1975-79 ნიუ-იორკი
ლეგალური დ. იაკუშინი 1975-82 ვაშინგტონი
ლეგალური ბ. ივანოვი 1962-64
ლეგალური ბ. სოლომატინი 1966-68
ლეგალური ლ. ზაიცევი 1983-86
ლეგალური მ. პოლონიკი 1968-75

**ძირითადი რეზიდენტურები:** ნიუ-იორკი, ვაშინგტონი, სან-ფრანცისკო

***დიდ ბრიტანეთში:***
არალეგალური ი. რეიფი "მარი" 19..-19..
არალეგალური ა. ორლოვი "შვედი" 193.-193.
არალეგალური ტ. მალი "მანი" 19..-193.
არალეგალური ე. მიცკევიჩი "ანატოლი" 1931-32
ლეგალური ე. მიცკევიჩი "ანატოლი" 1932-34
ლეგალური გ. გრაფპენი "სემი" 1937-38
ლეგალური ა. გორსკი "ვადიმი" 1940-44
სპეციალური კავშირის რეზიდენტი ა. ჩიჩაევი 1941-45
ლეგალური კ. კუკინი 1943-47
ლეგალური ბ. როდინი 1956-61

***გერმანიაში:***
არალეგალური ე. მიცკევიჩი 1925-27 ჰამბურგი
არალეგალური ვ. ზარუბინი 1927-29 დანია და გერმანია
არალეგალური ბ. ილკი "ბეერი" 1927-33
არალეგალური ი. კამინსკი "მონდი" 1930-33
არალეგალური ბ. ბაზაროვი
არალეგალური ფ. პარპაროვი 193.-193.
არალეგალური ფ. კარინი 1927-33
არალეგალური ბ. გორდონი
ლეგალური ნ. სამსონოვი "ჰოლსტი" 1929-31
ლეგალური ბ. ბერმანი "სემენ" 1931-33
არალეგალური ვ. ზარუბინი 1934-37
ლეგალური ბ. გორდონი 1933-37
ლეგალური ა. აგაიანცი 1937-38
ლეგალური ა. ქობულოვი "ზახარ" 1939-41
ლეგალური ვ. როშინი 1947-50
ლეგალური ი. ზაიცევი 1958-63
ლეგალური ი. ზაიცევი 1969-72

# გავლენის აგენტები

ლევან ღირსიაშვილი

ტერმინს - "გავლენის აგენტი" დიდი ხნის ისტორია არ გააჩნია. ის სულ ახლახან გაჩნდა და მაშინვე პოპულარობა მოიპოვა. თავად ამ ტერმინით აღნიშნული სპეციფიკური, განსაკუთრებით გასაიდუმლოებული აგენტურა კი ასწლეულების მანძილზე არსებობს. დროისა და ქვეყნის მიხედვით, ასეთი აგენტურა სხვადასხვანაირად მოიხსენიებოდა, მაგრამ ჰქონდა საკუთარი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი და სხვა აგენტურებისგან კარდინალურად განსხვავებული თვისებები.

ძირითადად, გავლენის აგენტები არისტოკრატული წარმომავლობის იყვნენ, არაჩვეულებრივი შესაძლებლობებით და მიმზიდველი გარეგნობით. გულმოდგინე მომზადების და საგანგებოდ შეთხზული "ლეგენდის" შემდეგ მათ აგზავნიდნენ მეზობელ თემებში, ტომებსა და სახელმწიფოებში. ამ აქციების ძირითადი მიზანი იყო აგენტის შეგზავნა და დამკვიდრება (ინფილტრაცია) ხელისუფლების მაღალ ეშელონებში - აშკარა ან პოტენციური მოწინააღმდეგის ძალაუფლების ფარულად შესარყევად.

ამ კატეგორიის აგენტები, როგორც წესი, მარტო მუშაობდნენ, მაგრამ იყო გამონაკლისებიც – მაგალითად, ალექსანდრ მაკედონელმა ჩვ. წ. აღ-მდე 328 წელს დაიპყრო სოგდიანუს მხარე (თანამედროვე უზბეკეთის და ტაჯიკეთის ტერიტორია), საბერძნეთიდან და მაკედონიიდან გამოიძახა კარგი განათლებისა და ინტელექტუალური მონაცემების მქონე უმაღლესი წარმომავლობის 100 ყმაწვილი და თავისი ძალაუფლების გამოყენებით სასწრაფოდ დააქორწინა ისინი ადგილობრივ არისტოკრატებზე. ის საქორწინო დღესასწაულებს პირადად ხელმძღვანელობდა.

ამ აქციის ოფიციალური იდეოლოგია, ერთი შეხედვით, ჰუმანურია: ორი დანათესავებული ხალხის შვილები ერთმანეთში არ იომებენ, მაგრამ ამ აქციის ჭეშმარიტი მიზანი სულ სხვა იყო - ალექსანდრე მაკედონელი, ახალი ხელისუფლების ძლიერი სტრუქტურის შექმნით, ახორციელებდა თავის სტრატეგიულ ჩანაფიქრს, რომელსაც მომავალში ბერძნულ-მაკედონური იმპერიის ინტერესები უნდა უზრუნველეყო.

შემდეგში გავლენის აგენტების სხვის მიწა-წყალზე ასეთი ჯგუფური დამკვიდრება ძველ მსოფლიოსა და შუა საუკუნეებში აღარ ხდებოდა. აქციები, ძირითადად, ინდივიდუალურად ხორციელდებოდა.

ეს დაკავშირებული იყო შემდეგ ფაქტორებთან:

გავლენის აგენტთა უზარმაზარი პოტენციალის მიუხედავად, დამკვიდრების და ლეგალიზაციის ტექნიკური მხარე საკმაოდ რთული იყო;

საბოლოო მიზნის მიღწევა შორეული პერსპექტივით იგეგმებოდა, ისტორიის მოულოდნელობას კი ოპერაციის ჩანაფიქრი, შეიძლებოდა საპირისპიროდ შემოექცია.

რუსეთში გავლენის აგენტთა გამოყენებას დიდი ხნის ისტორია აქვს. ამის დასტურად ივან IV მრისხანის დროს არსებული დიპლომატიური მისიის გახსენებაც საკმარისია. მაშინ პოსოლსკის მთავარს, ივან მიხაილის ძე ვისკოვატს დაევალა დანიის სამეფოსთან სამშვიდობო შეთანხმების დადება. საქმეს ის ართულებდა, რომ დანიის მონარქს მოსკოვთან მშვიდობიანი მოლაპარაკების გაგონებაც არ სურდა. როდესაც ივან ვისკოვატი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ჩვეულებრივი დიპლომატიური საშუალებებით წარმატებას ვერ მიაღწევდა, სხვა გზების ძებნა დაიწყო. მას დარწმუნების არაჩვეულებრივი უნარი ჰქონდა და ახალ მეგობრებს გულუხვად ასაჩუქრებდა. მან ძვირფასი საჩუქრებით და ფულით შეძლო, გადაებირებინა რამდენიმე მთავარი. შემდეგში ამ "პრო-მოსკოვურად" განწყობილი ლობით მან დაარწმუნა დანიის მეფე, მიეღო რუსეთისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილება.

კიდევ ერთი მაგალითი: მე-20 საუკუნის დასაწყისში რუსეთი მასობრივი გაფიცვების ტალღამ მოიცვა, ხელისუფლება სრულიად დაიბნა. სიტუაციის სტაბილიზებისთვის მოსკოვის დაცვის განყოფილების ხელმძღვანელმა ს. ვ. ზუბატოვმა ასეთი გამოსავალი იპოვა. მან მთავრობას შესთავაზა, შეექმნათ "გავლენის აგენტთა "საშუალებით, პოლიციის მიერ საიდუმლოდ მართვადი პროფკავშირები "დემოკრატიული" ორგანიზაციების ყველა გარეგნული ნიშნით. ასე რომ, პროფკავშირული მოძრაობა მეფის რუსეთში უმეტეს წილად "ოხრანკის" მეშვეობით შეიქმნა.

სსრკ-ში ამ საკითხმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა 80-90-იან წლებში. დღეს არავისთვის წარმოადგენს საიდუმლოს, რომ სსრკ-ს დაცემა მნიშვნელოვანწილად სწორედ იმ გავლენის აგენტთა მეშვეობით მოხდა, რომლებიც საბჭოთა ხელმძღვანელობის უმაღლეს ეშელონებში მოქმედებდნენ.

1947 წლის დასაწყისში აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ეგიდით, კომუნიზმთან ბრძოლის მიზნით, დაიწყო "თანამოაზრეთა, დამხმარეთა და მოკავშირეთა" მომზადების რიგი პროგრამის განხორციელება, უშუალოდ სსრკ-ს ტერიტორიაზე. ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მოგვიანებით გამოაქვეყნა მონაცემები, რომელთა თანახმადაც, მხოლოდ 1985-1992 წლებში დასავლეთმა (პირველ რიგში აშშ-მ) "სსრკ-ს დემოკრატიზაციის პროცესში" ჩადო 90 მილიარდი ამერიკული დოლარის ინვესტიცია. სსრკ-ში ფინანსური რესურსები სხვადასხვა საშუამავლო სტრუქტურების გავლით მოდიოდა – მაგალითად, რუსეთის რეფორმების საზოგადოებრივი კომიტეტი, ამერიკული ასოციაცია "ეროვნული შენატანი დემოკრატიაში", და ა.შ. საქმე იქამდე მივიდა, რომ აშშ-ს კონგრესის ფონდი 1990 წელს სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს შიდარეგიონალურ დეპუტატთა საინიციატივო ჯგუფს აფინანსებდა.

ეს ფაქტი საბჭოთა სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს უყურადღებოდ არ დარჩენიათ. 1987 წლის 17 ივნისს უმაღლესი საბჭოს დახურულ სხდომაზე სსრკ-ს სუკ-ის ხელმძღვანელი კრუჩკოვი გამოვიდა მოხსენებით - **"ცსს-ს გეგმები საბჭოთა მოქალაქეებს შორის გავლენის აგენტურის მოსაპოვებლად"**. კრუჩკოვმა განაცხადა: **"სარწმუნო მონაცემებით, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო საკუთარი სპეციალისტების, სსრკ-ს განვითარების გზების ანალიზის და პროგნოზის საფუძველზე, ამუშავებს საბჭოთა საზოგადოების და სოციალური ეკონომიკის დეზორგანიზაციისთვის მიმართულ მტრული საქმიანობის გეგმას. ამერიკული დაზვერვა მიზნად ისახავს, განახორციელოს გავლენის აგენტურის გადაბირება საბჭოთა მოქალაქეთა რიგებიდან. ასწავლოს და შემდეგ ხელი შეუწყოს მათ წინსვლას პოლიტიკის, ეკონომიკის და მეცნიერების სფეროში."**

კრუჩკოვის განმარტებით, ცსს-მ შეიმუშავა გავლენის აგენტთა ინდივიდუალური მომზადების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ჯაშუშური საქმიანობის წარმართვას, ასევე - მათ კონცენტრირებულ პოლიტიკურ ან იდეოლოგიურ დამუშავებას. გარდა ამისა, ასეთი აგენტურის მომზადების ძირითადი ასპექტი იყო სახალხო მეურნეობის სფეროში ხელმძღვანელობის მეთოდების შეცვლა. კრუჩკოვმა განაცხადა, რომ ამერიკული დაზვერვის ხელმძღვანელობა არ იშურებდა ხარჯებს იმ პირთა მოსაძებნად, რომელთაც მმართველობის აპარატში ადმინისტრაციული თანამდებობის დასაკავებლად პირადი ან საქმიანი თვისებები ჰქონდათ და რომლებიც მოწინააღმდეგის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებას შეძლებდნენ. ამასთან, ცსს გეგმით, ცალ-ცალკე, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მოღვაწე აგენტებს, რომლებიც მოახერხებდნენ საბოტაჟს პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში, ამერიკული დაზვერვის ჩარჩოებში შექმნილი ერთი ცენტრი გაუწევდა კოორდინირებას. ცსს-ს ჩანაფიქრით, გავლენის აგენტურის მიზანდასახულობა ხელს შეუწყობდა სსრკ-ში ერთგვარი შინაპოლიტიკური ხასიათის სიძნელეების შექმნას, შეაჩერებდა ეკონომიკურ პროცესს, ჩიხში მოამწყვდევდა სამეცნიერო მუშაობას. კრიუჩკოვის განცხადებით, ცსს-ის ანალიტიკოსები ირწმუნებოდნენ, რომ გავლენის აგენტურის ამოქმედების მეშვეობით, ამერიკული სპეცსამსახურების პროგრამა ხელს შეუწყობდა საბჭოთა საზოგადოების სხვადასხვა სფეროების თვისობრივ ცვლილებებს, რაც საბოლოოდ საბჭოთა კავშირში დასავლური იდეალების აღიარებას გამოიწვევდა.

ამერიკული განმარტებით, ტერმინი "გავლენის აგენტი" არის: **"პირი, რომელიც შეიძლება გამოიყენო უცხოელ წარმომადგენლებთან ფარული გავლენისთვის, რომელიც აყალიბებს საზოგადოებრივ აზრს ორგანიზაციებში, გავლენიან წრეებში, რათა ხელი შეუწყოს თავისი ქვეყნის მთავრობის მიზნების განხორციელებას, ან აქვს საშუალება, კონკრეტულად იმოქმედოს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მხარდასაჭერად"**.

საბჭოთა და შემდეგ კი რუსეთის სპეცსამსახურების ტერმინოლოგიით: **"გადაბირებული და სპეცსამსახურების მიერ ჯაშუშურ საქმიანობაში განსწავლული აგენტი, რომელსაც საზოგადოებაში მაღალი მდგომარეობა უჭირავს და თავისი სამსახურეობრივი მდგომარეობით შეუძლია, მიზანმიმართულად მოახდინოს უსიტყვო გავლენა იდეოლიგიაზე, პოლიტიკაზე, ცალკეული მოვლენების განვითარებაზე, მოსახლეობის ან განსაზღვრული სოციალური ჯგუფის აქტიურ მოქმედებაზე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე, პარტიაზე, ორგანიზაციებზე, დაზვერვისთვის სასურველი მიმართულებით, ან ხელი შეუწყოს დაზვერვისთვის სასურველი აზრის ჩამოყალიბებას ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხზე."**

უფრო დაწვრილებით განვიხილოთ აგენტურის ამ კატეგორიის ფუნქციები და ამოცანები, შერჩევის და მომზადების მეთოდები, საქმიანობის ლეგენდირება, აგენტების მიერ დაკავებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ნიშა, ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი მოღვაწეობის ფორმები.

დღეს "გავლენის აგენტურაში", როგორც წესი, დამკვიდრება და გადაბირება არ ხდება. ეს სფერო მოთმინებით და რუდუნებით ყალიბდება. სხვადასხვა შემთხვევაში ამას რამდენიმე თვე, ან რამდენიმე წელი სჭირდება. აგენტურის შერჩევას და თავად გავლენის აქციების განხორციელებას სპეცსამსახურები მკაცრად ასაიდუმლოებენ. ასევე დაფარულია საბოლოო მიზანიც ოპერატიული ინტერესის ობიექტისგან (ოპერატიული ჟარგონით, ამ საქციელს "ფარულად გამოყენება" ჰქვია).

განსაკუთრებით კონსპირაციულად ხდება მსგავსი აქციების დაფინანსება, ამისთვის გამოიყენება სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენცია, მეგობრული კავშირები, საერთაშორისო პროფესიული ასოციაციები. ოპერთანამშრომლებს ეკრძალებათ ობიექტის უხეშად მოსყიდვა, რადგან, ექსპერტთა აზრით, ეს აგენტის საიმედოობას ამცირებს. ობიექტი მაშინ ხდება საკუთარი, როდესაც მსხვილ პროფესიულ ჰონორარებს მიიღებს უცხოელი გამომცემლებისგან იმ წიგნებისთვის, რომელსაც არავინ კითხულობს, ლექციებისთვის, რომლებსაც არავინ უსმენს და ა. შ. ხანგრძლივი და შრომატევადი სამუშაოს შედეგად ობიექტებს შთააგონებენ პოსტულატებს, რომლებსაც შემდგომში მკაცრად დაიცავს.

გავლენის აგენტთა გამოყენების კლასიკურ მაგალითს ისრაელის დაზვერვა წარმოადგენს. "მოსადისთვის" ძლიერი გავლენის აგენტთა ქსელის შექმნა მნიშვნელოვნად ითვლება. "მოსადის" უცხოეთის რეზიდენტურები მცირერიცხოვანია, მაგრამ ეს მდგომარეობა წარმატებით კომპენსირდება არსებული ქვეყნის ებრაული დიასპორის დახმარებით. მათ შორის შეიძლება იყვნენ სახელმწიფო დაწესებულებების მაღალი რანგის თანამშრომლები, რომლებსაც ხელი მიუწვდებათ საიდუმლო ინფორმაციაზე, მსხვილი ბანკების და ფირმების მეპატრონეები, მათთან ერთად მოკრძალებული მოსამსახურეები, რომლებიც სხვადასხვა დამხმარე ფუნქციებს ასრულებენ.

გავლენის აგენტურა შეიძლება იყოს სხვადასხვანაირი თავისი ფორმით, პოზიციით და მოქმედების ხასიათით. უფრო ხშირად, გავლენის აგენტურა მოქმედებს სრულიად ლეგალურად, გაძლიერებით ლობირებს "სხვის" ინტერესებს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებაში, მეცნიერების, ტექნიკის, ეკონომიკის და სხვადასხვა სფეროებში. რეგულარულად გამოდის ტელევიზიით.ეს ყველაფერი ჩვენ არაერთხელ გვინახავს სხვადასხვა რეფერენდუმებსა და საარჩევნო კამპანიების დროს.

ამასთან, ყველაფერი, რასაც ისინი აკეთებენ, თუ შესაძლო შედეგებს არ გაითვალისწინებ, შეიძლება ქვეყნისთვის სასიკეთოდაც მოგეჩვენოს.

სპეციალისტები, ვინც ამ პრობლემაზე მუშაობს, გავლენის აგენტთა რამდენიმე დამახასიათებელ ნიშანს გამოყოფენ:

საზოგადოებრივ ცნობიერებაზე გავლენის მოხდენის უნარი - ფართო საზოგადოებაზე ან განსაზღვრულ ოფიციალურ და რეგიონულ ჯგუფებში;

განსაზღვრულ და კონკრეტულ ქსელში ჩართვა. გავლენის აგენტი ყოველთვის მხოლოდ ჭანჭიკია "პოლიტიკის გატარების" რთულ მექანიზმში;

"პატრონის" მიერ დასახული მიზნების მიღწევის ობიექტური ხელშემწყობი. გარკვეულ ეტაპზე, შესაძლოა, ეს მიზნები წარმატებულად დაემთხვეს საკუთარი ქვეყნის ინტერესებს, მაგრამ სინამდვილეში ისინი მხოლოდ "პატრონის" - უცხო ქვეყნის სპეცსამსახურის ინტერესებს ემსახურება.

### დასკვნა

გავლენის აგენტები განსაკუთრებით აქტიურად მოქმედებენ სუსტად განვითარებულ ან განვითარების გზაზე მყოფ ქვეყნებში. განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს ქვეყანა რამდენიმე სახელმწიფოს ინტერესების სფეროს წარმოადგენს. შორს რომ არ წავიდეთ, ამის კლასიკურ მაგალითს საქართველო წარმოადგენს.

თუ თვალს გადავავლებთ ჩვენი ქვეყნის ბოლო ათწლეულის ისტორიას, კარგად დავინახავთ, რომ ეს პერიოდი სწორედ უცხო ქვეყნის გავლენის აგენტთა მოქმედების პერიოდი იყო. მათი "ზეობის" ხანა ამჟამადაც გრძელდება.

საქართველოში დღეს მოღვაწე გავლენის აგენტთა უმრავლესობას რუსეთის სპეცსამსახურები მართავენ. ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს:

70 წლის მანძილზე შექმნილი საბჭოთა სუკის აგენტურა არსად წასულა. ყველა ადგილზეა და პირნათლად ასრულებენ "პატრონის" მითითებებს.

მათი აქტიურობა ზუსტად ემთხვევა რუსეთის სამხედრო-სტრატეგიულ, იდეოლოგიურ და ეკონომიკურ ინტერესებს საქართველოში და, ამდენად, ძნელი მისახვედრი არ არის, თუ ვინ მართავს მათ.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის სპეცსამსახურებისგან მართული გავლენის აგენტურის დამკვიდრება ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში დაიწყო და, ძირითადად, სამეცნიერო, რელიგიურ და ხელოვნების წრეებს მოიცავდა. ამას თავისი ობიექტური მიზეზები და მიზნები გააჩნდა, რადგან სწორედ ამ სფეროში მოღვაწე ადამიანები სარგებლობდნენ და სარგებლობენ მასებში პოპულარობით და პატივისცემით. მათ, ერთი შეხედვით, პატრიოტული და ეროვნული საქმეების კეთების საშუალებას აძლევდნენ და ზოგჯერ "ცენტრისადმი" მათ კრიტიკულ გამოსვლებსაც იტანდნენ. ქართველ მეცნიერებს, ხელოვნების და კულტურის მოღვაწეებს საზღვარგარეთ გასვლის და ქართული საქმეების კეთების საშუალება ჰქონდათ. ამით ხალხში მათი პოპულარობა იზრდებოდა. ცენტრისგან კი მათ მხოლოდ ერთი რამ მოეთხოვებოდათ - საჭირო მომენტში დავალების შესრულება და მათი მითითებებით მოქმედება. შესაძლოა, ზოგ ასეთ მოღვაწეს არც კი ჰქონოდა გაცნობიერებული და არც ცოდნოდა, რომ "ცენტრის" თვალთახედვის არეში იყო და წარმატებები მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ნიჭის შედეგი ეგონა, მაგრამ თავისი მოწოდებით და შეგნებით ის უკვე "ცენტრზე" დამოკიდებული ხდებოდა, რადგან ბრწყინვალე კარიერა სწორედ ცენტრის წყალობით ხორციელდებოდა - ფარული "პატრონების" მიერ დაგეგმილად და მიზანმიმართულად.

რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ქართველი მოღვაწე, ვინც საზღვარგარეთ დადიოდა, კრემლის ინტერესებს ემსახურებოდა, მაგრამ ასეთები გამონაკლისები იყვნენ, უმეტესობას კი ნამდვილად გავლენის აგენტებად იყენებდნენ. ზოგმა მათგანმა შესძლო ღირებულებების გადაფასება და ამ თამაშიდან გამოსვლა, მაგრამ ზოგი დღესაც პირუთვნელად ასრულებს "პატრონის" მითითებებს, რადგან თავის დროზე "პატრონებმა" მათი კომპრომეტირება მოახერხეს და დღეს ისინი იძულებულნი არიან, ცენტრის მიერ დადგენილ თამაშის წესებს დაემორჩილონ. შედეგიც სახეზეა: ის, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს საზოგადოება დღემდე განიცდის დაშლის და დანაწევრების პროცესს, სწორედ ამ გავლენის აგენტების მოქმედების დამსახურებაა. რასაკვირველია, აქ მათი ვინაობის დასახელება უხერხული იქნება, რადგან მათი აგენტობის დამადასტურებელი მასალები მხოლოდ და მხოლოდ მოსკოვის არქივებშია საგულდაგულოდ შენახული, ზოგმა გავლენის აგენტმა კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შესაძლოა, არც იცის, რომ აგენტია და, მხოლოდ და მხოლოდ, ბრმა იარაღია "ცენტრის" ხელში. ასეთ შემთხვევაში, ცხადია, მისი პირადი საქმე არც კი იარსებებს. ამიტომ, ლუსტრაციის კანონის მიღებაზე დიდი იმედების დამყარებას აზრი არ აქვს. გავლენის აგენტთა გაშიფვრა დღეს მხოლოდ ფხიზლად და ყურადღებით მყოფ საზოგადოებას შეუძლია.

www.24hours.ge 24 B

ნომრის პერსონა

# რელიგიური რადიკალიზმი - უდიდესი საფრთხე ეკლესიისთვის

*ჩვენი დღევანდელი საუბრის თემა, ერისა და ბერისთვის პრობლემად ქცეული საკითხები, კვალიფიციურ და მშვიდ გარემოში, როგორც წესი, არ განიხილება ხოლმე. შეკრებები ხდება ექსტრემალური შემთხვევიდან (ამათუიმ კონფესიათა დარბევის) მხოლოდ მეორე დღეს და მხოლოდ დაჩაგრული მხარისა და მის აღშფოთებულ ქომაგთა მონაწილეობით. შედეგად მივიღეთ ის, რომ არაფერი იცვლება, ვითარება რთულდება და ისედაც დანაწევრებული საზოგადოება ახლა უკვე სულიერი დაპირისპირებებმა შეიძლება შეიპყროს.*
*როგორც ჩვენი გუშინდელი ნომრის პერსონამ, ტკივილის მედიცინის დიდმა სპეციალისტმა, ბატონმა გოგი მიქელაძემ თქვა, ტკივილის გარეშე ვერ მიხედავ იმას, რაც გაწუხებს და ამიტომაც, ტკივილი საჭირო რამ არისო... ბატონი ლევან აბაშიძე თავდაპირველი პროფესიით ფიზიკოსია. და როგორც ხშირად ამ სპეციალობის ადამიანებს ემართებათ, რელიგიისა და სამყაროს შექმნის ჭეშმარიტი მიზეზების შესასწავლად თბილისის სასულიერო აკადემიის თეოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა. იგივე სპეციალობას სამი წლის განმავლობაში გერმანიაში ეუფლებოდა. დღეს ის საქართველოს პარლამენტის კვლევით დეპარტამენტში რელიგიის საკითხების ექსპერტად მუშაობს. თუმცა, ამ დეპარტამენტში კონკორდატის შესახებ არც ერთი სადეპუტატო შეკითხვა არ შესულა.*

მაია ჭალაგანიძე

**- ბატონო ლევან, რატომ არის თემა - ეკლესია და საზოგადოება - ტაბუდადებული?**

- ჩვენ ყველანი საბჭოთა კავშირიდან მოვდივართ. პოლიტიკურ თემებზე ცენზურა და თვითცენზურა 1990-იანი წლებიდან გაირღვა. თუმცა, ეს ეკლესიის თემას დღემდე არ შეხებია. ჟურნალისტები, შეიძლება, ფრთხილობენ. ეკლესიის შესახებ კონსტრუქციულ და კრიტიკულ სტატიებს თითქმის არ ვხვდებით. ვხვდებით გარკვეული ჯგუფების კრიტიკას, მაგრამ ეს მაინც მარგინალურია, ვიწრო წრიდან მოდის და ფართო მსჯელობის საგანი არ გამხდარა ისე, როგორც ეს განვითარებულ ქვეყნებში ხდება. ჩვენთან ან სრული პოზიტივია, როგორც საბჭოთა ეპოქაში, ან სრული დუმილი. სიფთხილე და თვითცენზურა უნდა დაირღვეს. ეკლესიის პრობლემებზე ღიად და საქმის ცოდნით საუბარია საჭირო, რადგან ეს მთელი საზოგადოების პრობლემებია და არა მხოლოდ ეკლესიის.

**- როგორ ფიქრობთ, რატომ არ არის დღეს საზოგადოება მზად ამ თემაზე ღია საუბრისთვის. რა არის ამის მიზეზი?**

- ზოგს სულ პრიმიტიული მიზეზი აქვს - ეშინია, როგორც გვეშინია, მაგალითად, ყოფით სიტუაციაში - დაწყევლის. ზოგი ერიდება, თავისი პოზიციით ეკლესიის წინააღმდეგი არ გამოჩნდეს. ადამიანი, რომელიც რაიმე კრიტიკულს ამბობს, შეიძლება მონათლონ ეკლესიის მოწინააღმდეგედ, რაც სრულებითაც არ არის ასე. პირიქით, ვისაც გული შესტკივა, ალბათ, იმათ ხანდახან ხმაც უნდა ამოიღონ...

**- როგორც ჩანს, ჩვენს საზოგადოებაში ეკლესიის პრობლემატიკაზე ღიად საუბრის კულტურა ძალზე დაბალია. ასეთ შემთხვევაში, როგორ შეიძლება დასვა სასაუბროდ რადიკალურად განსხვავებული პოზიციის მქონე ადამიანები?**

- რუსეთისგან განსხვავებით, ჩვენში, ჯერ-ჯერობით, საკმარისად არ არის ეკლესიის საკითხებზე საქმიანი საუბრის კულტურა.

ამ საკითხებს ფართოდ უნდა შევხედოთ. 1997 წელს გარკვეული ჯგუფები დაუპირისპირდნენ პატრიარქს და განუცხადეს, რომ თუ არ გამოვალთ საერთაშორისო საეკლესიო ორგანიზაციიდან, მართლმადიდებლურ ეკლესიას დავტოვებთო... ამ დაპირისპირების შედეგად საქართველოს ეკლესია ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან და ეკლესიათა ევროპული კონფერენციიდან გამოვიდა... ამ ორგანიზაციებში სხვადასხვა კონფესიები შედიან (ჯერ-ჯერობით, არ შედის კათოლიკური ეკლესია). ეს არის ორგანიზაცია, რომელიც ქრისტიანებს შორის დიალოგს წარმართავს. მისი მიზანი ქრისტიანული ერთობის აღდგენაა. ეს საკმაოდ დიდი ისტორიის მქონე სერიოზული მოძრაობაა. აქ სერიოზულად მსჯელობენ მიმდინარეობებს შორის არსებულ განსხვავებებზე. მათი მიზანი და იმედია, რომ ეს განსხვავებები გადალახება და ქრისტიანულ ეკლესიებს შორის ერთობა აღდგება. მართლაც აღდგება თუ არა ეს ერთობა - სხვა საკითხია...

საინტერესო ისაა, რომ გამოიკვეთა ჯგუფი, რომელიც სხვა ქრისტიანულ კონფესიებთან ურთიერთობების აშკარა წინააღმდეგია. ეს ჯგუფი ამ ურთიერთობებში მართლმადიდებლობისთვის ძალზე დიდ საშიშროებებს და კანონების დარღვევებს ხედავს (ერთობლივი ლოცვები და ა.შ.). ამ რადიკალურმა მიმდინარეობამ თითქმის მთელი ეკლესია მოიცვა იმდენად, რომ გადახრებიც კი შეინიშნება, რაც მართლმადიდებელ ეკლესიაში ადრე არ ხდებოდა. ადრე, მაგალითად, კათოლიკური ეკლესიიდან მართლმადიდებლურში გადმოსვლისას, ადამიანი ხელახლა არ ინათლებოდა. საკმარისი იყო გარკვეული ლოცვა, რომლითაც ის კონფესიის შეცვლას აღიარებდა. ამ უკანასკნელ წლებში კი ასეთი ადამიანები თავიდან ინათლებიან. ასეთი რადიკალური განწყობები ეკლესიაში სულ უფრო მატულობს...

ახლა საუბარია იმაზე, რომ საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებში არსებული "დარღვევების" საკითხი უნდა დააყენოს. ვინც ცოტა მაინც ერკვევა თანამედროვე მართლმადიდებლობის საკითხებში, აუცილებლად გეტყვით, რომ საქართველოს ეკლესია დღეისთვის არანაირად არ არის მზად, განიხილოს სხვა ადგილობრივი ეკლესიების საკითხები, თუნდაც მისი თეოლოგიური სკოლის დონის გამო. მაგრამ, ამ საკითხების დასმა რადიკალური ფრთის ძალის დემონსტრირება იქნებოდა და დიდ საფრთხეს შუქმნიდა ჩვენს ეკლესიას, ვინაიდან, როდესაც ანტიოქიის ან, ვთქვათ, ელადის ეკლესია, ბუნებრივია, არ მიიღებს ჩვენს ულტიმატუმებს, საკითხი დადგება მათთან კავშირის გაწყვეტის შესახებ. ეს საქართველოს ეკლესიას მართლმადიდებელ სექტად გადააქცევს.

ჭეშმარიტად მართლმადიდებელი ეკლესია კი სულ სხვაა. მართლმადიდებლებს კეთილი ურთიერთობა ჰქონდათ სხვა კონფესიებთან, თუკი მათი მხრიდანაც კეთილგანწყობა იყო. ასე მაგალითად, ცნობილ ეპისტოლეში აღმოსავლეთის პატრიარქები ანგლიკანური ეკლესიის ეპისკოპოსებს ქრისტესმიერ ძმებს უწოდებენ. "წვალება" ძველი ქართული სიტყვაა და გაყოფას ნიშნავს. მწვალებელი თავისი მოქმედებით ეკლესიას ჰყოფს. ის გიპირისპირდება. როცა მეოთხე-მეექვსე საუკუნეებში ეკლესიათა გახლეჩა ხდებოდა და მწვალებელთა ჯგუფები ეკლესიას უპირისპირდებოდნენ, მაშინ ჩამოყალიბდა მათდამი ასეთი მკაცრი დამოკიდებულება(მათთან ერთად ლოცვის აკრძალვა, წამდაუწუმ მწვალებლების ძახილი და ა.შ.). მაგრამ, როდესაც დღეს სხვა კონფესიები კეთილგანწყობილნი არიან ჩვენდამი, გვაღიარებენ, როგორც ქრისტიანებს და მზად არიან ყოველგვარი დიალოგისთვის, ჩვენს მართლმადიდებლურ ტრადიციებში არ არის ის, რომ მათკენ ნაბიჯი არ გადავდგათ. კი ბატონო, რადგან ერთობა არ გვაქვს, ერთად არ ვეზიარებით - ამაზე არავინ დაობს, მაგრამ, აკრძალვა იმისა, რომ არ შევიდეთ კათოლიკურ ეკლესიაში და რომელიმე კათოლიკე არ შემოვიდეს ჩვენთან, ხაზს უსვამს არამართლმადიდებლურ ტრადიციას...



ლევან აბაშიძე

ვახო ხაჩიძის ფოტო

**- ადამიანს შეუძლია, დიდხანს იცხოვროს კათოლიკებთან და პროტესტანტებთან და არ ჰქონდეს იმის შიში, რომ კონფესიას შეიცვლის...**

- მართლმადიდებლურ ეკლესიას, ზოგადად, სხვა კონფესიებისადმი სწორედ ამგვარი მშვიდი დამოკიდებულება აქვს... თუ ვინმეს რაიმე გადახრები აქვს, ეს განხილვის თემა უნდა გახდეს.

**- ეს გადახრები ქართულ ეკლესიაში გამონაკლისია? ის უკიდურესი ტენდენციები - სხვა კონფესიებთან შეურიგებელი ბრძოლა, რისი მანიშნებელია?**

- ჩვენ სხვა კონფესიებთან სარწმუნოებაში სრული ერთობა არ გვაქვს(ჯერ უნდა იყოს სარწმუნოებრივი ერთობა და შემდეგ ერთობლივი ზიარება). კი ბატონო, თუ ღვთის ნებაა, ამ ერთობას მივაღწევთ.

რადიკალური დამოკიდებულების ერთი მიზეზი არის საკუთარი თეოლოგიის არასაკმარისი ცოდნა. სადაც ცოდნაა, იქ მშვიდი დამოკიდებულებაა.

არის კიდევ მეორე - აქტივობის სურვილი. ჩემი აზრით, არიან ადამიანები, რომელთა ცხოვრების წესიც მართლმადიდებლობის დაცვაა. ამ ადამიანებს აპოკალიფსის განცდა აქვთ. გახსოვთ, ნათქვამია, რომ მოვა დრო, როდესაც რწმენა შემცირდება, დარჩება მცირე სამწყსო, მომზადდება დრო ანტიქრისტეს მოსასვლელად და მაშინ იქნება ბევრი ცდუნება და ა.შ. საზოგადოების გარკვეულ ნაწილში სწორედ ასეთი განწყობებია - ახლა არის ბოლო ჟამი, რომ ევროპის გაერთიანება და ევროს შემოღება ანტიქრისტეს სამზადისია, რომ ყველგან მართლმადიდებლობის დარღვევებია და მხოლოდ ჩვენ დავრჩით... ასეთი იდეით ეს ჯგუფები თავის თავს აძლიერებენ და უკვე ყველაში და ყველაფერში მტერს ხედავენ, არიან ეჭვიანი, უნდონი და ა.შ. რაც მთავარია, მათ ჰგონიათ, რომ იცავენ მართლმადიდებლობას და არიან ქრისტეს მხედრები. რბილად რომ ვთქვათ - ეს არ არის სწორი მიმართულება.

**- ერთხმიანი გალობა, რომელიც უთანხმოების კიდევ ერთ-ერთი საგანია...**

- რა თქმა უნდა, ჩემი აზრი ერთადერთი ჭეშმარიტება არ არის, მაგრამ არ მგონია, რომ საქართველოში გალობა ერთხმიანი უნდა იყოს.

მინიმუმ, მეთორმეტე საუკუნეში უკვე ჩამოყალიბებული იყო სამხმიანი გალობა და ამას იოანე პეტრიწი ამბობს. არა მგონია, რომ დღეს ჩვენი ეკლესია იმდენად ძლიერი იყოს სულიერად ან განათლების თვალსაზრისით, რომ ეს რვასაუკუნოვანი ტრადიცია კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს.

შეიძლება, სადღაც მართლაც დაწერა წმინდა მამამ, რომ ჩვენთან გალობა ერთხმიანი უნდა იყოს - ადამიანმა მართლა ერთი ხმით დაიწყო გალობა... მაგრამ მრავალხმიანობა უკვე მოხდა და ეს ტრადიციაა. არ მაქვს არაფერი საწინააღმდეგო, რომ გარკვეულ ადგილებში ერთხმიანი გალობა იყოს. მრავალფეროვნება ეკლესიას არასდროს ანგრევდა, მაგრამ თუ სამხმიანი გალობის აკრძალვის საკითხს დააყენებენ და საპატრიარქო ამაზეც არაფერს იტყვის, ეს არასწორად მიმაჩნია.

**- რას მოუტანს ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას საერთაშორისო საეკლესიო ორგანიზაციების დატოვება?**

- საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ცალკე არ არსებობს(განსხვავებით სომხური ეკლესიისა, რომელიც მთლიანად დამოუკიდებელია) - ის არის მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის ნაწილი. ეს ყოველთვის უნდა გავითვალისწინოთ. ჩვენ ყველა სხვა მართლმადიდებელ ეკლესიასთან ვართ კავშირში. საერთაშორისო საეკლესიო ორგანიზაციებში მონაწილეობის საკითხი, უპრიანი იქნებოდა, რომ ერთობლივად გადაეწყვიტათ.

**- თავისთავად, სხვა ეკლესიებსაც აქვთ გარკვეული პრეტენზიები მსოფლიო ეკლესიათა საბჭოსადმი - ბულგარეთის ეკლესიამ დატოვა ეს ორგანიზაცია, ხოლო სერბეთისა და რუსეთის ეკლესია აფრთხილებს, რომ თუ ეს ორგანიზაცია არ შეიცვლება, ისინი დატოვებენ მას და მაგალითად სწორედ საქართველო მოჰყავთ.**

- ძირითადი პრეტენზიები ის არის, რომ ეს ორგანიზაციები ნაკლებად ითვალისწინებენ მართლმადიდებელთა პოზიციას. სხვათა შორის, ოციან წლებში, როცა ეს მოძრაობა დაიწყო - მართლმადიდებლები თავიდანვე არ იყვნენ თანახმა, სხვა კონფესიებთან თანაბარი უფლებებით ესარგებლათ. ამ ორგანიზაციაში უმრავლესობა პროტესტანტებს აქვთ და გადაწყვეტილების მიღებაზე მათი გავლენა დიდია. მაგრამ, ამ საკითხის გადაწყვეტა შეიძლება. დღესდღეობით, სწორედ მართლმადიდებლების მიერ საკითხის დაყენების გამო მიმდინარეობს ამ ორგანიზაციის რეფორმირება.

მეორე პრეტენზია არის იქ მიმდინარე ერთობლივი ლოცვები და მართლმადიდებელი კანონების სხვა ტიპის დარღვევები. ესეც ღიად სასაუბრო საკითხია. თუ ეს ერთობლივი ლოცვა მართლმადიდებლებისთვის მიუღებელია, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მივიღებთ მონაწილეობას დიალოგში, მაგრამ ერთად არ ვილოცებთ. უბრალოდ, ამაზეც მსჯელობაა საჭირო.

ისე, როგორც ჩვენ მოვიქეცით, არ შეიძლება - გაიფიცა სამი მონასტერი, რამდენიმე მღვდელმა პატრიარქს გაფრთხილების ბარათი გამოუგზავნა და გასვლის საკითხიც გადაწყდა - დავტოვეთ მსოფლიო ეკლესიათა საბჭო - ეს რევოლუციური გზაა.. ამაზე კომისია უნდა შეიქმნას და მსჯელობა შედგეს.

**- როგორ გგონიათ, აქვს წმინდა სინოდს ერთი, გამოკვეთილი პოზიცია საზოგადოებაში წარმოქმნილ სადაო საკითხებთან დაკავშირებით? ეს საზოგადოება ხომ სულიერი სამწყსოა. იქნებ საპატრიარქოს მხარდაჭერა სჭირდება...**

- არ ვიცი სინოდში არსებული სხვადასხვა დაჯგუფებების შესახებ, რადგანაც კი ვარ ეკლესიის წევრი, მაგრამ იქ აღარ ვმუშაობ. ვხედავ მხოლოდ სრულიად სამარცხვინო დარბევებს, როცა ასეთი რამ ხდება ქვეყანაში - ეს სახელმწიფოს სისუსტეა. მკალავიშვილი ამბობს, რომ სწორედ ის არის მართლმადიდებელი. როდესაც მართლმადიდებლობის სახელით ასეთი უმსგავსობა ხდება, ეკლესია ვალდებულია, მკვეთრად გაემიჯნოს.

მისაღებია თუ არა იეღოველთა მოძღვრება - ეს სულ სხვა საკითხია. ხულიგნობა და კრიმინალი ამაში არ უნდა ავურიოთ.

**- როგორ უნდა დაიცვას ეკლესიამ მრევლი სხვადასხვა სექტანტებისგან?**

- ეკლესიამ უნდა გააძლიეროს თავისი მისია, მოღვაწეობა, საზოგადოებასთან მუშაობა, ანტისექტანტური მოძრაობა, რა ვიცი, რაც გინდათ ის დაარქვით... ამაში ეკლესიას არავინ ზღუდავს.

ნურავინ მეტყვის, რომ იეღოველებს საქართველოში მეტი ფული აქვთ, ვიდრე საპატრიარქოშია... საპატრიარქოს არც ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია არ ეტყვის უარს პროექტების დაფინანსებაზე. რუსეთში არაერთი საეკლესიო პროექტი ხორციელდება მართლმადიდებლური და პროტესტანტული ფონდებიდანაც. მართლმადიდებელ ეკლესიას შინაგანი რესურსები გაცილებით მეტი აქვს, ვიდრე იეღოველებს. თუ ეს სექტები, თავის შიგნით არღვევენ კანონს - ძალადობით ინარჩუნებენ, ან ზომბირებას უკეთებენ წევრებს, აქ სახელმწიფო უნდა ჩაერიოს. რელიგიურსა და იურიდიულ კრიმინალს შორის არსებობს საზოგადოება, რომელსაც შეუძლია (მაგალითისთვის ვამბობ) - სექტებისგან დაზარალებული ადამიანების რეაბილიტაციისთვის არასამთავრობო ორგანიზაცია შექმნას. ანდა, პრევენტიული ხასიათის პროპაგანდას გასწიოს.

**- სულიერი სიძლიერის და სარწმუნოების ერთგულების ერთ-ერთი ფორმაა მოძღვრისა და მრევლის ურთიერთობა. თუმცა, საერთო გაუნათლებლობის ტენდენციას ვერც სასულიერო პირები ასცდნენ...**

- მრევლისა და მღვდელის დამოკიდებულებაში, ჩემი აზრით, ყველაფერი რიგზე არ არის. რელიგიური გამოღვიძების ჟამს - 80-იან წლებში - არ იყო გამოცდილება. ძველი თაობის მღვდლები ცოტანი იყვნენ, ახლებს კი გამოცდილება არ ჰყოფნიდათ. ჩვენ, სპონტანურად, ჩვენით ვისწავლეთ ეს ურთიერთობა და ამის ცენტრში თავადაც ვიყავი, როგორც მორწმუნე და არა როგორც სასულიერო პირი. ჩემი აზრით, ამან არასწორი მიმართულება მიიღო.

რუსეთში და განსაკუთრებით, საბერძნეთში, არის მღვდელი, რომელიც წირვას ან სხვა მსახურებებს ატარებს და არის - სულიერი მოძღვარი. ეს ერთმანეთისაგან გაყოფილია. ეკლესია მათ მღვდლებს უწოდებს, მაგრამ ძალზე მცირე ნაწილს აძლევს უფლებას, იყოს ადამიანის სულიერი მოძღვარი. ჩვენთან ეს გამიჯნული არ არის. ადამიანი მღვდელთან მიდის თავისი სულიერი ტკივილებით და მღვდელს მისი განკურნების და შველის არანაირი გამოცდილება არ აქვს. ისეთი წარმოდგენა, რომ მღვდლის პირით ღმერთი გესაუბრება - არასწორია. ნუ ვცდილობთ, ყველა ჩვენი პრობლემა მღვდელს გადავაჭრევინოთ.

**- ბევრს საუბრობენ საპატრიარქოსა და სასულიერო წრეებში არსებულ სპეცსამსახურების წარმომადგენლებზე...**

- საბჭოთა კავშირი ტოტალიტარული იყო და მმართველი ძალა ცდილობდა, ყველა სფერო გაეკონტროლებინა. რასაკვირველა, ეკლესიაშიც კონტროლი იყო და აგენტები ჰყავდათ. ეს მძიმე მემკვიდრეობა გვერგო, მაგრამ ჩვენთან არ იყო ისეთი დაპირისპირება, როგორც ბულგარეთში - წითელი ეპისკოპოსები და ა.შ.

რუსეთში ვიყავი იმ პერიოდში, როცა ოლიმპიადა მზადდებოდა. ეკლესიაში "კაგებეს" აგენტი გამოაგზავნეს. იმაზე უბედური არავინ იყო - იდგა ეს კაცი ლოცვაზე და იტანჯებოდა. ვერაფერს იგებდა... ეკლესია არ არის ის სფერო, სადაც აგენტი ფრთებს გაშლის. მსტოვრისთვის რაიმე ღირებული ინფორმაცია ეკლესიაში არ არის.

**- როგორ გგონიათ, სინამდვილეში რა არის მართლმადიდებლობის მტერი?**

- სახარება მახსენდება. იქ კარგად ჩანს, რომ სიკეთისა და მადლის ყველაზე დიდი მტერი ის ადამიანები იყვნენ, ვისაც ეგონა, რომ ღმერთის საქმეს აკეთებდნენ. ეს კაცობრიობის, ამ სოფლის პრობლემაა...

მაშინ ეგონათ, რომ იცავდნენ კანონს და ებრაელთა კანონებს, მაგრამ ვერ დაინახეს მადლი, ის, რისთვისაც ის კანონია შექმნილი. ასე მგონია, რომ ვინც დღეს კანონს და ეკლესიას იცავს (რა თქმა უნდა, ყველაზე არ ვამბობ), ხშირად ვერ ხედავს იმას, თუ რისთვის. ჩვენ იმისთვის არ გავჩნდით, რომ დავიცვათ ის, რომ კანონები და წესები იყოს დაცული. კანონი იმისთვის არის, რომ ეკლესიამ მადლი შეინახოს. შაბათი არის ადამიანისთვის და არა ადამიანი შაბათისთვის... თუ ამის დაცვისას იქამდე მივდივართ, რომ თავში ჯვარს ვურტყამთ მეორე ადამიანს, ეს მადლი უკვე დაკარგული გვაქვს... ამას დაფიქრება უნდა.







# თანამედროვე ხელოვნების წალკოტი



მუზეუმი რემონტის შემდეგ

ეინდჰოვენი ჰოლანდიის ერთი უინტერესო და მოღუშული ქალაქია - მანქანებით, მოსაწყენი კვირა დღეებით და ხშირი წვიმებით. გასულ კვირას კი, ეინდჰოვენი ევროპაში თანამედროვე ხელოვნების ერთ-ერთი უმდიდრეს ნავსაყუდელად იქცა - ხუთწლიანი რემონტის შემდეგ ვან აბეს მუზეუმი გაიხსნა. მუზეუმი 1936 წელს დააარსა თამბაქოს მეწარმემ და ხელოვნების კოლექციონერმა, ჰენრი ვან აბემ, რომელმაც შემდეგ ეს მუზეუმი ქალაქს გადასცა - საკუთარი კოლექციიდანვე ნაჩუქარი ჰოლანდიელი, ბელგიელი და ფრანგი მხატვრების სურათებით. 60-70 წელია, მუზეუმის კურატორები მისი დამფუძნებლის "ანდერძს" გულდასმით ასრულებენ –დადიან მხატვრებთან სახელოსნოებში და ყველაზე რადიკალურ ნამუშევრებს იძენენ. ამის შედეგად 1900 წლიდან მუზეუმმა თანამედროვე და უახლესი ხელოვნების რამდენიმე ათასი ექსპონატი შეაგროვა, მათ შორის - შაგალი, ბოისი, გერჰარდ რიჰტერი, ბრიუს ნოიმანი.

თანამედროვე ხელოვნების უმდიდრეს კოლექციას შესაფერისი თანამედროვე შენობა სჭირდებოდა, რისთვისაც ჰოლანდიის მთავრობამ მას 27,5 მილიონი ევრო გამოუყო. განახლებული და გაფართოებული მუზეუმის ავტორია ჰოლანდიელი არქიტექტორი, აბელ კაჰენი. მან ძველი, წითელი აგურით ნაშენები საგამოფენო სივრცე ახალი არქიტექტურული ნაგებობებით ოთხჯერ გაზარდა - ახლა მუზეუმი ერთდროულად 1000 დამთვალიერებელს დაიტევს. მუზეუმი მდინარე დომელის სანაპიროზეა გაშენებული. ახალი პროექტით, მუზეუმის ეზოს ტერიტორიაზე წყლის აუზები მოაწყვეს. ინტერიერის დიზაინი კი, ბელგიელი მარტენ ვან სევერენის დაპროექტებულია.

ამჟამად მუზეუმში კოლექციის ათი პროცენტია გამოფენილი. გაიხსნა გამოფენა "ჩვენს შესახებ". სახელწოდება ამერიკელი მხატვრის, ლოურენს ვაინერის სიტყვებიდანაა - "ხელოვნება შენს ან ჩემს შესახებ არ არის, ჩვენს შესახებაა". ექსპოზიცია წარმოადგენს მე-20 საუკუნის ხელოვნებას - კუბიზმითა და კონსტრუქტივიზმით დაწყებული, ჯეისონ როუდის უახლესი ინსტალაციებით დამთავრებული.

პროექტში სუპერთანამედროვე ხელოვანების ნიმუშებია ჩართული: შოტლანდიელი დუგლას გორდონის ცნობილ ვიდეო ინსტალაციებში ვხვდებით ფრაგმენტებს ჰოლივუდის ისეთი ცნობილი ფილმებიდან, როგორებიცაა ჰიჩკოკის "ფსიქო" და სკორსეზეს "ტაქსისტი", რასაც თან დართული აქვს განმარტებითი ტექსტები. გორდონმა ვან აბეს მუზეუმში ახალი, 27-მეტრიანი კოშკი ამჯერად დაბეჭდილი ტესტებით "შემოსა", რომელიც მაყურებელმა უნდა იკითხოს.

მუზეუმის მთელი სართული თეო ვან დუსბურგის და ელ ლისიცკის ექსპოზიციას ეთმობა. აქ დაცულია რუსული ავანგარდის მთელს მსოფლიოში ყველაზე მდიდრული კოლექცია.

საზეიმო გახსნის ცერემონიალს დედოფალი ბეატრიჩეც ესწრებოდა.

# არაჩვეულებრივი ადამიანი, არაჩვეულებრივი შემოქმედი

## ლიტერატურული ხუთშაბათობის სტუმარი: ერლომ ახვლედიანი

ანა კორძაია-სამადაშვილი

გუშინდელი ლიტერატურული საღამო უკვე ტრადიციად ქცეული სიტყვებით დაიწყო: "დაგვიანებისთვის ბოდიშს ვიხდით". მართალია, სარდაფის სტუმარი, ერლომ ახვლედიანი, დანიშნულ დროზე ათი წუთით ადრე გამოცხადდა, პრესის წარმომადგენლების წყალობით, მან თავის სავარძელს მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ მიაღწია. ისე, მე მგონი, ბატონი ერლომი (რომელსაც ჩვენ, მისი კეთილგანწყობით გათამამებულნი, ძია ერლომს ვეძახით), ბუხართან ბევრად უფრო კომფორტულად გრძნობდა თავს: მასთან შესახვედრად მობრძანებული საზოგადოების წინაშე წარმდგარმა თქვა, ასეთ შეხვედრებს მიჩვეული არა ვარ, მაგრამ, იმედია, გავუძლებო.

სარდაფში შეკრებილი ახალგაზრდები მთელი საღამოს განმავლობაში პატარა მაგიდისკენ აპარებდნენ თვალს, რომელზეც ახალი "ქუდით" გამოსული "დილის გაზეთის" ნომრები ეწყო – თავდაპირველად გაზეთი ვერც ვიცანი. ზაალ სამადაშვილმა გამოაცხადა, რომ მასში ბ-ნ ერლომის პროზაა გამოქვეყნებული, და, ცხადია, თითო ეგზემპლარის ხელში ჩაგდება ყველას მოუნდა. თავიდან გაზეთი ვერავინ აიღო – იქვე მსხდომ მწერლებს ერიდებოდნენ.



ერლომ ახვლედიანი

ბატონმა ერლომმა 37 წელი კინოდრამატურგიას მიუძღვნა. თავისი მოღვაწეობის ამ სფეროს შესახებ ბევრი არ ულაპარაკია, და შესაძლოა, მართალიც იყო: "ფიროსმანი" თუ "ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა", ვგონებ, კომენტარს არ საჭიროებს. ახლა კი, საღამოს წამყვანის, ზაალ სამადაშვილის თქმით, "ბატონი ერლომი ლიტერატურას უბრუნდება, თუმცა, ლიტერატურიდან არსად არც მიდიან". პასუხად ბატონმა ერლომმა, "ვანო და ნიკოს" ავტორმა, ჩვეული თავმდაბლობით ბრძანა, "საკითხავია, ვიყავი თუ არა ლიტერატურაში საერთოდო."

თავის ლიტერატურულ შემოქმედებას ბატონი ერლომი "ვარჯიშებს" უწოდებს, აღიარებს, რომ "ლიტერატურაში ყოფნა" უჭირს, მაგრამ, აბა, სად წავა?

გუშინდელი საღამო უჩვეულო იყო: ავტორი თავის ნაწარმოებებს არ კითხულობდა, იგულისხმებოდა, რომ შეხვედრას კითხვა-პასუხის ხასიათი უნდა ჰქონოდა.

სანამ საუბარში დარბაზი ჩაებმებოდა, ზაალ სამადაშვილმა ბატონი ვაჟა გიგაშვილი მიიწვია.

დიდი აუდიტორიის წინაშე საუბარი, როგორც მივხვდი, ისევე, როგორც ბატონ ერლომს, მაინცდამაინც არც ბ-ნ ვაჟას უყვარს. თავისი განუყრელი ყავისფერი სიგარეტით ის დარბაზის წინაშე მსხდომ ლიტერატორებს ხანმოკლე, მაგრამ აქტიური პროტესტის შემდეგ შეუერთდა. და ისევე, როგორც ბ-ნ ერლომს, ჩანს, ბ-ნ ვაჟასაც არ უყვარს საკუთარ თავზე ლაპარაკი.

ზაალ სამადაშვილმა მწერლებს საუკეთესო თემა შესთავაზა – გურამ რჩეულიშვილი. უხერხულობა უმალვე გაჰქრა, და დარბაზი საუბარს სულგანაბული ისმენდა. სწორედ მაშინ, როცა სტუდენტებმა მკითხეს, დღეს გურამ რჩეულიშვილის საღამოაო? – სიტყვა პოეტ კოტე ყუბანეიშვილს გადასცეს, რომელმაც კვლავ ერლომ ახვლედიანის შესახებ ისაუბრა: ექვთიმე თაყაიშვილივით მოსაფრთხილებელიაო - თქვა. ვფიქრობ, პოეტს ყველა დაეთანხმა: თბილისელებს ძალიან უყვართ ბატონი ერლომ ახვლედიანი.

# "გოდოს მოლოდინში"-2

## ბეკეტის გმირები სარდაფშიც გამოჩნდნენ

თამარ სუხიშვილი

თეატრალური სარდაფის ჩვეული ანშლაგები გრძელდება: მაგალითად, მსურველები უიმედოდ დაეძებენ ბილეთებს პოპულარულ Et Cetera-ზე, რომელიც 24 იანვარს იყო დაგეგმილი და გარკვეული მიზეზების გამო თებერვლისთვის გადაიდო...

ამ კვირაში სარდაფმა ახალი წლის პირველი პრემიერა შესთავაზა ქართველ მაყურებელს – "გოდოს მოლოდინში". სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორები არიან მიკა კიკაჩეიშვილი და გია ბარაბაძე. მუსიკალური გაფორმება გია ჭყონიას ეკუთვნის. მხატვარია დათო აბესაძე. სპექტაკლში ხუთი მსახიობია დაკავებული: ზურა პირველი (ვლადიმირი), გია ჭყონია (ესტრაგონი), მიკა კიკაჩეიშვილი (პოცო), დიმა მერაბიშვილი (ლაქი), ნათია შუშაბერიძე (ბიჭი).

რეჟისორები ამ სპექტაკლზე აგვისტოს თვიდან მოყოლებული ინტენსიურად მუშაობდნენ (თვენახევრიან შეფერხებას თუ არ ჩავთვლით). საბოლოოდ პრემიერა შედგა.

"ძალიან რთულ მასალას შევეჭიდეთ, რეჟისორებისთვისაც და მსახიობებისთვისაც ამ პიესაზე მუშაობა ძალიან დიდი დატვირთვა იყო," - ამბობს რეჟისორი მიკა კიკაჩეიშვილი, რომელიც სპექტაკლში პოცოს როლსაც ასრულებს.

მუშაობის პროცესში რეჟისორები კიდევ ერთ დაბრკოლებას გადააწყდნენ. ბეკეტის პიესაზე ცნობილმა ქართველმა რეჟისორმა რობერტ სტურუამ შეაჩერა არჩევანი.



სარდაფში გოდოს ელოდებიან

"ჩვენ შუა მუშაობის პროცესში ვიყავით, როცა გავიგეთ, რომ გოდოს რუსთაველის თეატრი დგამდა. მაგრამ რეპეტიციები მაინც გავაგრძელეთ, არ ღირდა გაჩერება... როდესაც რობერტ სტურუას "გოდოს მოლოდინში" ვნახეთ, მივხვდით, რომ სრულიად სხვა გზით მივდიოდით, და ამან უფრო გაგვაბედინა სპექტაკლზე მუშაობის გაგრძელება. ჩვენი ნამუშევარი სტურუას ნამუშევრისგან თვისობრივად განსხვავდებოდა..." – მითხრა ბატონმა მიკა კიკაჩეიშვილმა.

თვისობრივ განსხვავებაში რეჟისორები, პირველ ყოვლისა, ტექსტთან სიახლოვეს გულისხმობენ. ისინი შეეცადნენ თითქმის არ გადაეხვიათ ტექსტიდან, რომელშიც უამრავი ქვეტექსტი იკითხება. ამას გარდა, როგორც თავად აღნიშნეს, საკუთარ თავს მხოლოდ მინიმალური თავისუფლებისა და იმპროვიზაციის უფლება მისცეს.

"სტურუა ძალიან დიდი ოსტატია, აქედან გამომდინარე, გარკვეულწილად უფრო თავისუფალია ორიგინალური მასალისაგან, ჩვენ კი ვცდილობდით, რომ მასალასთან ახლოს ვყოფილიყავით..." – ამბობს მიკა კიკაჩეიშვილი.

რაც შეეხება სპექტაკლის მეორე დამდგმელ რეჟისორს, გია ბარაბაძეს, რომელიც დაახლოებით ათი წელია ოცნებობდა ბეკეტის დადგმაზე, სტურუას სპექტაკლი არც კი უნახავს. გია ბარაბაძე მიზეზს არც მალავს: "იცით, სპეციალურად არ ვნახე, რადგან შეუძლებელი იყო სტურუას დადგმას ქვეცნობიერად მაინც, რამე გავლენა არ მოეხდინა, პირდაპირ გეტყვით – შემეშინდა; ახლა წავალ და ვნახავ."

მართალია, თეატრალურ სარდაფში სპექტაკლის – "გოდოს მილოდინში" - ორი საპრემიერო ჩვენება უკვე გაიმართა, მაგრამ რეჟისორებიც და მსახიობებიც შედეგზე საუბრისგან ჯერჯერობით თავს იკავებენ, მხოლოდ იმას ამბობენ, რომ მუშაობის პროცესი უაღრესად სასიამოვნო იყო – რთული, ძალიან საინტერესო და მიმზიდველი.

სულ რაღაც რამდენიმე თვის განმავლობაში საქართველოში ორი გოდო გამოჩნდა, უფრო სწორად არ გამოჩნდა. ჩვენს სინამდვილეში ბეკეტის აბსურდის აქტუალობა შემთხვევითი არ უნდა იყოს.

**ვლადიმირი:** ბატონმა გოდომ გამოგგზავნა?

**ბიჭი:** დიახ, ბატონო.

**ვლადიმირი:** ამ საღამოს არ მოვა?

**ბიჭი:** არა, ბატონო.

**ვლადიმირი:** მაგრამ უეჭველად მოვა, ხვალ, არა?

**ბიჭი:** დიახ, ბატონო.

**ვლადიმირი:** ნამდვილად?

**ბიჭი:** დიახ, ბატონო. (დუმილი)...

# გამომგონებელი კულტურის სამინისტროს საყვედურობს

ქართული ხალხური მუსიკალური საკრავების ოსტატი შერმადინ დარჩიაშვილი სახელმწიფოსაგან დახმარებას ითხოვს. შერმადინ დარჩიაშვილი მრავალი წელია, რაც ხალხურ საკრავებს ქმნის. მათი ნიმუშები ამჟამად მისსავე სახლში ინახება. მისი ბოლოდროინდელი გამოგონება გიტარა "დარჩელოა", რომელსაც ქართული ჩოხის ფორმა აქვს და ქართული ორნამენტებითაა მორთული. როგორც ოსტატი ამბობს, მას სახლში ხუთი ასეთი გიტარა აქვს, რომელთა ჟღერადობაც ჩვეულებრივი გიტარისგან განსხვავებულია. შერმადინ დარჩიაშვილის მიერ შექმნილი რამდენიმე გიტარა მოცეკვავე ქალის ფორმისაა და "დარჩელოსაგან" ჟღერადობითაც განსხვავდება. საკრავების ოსტატმა მუსიკოს-შემსრულებლების ყურადღება მიიპყრო და რამდენიმე მათგანისგან შეკვეთა მიიღო. გიტარების გარდა, დარჩიაშვილი ცნობილი მესალამურე და მეჩონგურეა. რამდენიმე ხნის წინათ ხალხური რეწვის ოსტატების ნამუშევრებთან ერთად, მისი ქმნილებები ეროვნულ გალერეაში გამოიფინა. დარჩიაშვილის თქმით, მისი სურვილია სახელმწიფოს დახმარებით დაიწყოს ამ ინსტრუმენტის პოპულარიზაცია და სერიული წარმოება. ამისთვის კი შესაფერისი სახელოსნო ესაჭიროება, სადაც ახალგაზრდებს უნიკალურ ხელობას შეასწავლის. მან დახმარებისთვის არაერთხელ მიმართა კულტურის სამინისტროს, თუმცა მისი თხოვნა სამწუხაროდ დღემდე ყურად არავინ იღო. **(მედიანიუსი)**

## კალენდარი

# 31 იანვარი



1797 წელს, ვენაში, ერთ-ერთი უდიდესი ავსტრიელი კომპოზიტორი, ფრანც შუბერტი დაიბადა. დაწყებითი მუსიკალური განათლება სახლში მიიღო – უკრავდა ვიოლინოზე, ფორტეპიანოსა და ორღანზე.

ორკესტრსა და დირიჟორის ხელოვნებას მომავალი კომპოზიტორი უკვე სასულიერო სასწავლებელში გაეცნო. გუნდშიც მღეროდა, ერთი ხანი ანტონიო სალიერის მოსწავლეც იყო. სალიერი ძალიან ცდილობდა, მოსწავლე "სერიოზული" ოპერის ტრადიციების თანახმად აღეზარდა, მაგრამ შუბერტს სულ სხვა რამ იზიდავდა – უბრალო სიმღერები და ბალადები.

სამი წელი შუბერტი მასწავლებლად მუშაობდა, როგორც შემდეგ თავად წერდა, "სკოლაში იმარტვილა", გრაფ ესტერჰაზის მუსიკის მასწავლებელი იყო. მისი მცდელობები, კარის ვიცე-კაპელმაისტერი და შემდეგ ვენის თეატრის კაპელმაისტერი გამხდარიყო, წარუმატებლად დამთავრდა. საერთოდ, მთელი ცხოვრება ისე გაატარა, რომ ფინანსური დამოუკიდებლობა ვერ მოიპოვა – სულ ვიღაცის ხელში შემყურე იყო.

1828 წელს, 26 მარტს, ბეთჰოვენის დაბადების დღეს, შუბერტის ერთადერთი საჯარო კონცერტი შედგა, რომელზეც მისი რამდენიმე ნაწარმოები შეასრულეს – წარმატება არნახულად დიდი იყო.

მაგრამ ფრანც შუბერტი იმავე წელს გარდაიცვალა. კომპოზიტორმა, რომელსაც აღიარება მხოლოდ სიცოცხლის ბოლოს ეღირსა, უმდიდრესი მემკვიდრეობა დატოვა. მის რომანტიკულ სიმღერებსა და ბალადებს, შილერის, გოეთესა და ჰაინეს ტექსტებით, დღეს მთელი მსოფლიო იცნობს. მას ეკუთვნის საფორტეპიანო მინიატურები, ვალსები, ცხრა სიმფონია (მათ შორის 1822 წელს შექმნილი, "დაუმთავრებელი"), კვარტეტები, ტრიოები, საფორტეპიანო კვინტეტი "კალმახი" – ყველაფრის ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანდა.

**ფრანც შუბერტი** დაიბადა 1797 წლის 31 იანვარს.

# სლოვაკური ხელოვნება ქართულ სივრცეში

## გაზაფხულზე ბრატისლავაში ქართველი მხატვრების გამოფენა იგეგმება

ვერა ნეფარიძე

გუშინ გალერეა New Art-ში თანამედროვე სლოვაკურ ხელოვნებაზე ლექცია ბრატისლაველმა სტუმარმა, გალერისტმა იურაი ჩარნმა წაიკითხა. ლექციასა და ვიდეო-ჩვენებას ქართველ მხატვართა საკმაოდ ანგარიშგასაწევი წარმომადგენლობა დაესწრო. წარმოდგენილ მხატვართაგან საგამოფენოდ ჩარნი პარტნიორ ასოციაციასთან ("ხელოვნება საზღვრებს გარეშე") ერთად რამდენიმე მათგანს შეარჩევს. "რჩეული" მხატვრების გამოფენა ბრატისლავაში კი მარტის ბოლოს გაიმართება.

იმაზე საუბარი, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა ქვეყნის ხელოვანთა შორის თანამშრომლობას, ნამდვილად ზედმეტია. მითუმეტეს, როდესაც საუბარია იმ ქვეყნებზე, სადაც ადამიანებს არც თუ ისე ბევრი ინფორმაცია აქვთ ერთმანეთის შესახებ. სწორედ ამ ნიშნით დაიგეგმა შარშან საქართველო-სლოვაკეთს შორის რამდენიმე პროექტი, რომლის ორგანიზატორებიც საქართველოსა და სლოვაკეთის ხელოვნების კურატორები: ნინო დანელია და იურაი ჩარნი არიან.

"იურაის ბელგრადში შევხვდი, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების კურატორების შეხვედრაზე. ამ შეხვედრის იდეა იყო აღმოსავლეთ ევროპელი ახალგაზრდა მხატვრების დაახლოება-თანამშრომლობა. ძალიან ხშირად, ბევრი ინფორმაცია გვაქვს დასავლეთ ევროპის განვითარებული სახელმწიფოების შესახებ და არ ვიცით რა ხდება ყურის ძირში, იგივე პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. ამ შეხვედრაზე გადაწყდა გაგვეკეთებინა ერთობლივი გამოფენა, რომლის სახელწოდებაც იქნება "აღმოსავლეთ ევროპის უკანასკნელი შოუ". გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება აღმოსავლეთ ევროპის ყველა ქვეყანა", - ქართულ-სლოვაკური ურთიერთობების იდეის გაჩენის შესახებ მიყვება პროექტის თანაავტორი, ასოციაციის "ხელოვნება საზღვრებს გარეშე" დირექტორი ნინო დანელია. აღნიშნულ გამოფენაზე, რომელიც ბელგრადში 17 მაისს გაიხსნება, საქართველო მოკრძალებულ კუთხეს დაიკავებს; ამჯერად ორგანიზატორები ამ მხატვართა შერჩევაზე მუშაობენ. რაც შეეხება ბრატისლავაში დაგეგმილ გამოფენას, ექსპოზიციის ავტორები ქართულმა მხარემ ნაწილობრივ შეარჩია. ქართველმა პარტნიორმა ასოციაციამ იურაი ჩირნი ამ შემადგენლობის გასაცნობად მოიწვია. თავად შემადგენლობა კი პროფესიონალ ქართველ მხატვრებს აერთიანებს, როგორებიც არიან: ილიკო ზაუტაშვილი, მიშა შენგელია, გურამ წიბახაშვილი, მიშა გოგრიჭიანი და მამუკა ჯაფარიძე. მათთან ერთად, გამოფენაში მონაწილეობას მიიღებს სამხატვრო აკადემიის მეოთხე კურსის სტუდენტი სოფო ჩხეიძე.



იურაი ჩარნი

გუშინ კი სლოვაკელმა სტუმარმა ლექცია თანამედროვე სლოვაკეთის მხატვრობაში არსებულ ძირითად ტენდენციებზე ქართველი მხატვრების წრეში წაიკითხა. ლექციის ბოლოს კი, იურაი ჩირნმა იმ ახალგაზრდა მხატვართა ნამუშევრები წარმოადგინა, ვინც მის გალერეა "პრიესტორთან" (რაც ქართულად "სივრცეს" ნიშნავს) მჭიდროდ თანამშრომლობს. "ჩემი გალერეა, რომელიც სარდაფშია, 1999 წელს დავაარსე და ის მიმართულია თანამედროვე ხელოვნებაში ექსპერიმენტული ხელოვანების აღმოჩენისკენ. განხორციელებული გვაქვს მრავალი საერთაშორისო პროექტი. ძირითადად სლოვაკეთთან ტერიტორიულად ახლოს მდებარე ქვეყნებთან ვთანამშრომლობთ. სლოვაკეთში ინფორმაციის ნაკლებობაა თანამედროვე ქართული ხელოვნების შესახებ, მეც არ ვფლობდი აქამდე ამ ინფორმაციას და ამიტომაც გამიჩნდა სურვილი მონაწილეობა მიმეღო ქართველი კოლეგების შემოთავაზებულ პროექტში", - საკუთარი მოსაზრებები გამიზიარა იურაი ჩირნმა.

ორგანიზატორთა სურვილია ეს ურთიერთობები არ იყოს ერთჯერადი და ამიტომაც, სამომავლოდ თბილისში სლოვაკელი მხატვრების გამოფენაც მოეწყობა.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევასაც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

ფეხბურთი

# დემეტრაძე დონეცკის "მეტალურგში" გაანათხოვრეს



გიორგი დემეტრაძე

ქართველ გულშემატკივართა იმედი, გიორგი დემეტრაძის ესპანეთის ჩემპიონატის ლიდერის, სან სებასტიანის "რეალსოსიედადის" რიგებში დაბრუნებასთან დაკავშირებით, როგორც მოსალოდნელი იყო, არ გამართლდა. დემეტრაძე ბასკური კლუბის საკუთრებაა, თუმცა, მას შემდეგ, რაც "სოსიედადის" ისტორიაში ყველაზე ძვირად ღირებულმა ფეხბურთელმა გუნდის ძირითად შემადგენლობაში ფეხი ვერ მოიკიდა (13 მატჩი – 1 გოლი), ის ვლადიკავკაზის "ალანიაში" გაანათხოვრეს. ზამთრის არდადეგებზე დემეტრაძე "სოსიედადს" დაუბრუნდა და გუნდთან ერთად ვარჯიშობდა. ბევრმა ქართველმა გულშემატკივარმა იფიქრა, რომ დემეტრაძე დარჩებოდა კიდეც ესპანეთში, მაგრამ ამაოდ.

როგორც UEFA-ს ვებ-გვერდი იუწყება, ქართველი ფეხბურთელი დონეცკის "მეტალურგში" გაანათხოვრეს. ეს ცნობა ნამდვილად არ ყოფილა სიურპრიზი - უკრაინული კლუბი მანამდეც არ მალავდა დემეტრაძით თავის დაინტერესებას. მაშ ასე, გიორგი დემეტრაძე, გოჩა ჯამარაულთან ერთად, მიმდინარე სეზონის ბოლომდე დონეცკში ითამაშებს.

## ტრუსიე აფრიკას უბრუნდება

საქმეს ისეთი პირი უჩანს, იაპონიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების ყოფილ დამრიგებელს, ფრანგ ფილიპ ტრუსიეს, მაროკოელთა ნაკრებების კურირებას დაავალებენ. ყოველ შემთხვევაში, მაროკოს ფეხბურთის ფედერაციის განცხადებით, მათ ფრანგ მწვრთნელთან წინასწარი მოლაპარაკება ჩაუტარებიათ და, როგორც ეტყობა, შეთანხმებისთვისაც მიუღწევიათ.

ფედერაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ტრუსიესთან საბოლოოდ შესათანხმებლად კიდევ ერთი შეხვედრა იგეგმება, მხარეებმა, ფაქტობრივად, ყველაფერზე მოილაპარაკეს. ტრუსიე ვალდებულია, თვალყური ადევნოს და კონტროლი დააწესოს მაროკოელთა როგორც მთავარ, ისე ახალგაზრდულ და ჭაბუკთა ნაკრებებზე. ქვეყნის ფეხბურთის მოხელეთა განცხადებით, ტრუსიეს მიწვევა იმ პროგრამის ნაწილია, რომელიც ჩრდილო აფრიკის ამ ქვეყანაში ფეხბურთის აყვავებას ემსახურება. მაროკოელთა ძალისხმევა გასაგებიცაა. 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე და აფრიკის ნაციათა თასზე წარუმატებლობამ მაროკოელები ტრუსიემდე მიიყვანა.

აღსანიშნავია, რომ ფრანგ სპეციალისტს აფრიკის კონტინენტზე მუშაობის კარგი გამოცდილება აქვს. 90-იან წლების დასასრულს ტრუსიე სამხრეთაფრიკელთა ნაკრებს ედგა სათავეში და იმდენი მოახერხა, რომ გუნდი 1998 წლის საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატზე გაიყვანა. ახლა მაროკოს ჯერია...

## ისტორიული ფოტო

ეს იყო 17 წლის წინათ...



1986 წლის მაისი.
დიეგო არმანდო მარადონა და მისი მეუღლე კლაუდია.

# "ბარსელონა" ძიებას განაგრძობს - სეზარ ლუის მენოტი ყველაზე რეალური კანდიდატია

### გუშინ, ღამით, "ბარსელონამ" "ბენფიკა" დაამარცხა

აკა ტონია

*ჩვენი ყურადღება კვლავ ბარსელონისკენაა მიმართული. კატალონიური კლუბი განაგრძობს მწვრთნელის პოსტის კანდიდატთა ძიებას. არსებულ სიას გუშინ რამდენიმე ახალი, საინტერესო გვარი შეემატა.*

გუშინ ვიუწყებოდით, რომ "ბარსელონას" მწვრთნელის პოსტის დაკავების ყველაზე რეალური შანსი ჰქონდათ ახლანდელ დროებით მწვრთნელს, კარლოს რეშაკს და ყოფილ მწვრთნელს, ლორენცო სერა ფერერს. მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება - ყოველდღიურად ურთიერთგამომრიცხავი ცნობები ვრცელდება.

გუშინ კლუბის პრეზიდენტმა ხუან გასპარმა განაცხადა, რომ კარლოს რეშაკი "ბარსელონას" მწვრთნელის პოსტზე დარჩება მანამ, სანამ ხელმძღვანელობა ახალ სპეციალისტს მოძებნის. ეს კი, როგორც უკვე გაცნობეთ, წესით, ხვალ უნდა გაირკვეს.

მანამდე კი "ბარსელონა" სრული დატვირთვით ემზადება. გუშინ, ღამით, გუნდი სასწრაფოდ გადაფრინდა ლისაბონში, სადაც ამხანაგური მატჩი გამართა ადგილობრივ "ბენფიკასთან" და გაიმარჯვა - 1:0. "ბარსელონას" კარლოს რეშაკი და მისი ასისტენტი ტონო დე ლა კრუზი ხელმძღვანელობდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ გუნდი ლისაბონში იყო, არც ერთი წუთით არ შენელებულა ციებ-ცხელება ბარსელონაში, კლუბის ოფისში. ხელმძღვანელობა განაგრძობს ახალი მწვრთნელის ძიებას, თანაც, შესაძლო კანდიდატთა სიას ახალ-ახალ გვარებს უმატებს. როგორც გაუწყეთ, დასახელებულ კანდიდატთა დიდმა ნაწილმა უარი განაცხადა, სათავეში ჩასდგომოდა "ბარსელონას", მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც აქტიურობენ და გასპარს თვითონ ურეკავენ. მაგალითად, რუმინელი გეორგე ჰაჯი. "ბარსელონასა" და "რეალის" ყოფილი ნახევარმცველი ტელეფონით დაუკავშირდა გასპარს და თავისი სამსახური შესთავაზა,



სეზარ ლუის მენოტი

თუმცა, გასპარი მაინც სხვა კანდიდატებზე აკეთებს აქცენტს. ისევ ისმის სეზარ ლუის მენოტისა და რადომირ ანტიჩის გვარები. ახლა მათ "პარი სენ ჟერმენის" მწვრთნელი, ლუის ფერნანდესიც დაემატათ. ესპანური პრესა იუწყება, რომ კლუბის ხელმძღვანელობა უკვე ესაუბრა ფრანგ სპეციალისტს, თავად ფერნანდესის აზრი კი ჯერ უცნობია.

მიუხედავად იმისა, რომ არგენტინელმა ლუის სეზარ მენოტიმ, რამდენიმე დღის წინათ, "ბარსელონას" მწვრთნელის პოსტზე ცივი უარი განაცხადა, იგი მაინც ამ პოსტის უპირველეს კანდიდატად მიაჩნიათ. ყოველდღიური ესპანური გაზეთი "Vanguardia" ამტკიცებს, რომ გუშინწინ, ღამით, ხუან გასპარი ტელეფონით დაუკავშირდა 64 წლის მწვრთნელს და ის დღეს ჩამოვა ბარსელონაში... კონტრაქტზე ხელის მოსაწერად.

სეზარ ლუის მენოტი, რომელიც არგენტინის ნაკრებს მსოფლიოს 1978 წლის ჩემპიონატზე წვრთნიდა, 1982-1984 წლებში "ბარსელონასაც" ედგა სათავეში. მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ბერნდ შუსტერი და დიეგო მარადონა ჰყავდა გუნდში, მან მაინც ვერ შეძლო, "ბარსელონას" ჩემპიონთა თასი მოეპოვებინა. და, აი, ლეგენდარული მენოტი "კამპ ნოუზე" ბრუნდება. საინტერესო სანახაობაა.... სწორია თუ არა ეს ინფორმაცია, ამას სულ მალე გავიგებთ.

"ბარსელონას" კრიზისიდან გამოსვლის პროგრამა მხოლოდ ახალი მწვრთნელის ძიებით როდი შემოიფარგლება. კლუბის ხელმძღვანელობამ სატრანსფერო საქმიანობაც გაააქტიურა. გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ "ბარსელონა" ბუენოს-აირესის "ინდეპენდიენტეს" მცველის, გაბრიელ მილიტოსა და რომის "ლაციოს" არგენტინელი ლეგიონერის, ხუან პაბლო სორინის შეძენას აპირებს.

თუ სეზარ ლუის მენოტისა და ამ ორი ტრანსფერის შესახებ ინფორმაცია გამართლდა, მაშინ ვან გაალის მიერ "გაჰოლანდიურებული" "ბარსელონა" "გაარგენტინულდება" და კატალონიელ გულშემატკივარს, "FC Hollanda"-ს ნაცვლად, "FC Argentina" შერჩება ხელში.

# სატრანსფერო ამბები

მიხეილ აბაიშვილი

გადაწყდა: ქუთაისის "ტორპედოს" ფეხბურთელები, გუნდის კაპიტანი და ეროვნული ნაკრების წევრი გივი დიდავა, მოლდოვასთან ამხანაგური მატჩისთვის მოსამზადებელ შეკრებაზე გამოძახებული რევაზ ქემოკლიძე და გიორგი იმედაძე თურქეთის "ქოჯაელისპორის" ღირსებას დაიცავენ. ამ კლუბში ქართველი ფეხბურთელები სხვადასხვა სტატუსით იქნებიან: გივი დიდავამ საქართველოს ჩემპიონი გუნდიდან საბოლოოდ აიკრა გუდა-ნაბადი და "ქოჯაელის" სრულუფლებიანი წევრი გახდა, რევაზ ქემოკლიძე კი მხოლოდ ნახევარწლიანი საარენდო ხელშეკრულების საფუძველზე დაეხმარება თურქულ კლუბს. თუ სეზონის ბოლოს სამივე მხარე შეთანხმდება, "ქოჯაელი" "ტორპედოსგან" გამოისყიდის ქემოკლიძის კონტრაქტს და ქართველ მცველის ბედის ერთპიროვნული განმკარგავი გახდება. ასევე ნახევარი წლით გაანათხოვრეს გიორგი იმედაძეც, თუმცა, მისი საკითხის გადაწყვეტაში ვლადიკავკაზის "სპარტაკ-ალანიაც" მონაწილეობს, რადგან ახლა ეს ფეხბურთელი ოსურ კლუბს ეკუთვნის და ქუთაისში მხოლოდ განათხოვრების წესით თამაშობდა. "ქოჯაელისპორის" ხელმძღვანელები იმედაძის ტრანსფერის თაობაზე უკვე მოელაპარაკნენ "ალანიას" შეფებს და მის თურქეთში გადასვლას წინ აღარაფერი უდგას. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, რომან შოთაძემ გვაცნობა, რომ გუშინ თურქეთიდან მიიღეს ფაქსი, რომელშიც ქემოკლიძესა და დიდავაზე "სატრანსფერო ფურცლის" (ტრანსფერის განხორციელებაზე ეროვნული ფედერაციის თანხმობის დამადასტურებელი საბუთი.-რედ.) გაცემას ითხოვენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ტრანსფერი უთუოდ განხორციელდება და დიდავა-ქემოკლიძე-იმედაძის ტრიო "ქოჯაელისპორს" თურქეთის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაში დაეხმარება.



ზაზა ჯანაშია

ცნობილი გახდა, რომ ეს ტრიო, შესაძლოა, კვარტეტადაც იქცეს. კიდევ ერთმა ჩვენმა თანამემამულემ, ზაზა ჯანაშიამ, გამოთქვა თურქეთში თამაშის სურვილი. "ქოჯაელის" შეფებს კარგად ცნობებიათ ჯანაშია, რომელსაც ახლო წარსულში თვით რომის "ლაციო" იწვევდა, მაგრამ კონტრაქტის გაფორმებამდე სპორტულ ფორმაში ჩადგომა, უფრო ზუსტად, ზედმეტი კილოგრამების დაყრა მოსთხოვეს. ამისთვის თბილისის "ლოკომოტივის" ფეხბურთელს ორი კვირა მისცეს და ფიზმომზადების მწვრთნელი დაუნიშნეს. თუ თავისი ჭირვეული ხასიათით ცნობილი ქართველი ფეხბურთელი ვალდებულებას შეასრულებს, "ლოკომოტივი" და "ქოჯაელი" მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდებიან. ყოველ შემთხვევაში, რკინიგზელთა ბერძნული წარმოშობის პერუელ მთავარ მწვრთნელს, ლუის ცაკარიასს, ჯანაშიას წასვლის საწინააღმდეგო არაფერი აქვს. იგი აპირებს, თავისი გუნდის შემტევი პოტენციალი უცხოელ ფეხბურთელთა ხარჯზე გააძლიეროს. მოგეხსენებათ, ამ მიზნით, გუნდში უკვე მოიყვანა თავისი ორი თანამემამულე - გალიარდო და გონსალესი. ამჟამად, ანტალიაში, შეკრებაზე მყოფი, განელ, ბულგარელ და პორტუგალიელ თავდამსხმელებს სცდის.

რაც შეეხება ქუთაისის "ტორპედოს", რომელმაც წამყვანი ფეხბურთელები გაასხვისა, მალე იგი მალხაზ ასათიანსაც შეელევა და, შესაბამისად, საჩემპიონო ამბიციებსაც სერიოზული ეჭვის ქვეშ დააყენებს. მისი მთავარი მწვრთნელი, გაბელგიელებული უკრაინელი ალექსანდრ შტელინი აპირებს, ახალი ფეხბურთელებით გავიდეს ფონს. კონკრეტულად, ახლა ქუთაისელები რამდენიმე უკრაინელ ლეგიონერს სცდიან საქმეში.

სატრანსფერო საქმეები ყველაზე კარგად მისდის თბილისის "დინამოს". ეტაპებს შორის შესვენებაზე საქართველოს ჩემპიონატის ლიდერმა არც ერთი ფეხბურთელი არ გაყიდა, პირიქით, გაძლიერებაზე ფიქრობს და ამ მიზნით მოლაპარაკებებს აწარმოებს. თანაც, "დინამომ" სულ ორი დღის წინ დაასრულა პირველი უცხოური შეკრება. გუნდი კვიპროსზე იყო და ძირითად მიზნად ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესება ჰქონდა დასახული. ხვალ "დინამო" მეორე შეკრებაზე მიემგზავრება, ამჯერად ბოსნია-ჰერცეგოვინაში, სადაც "შიროკი ბრეგთან", ზაგრების "დინამოსა" და "მარიბორთან" ერთად ოთხთა ტურნირში მიიღებს მონაწილეობას.

# ანდი მიოლერი ფეხბურთიდან მიდის

"ბუნდესლიგის" მე-11 ტური. კოტბუსის "ენერგია" გელზენკირხენის "შალკეს" მასპინძლობდა. 68-ე წუთამდე მატჩი უინტერესო და მოსაწყენი იყო. "შალკეს" მწვრთნელმა, ფრანკ ნოიბარტმა, მოედანზე გამოუშვა ანდრეას მიოლერი, რომელმაც 79-წუთზე საჯარიმო დარტყმით ერთადერთი გოლი გაიტანა. ეს არ იყო პირველი შემთხვევა, რომელშიც მიოლერი სათადარიგოთა სკამზე იჯდა. ძირითად შემადგენლობაში ის არც ვარშავის "ლეგიის" წინააღმდეგ, UEFA-ს თასის მატჩში ათამაშეს. იმ შეხვედრის შემდეგ მიოლერმა დასკვნები გამოიტანა. "ეს ფეხბურთის კანონზომიერებაა. უკანასკნელი მატჩები არც ისე კარგად ჩავატარე. მწვრთნელი ათამაშებს იმ შემადგენლობას, რომელსაც საუკეთესოდ მიიჩნევს", - განაცხადა მაშინ მიოლერმა. 18-წლიანი შთამბეჭდავი კარიერა დასასრულს უახლოვდება.



ანდი მიოლერი

"ანდის განსაკუთრებულად, თავისებურად უნდა მოექცე", - ამბობს მისი ყოფილი მწვრთნელი, ოტმარ ჰიცფელდი, რომელიც მიოლერთან დორტმუნდის "ბორუსიაში" მუშაობდა. "შალკეში" კი მიოლერს განსაკუთრებით არ ანებივრებენ - ფრანკ ნოიბარტი ყველა ფეხბურთელს ერთნაირად ექცევა. ეს პრობლემა მიოლერს "დორტმუნდშიც" ჰქონდა, როდესაც მწვრთნელის პოსტზე მათიას ზამერი მოვიდა.

მიოლერმა ბევრი იფიქრა და გადაწყვიტა... ფეხბურთი მიატოვოს. "ზამთრის შესვენება იმისთვის გამოვიყენე, რომ მომავალზე დავფიქრებულიყავი. აღარ მინდა, გამუდმებით პრესის ქვეშ ვიყო. მგონი, საუკეთესო დროა, ფეხბურთიდან წავიდე", - ამბობს ის.

35 წლის ანდრეას მიოლერი წლევანდელი სეზონის ბოლოს დაასრულებს კარიერას.

ძიუდო

# მისია შესრულებულია

## თბილისში ძიუდო დაბრუნდა

გიგა გურასაშვილი

*მათ, ვისაც ძიუდოს თბილისური საერთაშორისო ტურნირი მოენატრა, 1-2 თებერვალს, დღის 12 საათიდან, სპორტის სასახლეში ელიან. დასწრება უფასოა.*



პრეს-კონფერენციაზე

თბილისის საერთაშორისო ტურნირისადმი ინტერესი ყოველთვის დიდი იყო. ყოველ შემთხვევაში, ვიდრე (გარკვეული მიზეზების გამო) ამ ტურნირის მასპინძლობის უფლებას დავკარგავდით, სპორტის სასახლე პირთამდე ივსებოდა. იმედია, ახლაც ასე იქნება. იმედი აქვთ შეჯიბრების ორგანიზატორებსაც, რომლებმაც გუშინ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სააქტო დარბაზში პრესკონფერენციაზე მიგვიწვიეს. როგორი იქნება თბილისში დაბრუნებული, რიგით 30-ე, A კატეგორიის საერთაშორისო ტურნირი, ამის შესახებ პრესკონფერენციის მასპინძელთაგან შეიტყობთ.

**სიმონ ნოზაძე** (ტურნირის დირექტორი): "ძიუდოს ევროპის კავშირმა დიდი პატივი დაგვდო, როდესაც თბილისის საერთაშორისო ტურნირს A კატეგორია მიანიჭა. ამასთან, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ტურნირზე ათენის ოლიმპიადის ლიცენზიები გათამაშდება. ახლა ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. ძიუდოს მოხელენი გვპირდებიან, რომ, თუ ჩვენს მოვალეობას პირნათლად შევასრულებთ, გაისად თბილისის საერთაშორისო ტურნირს უმაღლეს - "სუპერ A" კატეგორიას მიანიჭებენ, სადაც ნებისმიერი სპორტსმენისთვის წარმატება ათენში გამგზავრების ტოლფასი იქნება. რაც შეეხება ტურნირისთვის მზადების პროცესს, უნდა ითქვას, რომ ორგანიზებულად მიმდინარეობდა და მიმდინარეობს. თბილისის მერიამ და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა ხარჯების 50-50 პროცენტი საკუთარ თავზე აიღეს. გარდა ამისა, "ლუკოილის", "ნაბეღლავის", "ყაზბეგის", "გერმანული ავიახაზებისა" და სპორტის სასახლის დირექციის სახით მხარში ამოგვიდგნენ ცალკეული ფირმები და ორგანიზაციები. ტურნირის სამასპინძლოდ, ფაქტობრივად, ყველაფერი მოწესრიგებულია. მოგვარებულია გათბობაც. ერთი სიტყვით, მზად ვართ".

**ლერი ხაბელოვი** (ტურნირის შტაბის ხელმძღვანელი): "თბილისის საერთაშორისო ტურნირი ყოველთვის ერთ-ერთი გამორჩეული და პრესტიჟული იყო. ახლა გვაქვს იმის შანსი, რომ ძველი სახელი დავიბრუნოთ. რაც შეეხება ყველაზე მტკივნეულ თემას - ფინანსებს: ბევრი პრობლემა გვქონდა. მოგეხსენებათ, წლის დასაწყისია და ბიუჯეტი ჯერაც შეუდგენელია. მიუხედავად ამისა, ქალაქის სამსახურთან ერთად, ყველაფერი ვიღონეთ იმისთვის, რომ სპორტის სასახლეს მასპინძლობის საშუალება ჰქონოდა. ახლა ჯერი გულშემატკივრებზეა. ყველას ველით და ვეპატიჟებით. ამასთან, მინდა ხაზგასმით ვთქვა: დასწრება უფასოა".

**დილარ ხაბულიანი** (საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი): "მივაღწიეთ იმას, რომ ტურნირი თბილისში დაბრუნდა. მართალია, ჯერჯერობით, ტურნირი A კატეგორიისაა, მაგრამ ყველაფერს ვიღონებთ იმისთვის, რომ ახლო მომავალში "სუპერ A" კატეგორიისად იქცეს. ამ ტიპის ტურნირი კი, ფაქტობრივად, მხოლოდ სახელით განსხვავდება მსოფლიო ჩემპიონატისგან... სამწუხაროდ, ფედერაციის მწირი ბიუჯეტი არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ტურნირს სხვების დაუხმარებლად ვუმასპინძლოთ. ვსარგებლობ შემთხვევით და ცალკეულ ფირმებსა და ორგანიზაციებს მადლობას ვუხდი კეთილი ნებისთვის. მოგეხსენებათ, თუ რას ნიშნავს ამ რანგის შეჯიბრების მასპინძლობა. A კატეგორიის ტურნირის მასპინძლობის უფლება, ყოფილი საბჭოეთიდან, აქამდე მხოლოდ მოსკოვს ჰქონდა. ჩვენ კი ეს საქმე არც გუშინ დაგვიწყია და არც დღეს. ათ წელიწადზე მეტია, ამისთვის ვიბრძვით. ფაქტობრივად, მისია შევასრულეთ. დანარჩენი სპორტსმენებზეა".

**შოთა ხაბარელი** (საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი): "საინტერესო ორთაბრძოლები გველის. ძნელია, ყველა ქვეყანას ყველა წონაში ლიცენზია ჰქონდეს. ვფიქრობთ, ამ პრობლემას ჩვენ თავს გავართმევთ. ერთ ტურნირზე (მოსკოვის სუპერ A კატეგორიის ტურნირზე) უკვე გამოვედით და ქულებიც მოვიპოვეთ. მიმაჩნია, რომ თბილისის ტურნირზე ამ ეტაპისთვის საჭირო ქულების მაქსიმუმს მოვაგროვებთ, მიუხედავად იმისა, რომ მეტოქე გუნდები წარმომადგენლობით დელეგაციებით გვეწვევიან. იაპონია, საფრანგეთი, ისრაელი, საბერძნეთი, რუსეთი, უკრაინა, ლიტვა, სომხეთი, მოლდავეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი - აი, ის ქვეყნები, რომლებიც თბილისურ ტატამზე გავლენ. შესაძლოა, ამ ქვეყნებს ბელორუსიც დაემატოს. თბილისში ჩამოსვლას ინგლისელები და ესპანელებიც გეგმავდნენ, მაგრამ, რატომღაც, ბოლოს გადაიფიქრეს. რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს, ჩვენ 28 ძიუდოისტი, ანუ, თითოეულ წონაში ოთხი სპორტსმენი გვეყოლება".

კრივი

# მაიკ ტაისონი: "ლუისს დავანგრევ!"

კრივის სამყაროში იმდენი ილაპარაკეს ტაისონ-ლუისის მატჩ-რევანშზე, რომ, როგორც ჩანს, შეხვედრა ივნისში მაინც გაიმართება. საქმე იქამდე მივიდა, რომ ამ მატჩის გამო ბრიტანელმა ლენოქს ლუისმა ვიტალი კლიჩკოსთან დადებული კონტრაქტი გაწყვიტა და, შესაძლოა, ამის გამო სასამართლოში სიარულიც მოუხდეს. ყოველ შემთხვევაში, თუ კლიჩკოს პრომოუტერს, კლაუს-პიტერ კოლს დავუჯერებთ, ის ლუისის წინააღმდეგ სარჩელის აღძვრას აპირებს. კოლის თქმით, "კონტრაქტის გაფორმების შემდეგ ლუისი ვალდებული იყო, ტაისონთან შეხვედრამდე ვიტალი კლიჩკოსთან ეჩხუბა. თუმცა, ბრიტანელმა სხვაგვარად განსაჯა და კლიჩკო (უკვე მერამდენედ) უარით გაისტუმრა. ამის გამო ლუისმა პასუხი უნდა აგოს", - იმუქრება კოლი.

ლენოქს ლუისის უარი და ტაისონთან შეხვედრის თანხმობა შემთხვევითი არ ყოფილა. უფრო სწორად, ეს დონ კინგის მორიგი, ლამაზი გამარჯვებაა. კინგი ლუისს მატჩ-რევანშის თაობაზე რამდენჯერმე შეხვდა. ერთხელ სახელოვან მოკრივეს ბრიტანეთშიც კი ეწვია. ესოდენ დიდი პატივის ღირსად დონ კინგი მოკრივეებს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში მიიჩნევს, კერძოდ, როცა საქმე ეხება დიდ ფულს. როგორც ჩანს, დონ კინგი ლუისსაც რამდენიმე წინადადებით ეწვია, რადგან მსოფლიო ჩემპიონმა მაშინ ვიტალი კლიჩკოს პირველი უარი შეუთვალა.



მაიკ ტაისონი

საქმე, თითქოს, კარგად მიდიოდა, მაგრამ მოგვიანებით გაირკვა, რომ ლონდონის შეხვედრით ლუისი მაინცდამაინც აღფრთოვანებული არ დარჩენილა და დონ კინგს ამერიკაში ხელცარიელი გაუსტუმრებია. მეორე დღესვე ლუისმა ახალი განცხადება გააკეთა: ვიტალი კლიჩკოს 12 ან 19 აპრილს შევხვდები, მაიკ ტაისონთან კი საქმეს აღარ დავიჭერო. მაგრამ დონ კინგი მარცხს ვერ ეგუება.

დიდი პრომოუტერი მატჩ-რევანშის თაობაზე სატელევიზიო არხებს მოელაპარაკა და ამჯერად ლუისს ისეთი წინადადებით მიმართა, რომელზეც ბრიტანელი უარს ვერ იტყოდა. ლუისმაც კონტრაქტი გაწყვიტა და "რკინის მაიკს", სავარაუდოდ, ზაფხულში შეხვდება. მაიკ ტაისონი კი დიდ გულზეა. გუშინ განაცხადა, რომ მატჩ-რევანშის დროს ლუისს, უბრალოდ, გაანადგურებს.

არადა, შარშან, ივნისში, "რკინის მაიკმა" სწორედ ლენოქს ლუისისგან იწვნია გამანადგურებელი მარცხი და აღიარა, რომ ინგლისელი ღირსია, პლანეტის უძლიერესი მოკრივის ტიტულს ატარებდეს. ამჟამად სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. ტაისონი აღარ აღიარებს ლუისის უპირატესობას და მკვეთრ განცხადებებს აკეთებს. "მე იმ ბრძოლისთვის ცუდად მოვემზადე - ზედმეტი წონის პრობლემა მქონდა. მაგრამ ახლა ყველაფერი სხვაგვარად იქნება. თუ პირველ ბრძოლაში ლუისი ასეთი ძლიერი იყო, ჩემს წასაქცევად მთელი რვა რაუნდი რატომ დასჭირდა? მე ვფიქრობ, მას, უბრალოდ, ჩემი ეშინოდა და ახლაც ეშინია", - განაცხადა მაიკ ტაისონმა. მისივე თქმით, ლუისს პირველივე რაუნდში ნოკაუტი ელის.

ხელბურთი

# ვინ მიბაძავს "მამლებს"?

## საფრანგეთი ნახევარფინალშია

**პორტუგალია**
**მსოფლიო ჩემპიონატი**
**მეორე ჯგუფური ეტაპი**
**მეორე ტური**

**A ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| *ისლანდია - პოლონეთი* | | | | | *33:29* | |
| *ესპანეთი - კატარი* | | | | | *40:15* | |
| ესპანეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 74:40 | 4 |
| ისლანდია | 2 | 2 | 0 | 0 | 75:51 | 4 |
| პოლონეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 54:67 | 0 |
| კატარი | 2 | 0 | 0 | 2 | 37:82 | 0 |

**B ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| *გერმანია - ტუნისი* | | | | | *30:21* | |
| *იუგოსლავია - პორტუგალია* | | | | | *30:28* | |
| გერმანია | 2 | 2 | 0 | 0 | 67:50 | 4 |
| იუგოსლავია | 2 | 2 | 0 | 0 | 58:55 | 4 |
| პორტუგალია | 2 | 0 | 0 | 2 | 57:67 | 0 |
| ტუნისი | 2 | 0 | 0 | 2 | 48:58 | 0 |

**C ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| *ხორვატია - ეგვიპტე* | | | | | *29:23* | |
| *დანია - რუსეთი* | | | | | *28:35* | |
| ხორვატია | 2 | 2 | 0 | 0 | 57:49 | 4 |
| რუსეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 61:56 | 2 |
| დანია | 2 | 1 | 0 | 1 | 63:61 | 2 |
| ეგვიპტე | 2 | 0 | 0 | 2 | 49:64 | 0 |

**D ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| *საფრანგეთი - სლოვენია* | | | | | *31:22* | |
| *შვედეთი - უნგრეთი* | | | | | *33:32* | |
| საფრანგეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 60:46 | 4 |
| შვედეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 58:61 | 2 |
| სლოვენია | 2 | 1 | 0 | 1 | 51:56 | 2 |
| უნგრეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 56:62 | 0 |

პორტუგალიაში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე მეორე ჯგუფური ეტაპის გადამწყვეტი შეხვედრების დრო დადგა. შეგახსენებთ: ნახევარფინალში მხოლოდ ჯგუფის გამარჯვებული გადის. ამიტომ ყოველი მატჩი უაღრესად დაძაბულია.

სატურნირო ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოს ნაკრების ყოფილი მეკარის, როლანდ ერაძის ისლანდიას ოთხეულში გასვლის შანსი ჯერაც არ დაუკარგავს, მაგრამ ამ შანსის რეალიზაციისთვის კუნძულელებს ესპანელთა უაღრესად რთული ბარიერის დაძლევა მოუწევთ - გუნდისა, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატზე ყველა მატჩი მოიგო და ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნევა. ესპანელებმა მეორე ტურშიც დამაჯერებლად გაიმარჯვეს. ისლანდიის ნაკრებს კი პოლონეთთან ნამდვილი ბრძოლა მოუხდა. იგივე შეიძლება ითქვას B ჯგუფზეც, სადაც პირველობას გერმანიისა და იუგოსლავიის გუნდები ეცილებიან ერთმანეთს. გერმანელები, ესპანელთა მსგავსად, ჯერ არ დამარცხებულან და წარმატებული სერიის გაგრძელებას სლავებთან მატჩშიც შეეცდებიან.

რაც შეეხება C ჯგუფს, აქ რუსებმა დანიის ძლიერი და ამბიციური გუნდი დაამარცხეს და ჯგუფში ყველაფერი თავდაყირა დააყენეს. უკანასკნელ ტურში ხორვატები დანიას შეხვდებიან, რუსები – ეგვიპტეს. შეიძლება ისე მოხდეს, რომ რუსეთის ნაკრები, რომელმაც მეორე ეტაპზე ძლივს გააღწია, ნახევარფინალში გავიდეს. ამისთვის დანიამ უნდა დაამარცხოს ხორვატია, ხოლო რუსეთმა - ეგვიპტე. თუ რუსეთმა ვერ მოიგო, მაშინ ნახევარფინალში სკანდინავიელები გავლენ, სხვა დანარჩენ შემთხვევაში საუკეთესო ოთხეულში ხორვატები დამკვიდრდებიან.

D ჯგუფის (ისე როგორც მთლიანად მსოფლიო ჩემპიონატის) უპირობო ფავორიტი საფრანგეთის ნაკრებია. ფრანგები ტურნირზე თავს ისე გრძნობენ, როგორც საკუთარ სახლში. მათ ყველა მატჩი მოიგეს და, თუ "მამლების" ენთუზიაზმს გავითვალისწინებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ წაგებას არც მომავალში აპირებენ. მსოფლიოს ახლანდელმა ჩემპიონებმა, შვედებისა არ იყოს, სლოვენიელებსაც შავი დღე აყარეს და, შეიძლება ითქვას, ვადამდე გაინაღდეს ფინალური ოთხეულის საგზური.

მოკლედ

**ფეხბურთი.** ბოლოდროინდელი მოვლენების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გამორიცხული არ არის, ვლადიმირ ბესჩასტნიხი ისევ მოსკოვის "სპარტაკში" აღმოჩნდეს. საქმე ის არის, რომ ფორვარდის ახალი კლუბი, "ფენერბახჩე", უარს აცხადებს მოსკოველთათვის ფეხბურთელის სანაცვლოდ 800 000 დოლარის გადახდაზე. ამის გამო, იურიდიულად, ბესჩასტნიხი კვლავაც "სპარტაკის" საკუთრებაში რჩება და, კლუბის პრეზიდენტის განცხადებით, თუ ახლო მომავალში ვითარება არ შეიცვალა, სამშობლოშიც დაბრუნდება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ლევერკუზენის "ბაიერის" კაპიტნის, იენს ნოვოტნის ახალი ტრავმის გამო გერმანელები "ლაციოს" პორტუგალიელი მცველით, ფერნანდო კოუტუთი და ბრაზილიელი მსოფლიო ჩემპიონით, ედმილსონით დაინტერესდნენ. ჯერჯერობით, ცნობილი არ არის, გადავლენ თუ არა ეს ფეხბურთელები "ბაიერში", თუმცა, ყველაფერი უახლოეს დღეებში, სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე გახდება ცნობილი.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** გერმანელი ფორვარდის მიროსლავ კლოზეს თამაშმა უკმაყოფილო დატოვა მისი შეძენის მსურველი კლუბების ხელმძღვანელები. "მანჩესტერ იუნაიტედისა" და "ტოტენჰემის" წარმომადგენელთა განცხადებით, კლოზემ ვერაფრით მოხიბლა. ასე რომ, გერმანელის ყიდვისგან ორივე კლუბი თავს შეიკავებს.

■ ■ ■

